ლელო
გამოცემის 75-ე წელიწადი
№075 (12754) 1 აპრილი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# ევროპა ვერცხლითა და ბრინჯაოთი გავხსენით

» 11



# ჩემოდნები არ უნდა ჩავალაგოთ


კახა ცხადაძე

## ვუჩინიჩი და კიდევ სამი...



**დეიან სავიჩევიჩი:** იაშვილი და ერთი ჭანმორჩილი ბიჭი

მეტოქის ბანაკში » 4



## ნაკრების შენებას ცოტა მეტი მოთმინება სჭირდება და ამას ძალიან დიდი ფასი აქვს

ჰექტორ კუპერის პრესკონფერენცია » 2

## შედეგი ამხანაგურ მატჩშიც გვჭირდება


გიორგი განუგრავა

## ცხადაძემ მეორე სუნთქვა გამიხსნა

ახალგაზრდული ნაკრები » 4,5

მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი

**საქართველო ჩერნოგორია**

დღეს. ეროვნული სტადიონი. 21:00

Live პირველ არხზე

ახალგაზრდული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

**საქართველო ბელარუსი**

დღეს. რუსთავი. ფოლადი. 15:00

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექტორ კუპერი

# ჩემოდნები არ უნდა ჩავალაგოთ

## იმედი მქონდა, რომ ამ დროისთვის უფრო მეტი ქულა გვექნებოდა



ექტორ კუპერი

**გუშინ** საქართველოს ეროვნულმა გუნდმა საგურამოს ბაზაზე ივარჯიშა. წვრთნა დახურული იყო და იქაურ პერიპეტიებზე ვერაფერს მოგახსენებთ, მანამდე კი ნაკრების თავკაცმა ექტორ კუპერმა პრესკონფერენცია გამართა...

**- გაჩნდა ხმები იმის თაობაზე, თითქოს საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტიდან მალე გადადგებით. რას იტყოდით ამ ხმებზე და როგორ შეაფასებდით კვიპროსთან მატჩს?**

- წასვლაზე არ მიფიქრია, არ მაქვს სურვილი, დავტოვო ეს ქვეყანა და მისი ეროვნული ნაკრები. თუ არის ხმები ჩემს წასვლაზე, ამას საფუძველი უნდა ჰქონდეს... რაც შეხება კვიპროსთან მატჩს, ორივე გუნდს ჰქონდა გამარჯვების შანსი, თუმცა თამაშს ჩვენ ვაკონტროლებდით. რა თქმა უნდა, მთავარი შედეგია და კრიტიკას ვიღებ. როცა საქართველოს ნაკრები ჩავიბარე, ყველას დავპირდი, რომ კონკურენტუნარიან გუნდს შევქმნიდი. არ დავმალავ, იმედი მქონდა, რომ ამ დროისთვის ჩვენს გუნდს 2-3 ქულით მეტი ექნებოდა.

**- კვიპროსთან მხოლოდ ერთი შეცვლა გააკეთეთ და ისიც - იძულებითი. რით ახსნით ამას?**

- ცვლილება იმიტომ კი არ უნდა გააკეთო, რომ მაინცდამაინც ყველა შეცვლა გამოიყენო, ცვლილებას აზრი უნდა ჰქონდეს. მეტი შეცვლა იმიტომ არ გავაკეთე, რომ მიმაჩნდა - მოედანზე მყოფი ფეხბურთელები ბოლომდე მიიყვანდნენ საქმეს.

**- რის ხარჯზე აპირებთ გუნდის გარდაქმნას და ჩერნოგორიის ნაკრების დამარცხებას?**

- კარგად ვიცი, როგორი შემართებითა და პასუხისმგებლობით ემზადებიან ჩვენი ფეხბურთელები ამ შეხვედრისთვის. ფინალურ ეტაპზე გასვლის შანსი არ გვაქვს და ამის გამო ჩემოდნები ჩავალაგოთ და წავიდეთ? ასე არ უნდა მოხდეს, უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებისთვის.

**- ხშირად საუბრობენ თქვენს უცნაურ სელექციაზე...**

- ზოგადად, სელექცია არ არის მარტივი პროცესი. მაგალითად, ბევრს ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რატომ აღარ ათამაშებდა მარჩელო ლიპი ნაკრებში დელ პიეროს, თუმც იტალიას ამ დროისთვის 13 ქულა აქვს და ჩვენი ჯგუფში ლიდერია. ჩერნოგორიასთან მატჩში 6-7 ფეხბურთელი გვეყოლება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატიდან, დავით ოდიკაძესა და ბექა გოცირიძესაც საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელებად ვთვლი, რადგან უცხოეთში ახალი გადასულები არიან. აუცილებლად გვჭირდება გამარჯვება. კარგად მესმის საზოგადოების, ჩვენი გულშემატკივრების, რომელთაც სურთ, რომ ყოველთვის კარგად ვთამაშობდეთ და ვიგებდეთ, მაგრამ ასე არ ხდება. თანაც, ნაკრების შენებას ცოტა მეტი მოთმინება სჭირდება და ამ მოთმინებას ძალიან დიდი ფასი აქვს.

**- ეროვნულ ნაკრებში დისკვალიფიცირებულთა ნაცვლად უხმეთ ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელებს - ირაკლი კლიმიაშვილს, ბუბა დაუშვილსა და ამირან სანაიას. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ გამოცდილ ფეხბურთელებს მოტივაცია აღარ შერჩათ?**

- მოტივაცია არავის დაუკარგავს, უმოტივაციო ფეხბურთელს გუნდში არც გავაჩერებდი. გვყავს ახალგაზრდა ფეხბურთელები, მაგრამ ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში მათი ბრძოლის ველზე გაყვანა მაინცდამაინც მიზანშეწონილი არ უნდა იყოს, თუმცა არ არის გამორიცხული, რომ ახალგაზრდებსაც მივცეთ შანსი.

**- მაინც რა შედეგი დაგაკმაყოფილებთ ამ შესარჩევ ციკლში?**

- მხოლოდ იმით ვიქნები კმაყოფილი, ამ შესარჩევის ბოლომდე დარჩენილ ოთხ თამაშში 12 ქულას მოვიპოვებთ.

**- ჩერნოგორიის ნაკრებზე რას იტყოდით?**

- მათ იციან ფეხბუთის თამაში, გამოვარჩევდი ორ ფეხბურთელს - იოვეტიჩსა და ვუჩინიჩს, რომლებიც „ფიორენტინასა" და „რომაში" თამაშობენ.

# უფრო კაშია, ვიდრე სანაია და კლიმიაშვილი

## ტრადიციები და ვარაუდები საჩერნოგორიედ

**გინდ** ჯიუტი დაარქვით, გინდ პრინციპული - **ექტორ კუპერმა** აქამდე ისე წარმოაჩინა თავი საქართველოს ნაკრებში, რომ მისი არჩევანი ვარაუდების საშუალებას არ იძლევა. ესეც რომ არა, ჩერნოგორიასთან ისეთი მატჩია, ბოლო იმედის თამაში რომ ეთქმის. ჩერნოგორიის მერე შინ იტალიასთან (5 სექტემბერი) გველის შეხვედრა, მერე სტუმრად იმავე ჩერნოგორიასთან და ბოლოს ბულგარეთთან - როგორ გგონიათ, ამ ბოლო ოთხი მატჩიდან რომელში აქვს გამარჯვების მეტი შანსი საქართველოს ნაკრებს? რა თქმა უნდა, დღეს არის საამისოდ საუკეთესო შანსი. ვინძლო, ამ შესარჩევში კუპერის გუნდმა პირველი და ერთადერთი გამარჯვება სწორედ დღეს მოიპოვოს...

გუშინ სენიორ ექტორს აღარ უსაუბრია მითიურ საიდუმლო იარაღზე (კვიპროსს რომ დაემუქრა). რომც ეთქვა ამაზე, საქართველოს ნაკრების შესაძლებლობები ყველამ კარგად ვიცით, მაგრამ ტრადიციის დავიწყებაც არ ეგების - ჩვენი ნაკრები ნებისმიერ შესარჩევში ერთ კარგ მატჩს მაინც ყოველთვის თამაშობდა. ხშირად, საქართველოს ასეთი თამაში მაშინ გამოსდიოდა, ჯგუფიდან გასვლის შანსი დაკარგული რომ ჰქონდა. 1995 წელს გამარჯვება ბულგარეთთან - 2:1, 1997 წელს მოგება პოლონეთთან 3:0 და საშინაო 0:0 იტალიასთან, 2001 წელს მიჯრით ორი მოგება უნგრეთთან (3:1) და ლიტვასთან (2:0), 2003 წელს გამარჯვება რუსეთთან (1:0) და ალბანეთთან (3:0)... და 2007 წელს, შოტლანდიასთან 2:0. ამის მერე, საქართველოს ნაკრებს ქომაგებისთვის გემრიელი გამარჯვება აღარ უჩუქებია...

ახლა, რაც შეეხება სადღეისო ვარაუდებს. კარში, ალბათ, ისევ **გიორგი ლომაია** ჩადგება. არ გვგონია, კუპერი რისკზე წავიდეს და **ზურაბ მამალაძეს** ან **გრიგოლ ბედიაშვილს** ანდოს კარი. ლომაია კვიპროსთან უშეცდომო არ ყოფილა, მაგრამ წაგება მისი ბრალი ნამდვილად არ იყო.

დაცვის მარჯვენა ფლანგზე არ იქნება **უჩა ლობჟანიძე**, რომელიც დისკვალიფიცირებულია. ამ პოზიციაზე ლობჟანიძეს კონკურენტი, ფაქტობრივად, არ ჰყავდა, ყოველ შემთხვევაში, აქამდე ასე იყო. რა თქმა უნდა, ცუდია, როცა „ზესტაფონის" ახალგაზრდა მცველი ნაკრებში თითქმის უკონკურენციოა, მაგრამ ასე მოიტანა დრომ - ეს ნამდვილად არ ჰგავს მწვრთნელის ახირებას. ასე უცბად ძალიან ძნელია მარჯვენა მცველის გამონახვა ნაკრებისთვის. ლობჟანიძეს, ალბათ, დინამოელი **გურამ კაშია** შეცვლის, რომელიც ნომინალურად ცენტრალური მცველია, თუმც აქვს საიმისო მოქნილობა და სისწრაფე, რომ ფლანგზეც ითამაშოს.

დაცვის ცენტრში, სავარაუდოდ, **ალექსანდრე კვახაძე** და **ლაშა სალუქვაძე** ითამაშებენ. კუპერის დროს (ბულგარეთთან) ისინი უკვე იყვნენ წყვილში და საკმაოდ ნორმალური შთაბეჭდილებაც დატოვეს. მოკლედ, დისკვალიფიცირებულ **ზურაბ ხიზანიშვილს** რუსეთის ჩემპიონი სალუქვაძე შეცვლის - ასეთია ჩვენი პროგნოზი. სალუქვაძეს ნაკრებში მარჯვენა მცველედაც უთამაშია და არც ის არის გამორიცხული, კუპერმა კვახაძეს კაშია შეუწყვილოს და სალუქვაძე მარჯვნივ გაამწესოს.

დაცვის მარცხენა ფლანგი, ალბათ, **დავით კვირკველიას** დარჩება. არა გვგონია, **გიორგი შაშიაშვილის** დისკვალიფიკაციის გამო მის ადგილზე კუპერმა **ამირან სანაია** გაამწესოს, რადგან „ლემანის" მცველს სანაკრებო გამოცდილება არ აქვს და მისი დებიუტი ასეთ საკვანძო შეხვედრაში ერთობ სათუოა.



ნახევარდაცვაში ადგილი ვინძლო მხოლოდ **ლევან კობიაშვილს** აქვს გარანტირებული. არ უნდა გაგვიკვირდეს ზესტაფონელი **ბუბა დაუშვილის** გამოჩენა - მისებრ ჟინიანი საყრდენი ნახევარმცველი ფსიქოლოგიურად დამძიმებულ საქართველოს ნაკრებს ნამდვილად არ აწყენდა. კუპერი, ალბათ, სერიოზულად ფიქრობს კვიპროსული ჩაფლავების შემდეგ **ლუკა რაზმაძისა** და **დავით ოდიკაძის** შეცვლაზე, მაგრამ არჩევანი დიდი არ აქვს და საეჭვოა, სასტარტო შემადგენლობაში გაჩნდეს ადგილი ვიტჯორჯიელი **ირაკლი კლიმიაშვილის** ან სხვა რომელიმე შუახაზელისთვის. თუმცა არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ კუპერის განკარგულებაშია **ლევან ხმალაძე**, რომელსაც არგენტინელი კარგი თვალით უყურებს.

შეტევაში უკონკურენციოდ **ალექსანდრე იაშვილი** უნდა მივიჩნიოთ. მეორე გარემარბი, ალბათ, ისევ **ბექა გოცირიძე** იქნება, რომელმაც კვიპროსთან მატჩში გუნდს 11-მეტრიანის დარტყმის უფლება მოუპოვა. რაც შეეხება ცენტრალურ თავდამსხმელს, კუპერს აქვს რისკის გაწევის შანსი - უთამაშებელი და უგუნდოდ მყოფი **დავით სირაძე** ზესტაფონელი **ნიკა გელაშვილით** შეცვალოს.

...და **გიორგი მერებაშვილი?** კუპერი მას იწვევს და აქებს, ერთი-ერთზე თამაშში ძლიერიაო, მაგრამ სასტარტოში ჯერ არ გაუმწესებია. ვფიქრობთ, დიდია იმის შანსი, რომ არგენტინელმა დინამოელი მეორე ტაიმში მაინც შეუშვას მოედანზე.

გვერდი მოამზადა
დავით თავართქილაძემ

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტოქე

# ჯერ მოვიგოთ, მერე დავიჯეროთ

**დიდი ხანია, საქართველოს ნაკრებს ასეთი „პრინციპული" მატჩი აღარ ჰქონია; მართალია, დღევანდელის გარდა ჩვენს ნაკრებს შესარჩევი ციკლის ბოლომდე კიდევ სამი შეხვედრა ექნება ჩასატარებელი, მაგრამ ამ თამაშს მაინც უდიდესი სატურნირო და ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ჰო, დღეს ხომ, ექვსგუნდიან ჯგუფში საპატიო და უალრესად სასიცოცხლო მნიშვნელობის... მეხუთე ადგილის ბედი წყდება! ისე, მართლაც, უცნაური დამთხვევაა: ამ შესარჩევ ციკლში არც საქართველოს ნაკრებს აქვს მოგება და არც ჩვენს დღევანდელ მეტოქეს; უფრო მეტიც - ჩერნოგორიელები სულაც სადებიუტო ციკლს ატარებენ და მთელი ქვეყანაც პირველი გამარჯვების მოლოდინშია. ...ანაც, რაღა პირველ აპრილს დაემთხვა ეს „უპრინციპულესი" შეხვედრა - ვინმემ რომ მატჩზე დასასწრები ბილეთი ვერ იშოვოს (სრული ანშლაგია მოსალოდნელიო), როგორ გინდა რაიმეთი დააჯერო?**

## ორი ლეგენდა

ახლა კი, ალბათ, დროა, რომ ირონია და სარკაზმი დროებით დავივიწყოთ და ჩვენს დღევანდელ მეტოქეზე ვისაუბროთ. მით უფრო, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქმე გვაქვს მსოფლიო საფეხბურთო „ოჯახის" ყველაზე ახალ წევრთან - ჩერნოგორიის (იგივე - მონტენეგრო) ნაკრებთან. ეგ კი არა, თვითონ ქვეყანაც სულ რამდენიმე წელიწადია, რაც დამოუკიდებლობის სტატუსით არსებობს - მას მერე, რაც სერბეთს უკონფლიქტოდ და უსისხლოდ დაშორდა. ჰო, ყოფილი იუგოსლავიის სხვა ქვეყნებისგან (ხორვატია, სლოვენია, ბოსნია, მაკედონია) განსხვავებით, ჩერნოგორიამ ყველაზე გვიან მოიპოვა დამოუკიდებლობა. ფაქტობრივად, სერბეთის ნაწილად ითვლებოდა და ამიტომაც იყო, ალბათ, რომ არც კი ვიცოდით ახლო თუ შორეული წარსულის ცნობილი ფეხბურთელების (**ჟელკო პეტროვიჩი, დრაგოლუბ ბრნოვიჩი, დრაგოე ლეკოვიჩი, ივიცა კრალი, ნიშა საველიჩი, რაფიკ შაბანაჯოვიჩი**) ჩერნოგორიული წარმოშობის შესახებ. ალარაფერს ვამბობთ ჩერნოგორიული კი არა, საერთოდ ყოფილი იუგოსლავიის მასშტაბებითაც გამორჩეულ ორ პერსონაზე - **პრედრაგ მიატოვიჩსა** და **დეიან სავიჩევიჩზე.**

მიატოვიჩი დღესდღეობით მადრიდის „რეალის" გენერალური მენეჯერი გახლავთ; საფეხბურთო კარიერის პიკსაც სწორედ ესპანეთში ასპარეზობისას მიაღწია, როცა იმავე „რეალთან" ერთად ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ეგ კი არა, 1998 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში სწორედ მიატოვიჩის ერთადერთი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი. მიატოვიჩზე უფრო მასშტაბური „ვარსკვლავი" იყო დეიან სავიჩევიჩი, ვინც გასული საუკუნის 90-იანი წლების საუკეთესო იუგოსლაველ ფეხბურთელად მიიჩნეოდა. სავიჩევიჩი „კლასიკური ათი ნომერი" იყო - მოედნის ჩინებული ხედვით, პასის დახვეწილი კულტურითა და ერთობ ორიგინალური თამაშის მანერით. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სავიჩევიჩს ორჯერ აქვს ჩემპიონთა ლიგა მოგებული: ჯერ „ცრვენა ზვეზდას" შემადგენლობაში (1991 წელს), მერე კი „მილანთან" ერთად. ფეხბურთის სტაჟიან ქომაგებს, ალბათ, არასდროს დაავიწყდებათ 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის დაუვიწყარი ფინალი, როცა **ფაბიო კაპელოს** „მილანმა", ყველასათვის მოულოდნელად, ოთხი უპასუხო გოლი გაუტანა **იოჰან კრუიფის** „ბარსელონას". იმ მატჩში სავიჩევიჩმა ისეთი ეფექტური გოლი გაიტანა, სამართლიანად რომ მიიჩნევა ჩემპიონთა ლიგის ფინალებში ერთ-ერთ საუკეთესოდ. სავიჩევიჩმა ექვსი (!) წარმატებული სეზონი გაატარა „მილანში", ბოლოს კი, კარიერა რომ დაასრულა, სამშობლოში დაბრუნდა და... ახალდაარსებული ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტადაც აირჩიეს.

## ფილიპოვიჩის ეპოქა

2006 წლის 28 ივნისი - აი, ეს თარიღი ითვლება ჩერნოგორიული ფეხბურთის „დაბადების დღედ"; ერთ წელიწადში კი ჩერნოგორია უეფასა და ფიფას სრულფასოვანი წევრი გახდა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე სადებიუტო მატჩებისათვის მზადებაც დაიწყო. ჩერნოგორიის ნაკრებს კი ვინ უნდა გასძღოლოდა, თუ არა **ზორან ფილიპოვიჩი** - ამ ქვეყნის კიდევ ერთი ცოცხალი ლეგენდა! ფილიპოვიჩს შთამბეჭდავი საფეხბურთო კარიერა ჰქონდა: 16 წლის ასაკში იუგოსლავიის უმაღლეს ლიგის დებიუტანტი იყო, როცა მშობლიური „ბუდუჩნოსტის" (ტიტოგრადი) ღირსებას იცავდა. უკვე ერთი წლის მერე კი იქაურ გრანდში, „ცრვენა ზვეზდაში" ჩაირიცხა და წლების განმავლობაში ამ გუნდის სიმბოლოდ ითვლებოდა. თანაც, ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ იმ პერიოდში (გასული საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში) „ცრვენა ზვეზდაში" თამაშობდა იუგოსლავიური ფეხბურთის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი **დრაგან ჯაიჩი.** სამწუხაროდ, ფილიპოვიჩი საკლუბო დონეზე თუ ჩინებულ შედეგს ფლობდა (477 მატჩში - 302 გოლი), აი, იუგოსლავიის ეროვნულ ნაკრებში უმძიმესი კონკურენციის პირობებში იმყოფებოდა. არადა, ნაკრებში სადებიუტო მატჩი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ) რომ ჩაატარა, 18 წლის იყო; თუმცა იმავე **ჯაიჩთან, პეტროვიჩთან, ერკოვიჩთან, შურიაკთან, ხალილხოჯიჩთან, ბაევიჩთან, ვუიოვიჩთან** თუ სხვა ცნობილ ფორვარდებთან, სხვადასხვა წლებში მძაფრი კონკურენცია უწევდა. 1980 წლიდან უცხოეთს მიაშურა: ორ-ორი სეზონი „ბრიუგესა" და „ბენფიკაში" ითამაშა, ოთხი წელიწადი კი - „ბოავიშტაში", სადაც დაასრულა კიდეც საფეხბურთო კარიერა. განსაკუთრებით „ბენფიკაში" ასპარეზობა უნდა აღვნიშნოთ: პორტუგალიის ყველაზე ტიტულოვან კლუბში არაერთ სერიოზულ წარმატებას მიაღწია და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც მიიჩნეოდა **შალანასთან** ერთად. სწორედ პორტუგალიაში დაიწყო ფილიპოვიჩის სამწვრთნელო კარიერაც: ორი მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბი („სალგეიროში", „ბეირა მარი") უმაღლეს ლიგაში გადაიყვანა; მერე, „ბოავიშტას" საშველად უხმეს - ფილიპოვიჩმა ეს გუნდი ჯერ დაბალ ლიგაში დაქვეითებისაგან იხსნა, მომდევნო სეზონში კი უკვე ევროტურნირის საგზურიც მოუტანა. ჰო, 90-იანი წლების შუაგულში „ბოავიშტა" არაფრით ეპუებოდა პორტუგალიური ფეხბურთის სამ „ვეშაპს" („ბენფიკა", „პორტო", „სპორტინგი") და მხოლოდ მაღალ ადგილებზე ჰქონდა პრეტენზია. შემადგენლობაც ჩინებული შეკრიბა ფილიპოვიჩმა, განსაკუთრებული როლი კი სამ ლეგიონერს ენიჭებოდა: **დანიელ ტიმოფტეს** (რუმინეთი), **ერნან სანჩესს** (ბოლივია) და **რასელ ლატაპის** (ტრინიდადი). თუმცა ფილიპოვიჩის საიდუმლო იარაღი (აი, კუპერი რომ გვპირდებოდა კვიპროსთან მატჩის წინ) მაინც ყველასათვის უცნობი ორი ფორვარდი გახლდათ: ჰოლანდიელი **ჯიმი-ფლოიდ ჰასელბანკი** და 18 წლის პორტუგალიელი **ნუნუ გომეში!** სამწუხაროდ, მაშინდელი „ბოავიშტას" ძალა საკუთარ თავზე... თბილისის „დინამომაც" გამოსცადა;. 1996 წელს, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალში ერთმანეთს სწორედ „დინამო" და „ბოავიშტა" შეხვდნენ. თბილისში ჩატარებული პირველი მატჩი ჩვენების მინიმალური გამარჯვებით დასრულდა (ერთადერთი გოლი პენალტით **კახა გოგიჩაიშვილმა** გაიტანა). თუმცა აქვე იგრძნობოდა, თუ რა დონის მეტოქესთან გვქონდა საქმე და ასეც მოხდა: განმეორებით შეხვედრაში „ბოავიშტამ" სასტიკი რევანში აიღო და „დინამოს" კარში ხუთი უპასუხო გოლი გაიტანა! აღარ გვინდა „ესტადო ბესაზე" საკუთარი თვალით ნანახი კოშმარის გახსენება; არც იმ ფაქტის, რომ მართლაც კოკისპირული წვიმისგან დამძიმებულ მოედანზე, მატჩი ჩვენი დროით... ღამის სამის ნახევარზე დაიწყო; თუმცა, ის კი უნდა ვაღიაროთ, რომ იმდროინდელ „დინამოში" მხოლოდ ოთხი გამოცდილი ფეხბურთელი (**ირაკლი ზოიძე, კახა გოგიჩაიშვილი, გოჩა ჯამარაული, ნუგზარ ლობჟანიძე**) თამაშობდა; დანარჩენები კი 18-19 წლის ბიჭები იყვნენ და თითქმის ყველა მათგანმა სულ მალე სერიოზულ დონეზე გააგრძელა ასპარეზობა: **კახა კალაძემ, ლევან კობიაშვილმა, ალექსანდრე იაშვილმა, გიორგი დემეტრაძემ, ლევან ცქიტიშვილმა, გიორგი კიკნაძემ.** და ყველაზე მთავარი „დინამო"-„ბოავიშტას" მაშინდელი დაპირისპირებიდან: ფილიპოვიჩი იმდენად მოიხიბლა კახა გოგიჩაიშვილისა და გოჩა ჯამარაულის ბურთაობით, რომ პორტუგალიური კლუბის ხელმძღვანელებს დაუყოვნებლივ მოსთხოვა ორივე ქართველი ნახევარმცველის შეძენა. სამწუხაროდ, ეს გარიგება, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ შედგა...



იტალია-ჩერნოგორია. ჯორჯო კიელინი, მირკო ვუჩინიჩი და ფაბიო კანავარო



დეიან სავიჩევიჩი

## გაიცანით: ეს ჩერნოგორიაა

...2007 წლის 24 მარტი ჩერნოგორიული ფეხბურთის ისტორიაში ისტორიული დღეა: სადებიუტო შეხვედრა უნგრეთის ნაკრებთან და პირველსავე მატჩში პირველივე გამარჯვება. სულ კი დღემდე ჩერნოგორიის ნაკრებმა 15 მატჩი ჩაატარა (11 ამხანაგური და 4 ოფიციალური), საიდანაც 5 მოიგო, 4 ფრედ ითამაშა და 6 წააგო.

ამხანაგურებს თავი გავანებოთ და ოფიციალურებზე ვისაუბროთ: ოთხ შეხვედრაში ორი ფრე და ორი წაგება - აი, ასეთია ზორან ფილიპოვიჩის გუნდის შედეგი სადებიუტო ციკლში. აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ ჩერნოგორიელებმა ეს ორივე მატჩი მსოფლიოს ჩემპიონ იტალიის ნაკრებთან წააგო (სტუმრად - 1:2, შინ - 0:2); ამას გარდა, ბულგარეთსა (2:2) და ირლანდიას (0:0) საშინაო მატჩებში დაუზავდნენ. მეტოქეთა კარში ჩერნოგორიელებს 3 გოლი აქვთ გატანილი და რა გასაკვირია, რომ ეს ამ გუნდის ყველაზე ცნობადმა სახეებმა შეძლეს - **მირკო ვუჩინიჩმა** (2) და **სტევან იოვეტიჩმა.** ვუჩინიჩი, საერთოდაც, ცალკე საუბრის თემაა - დღესდღეობით ჩერნოგორიული ფეხბურთის ნომერ პირველი მოთამაშე უკვე წლებია წარმატებით ასპარეზობს სერია „A"-ში. ეგ კი არა, ზედიზედ მეორე სეზონია „რომას" ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირი და ლიდერია. რაც შეეხება იოვეტიჩს, ისიც იტალიაში თამაშობს („ფიორენტინაში") და ჩერნოგორიის ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა ფეხბურთელია - 19 წლის გახლავთ. მესამე ფეხბურთელი, ცნობილ უცხოურ კლუბში რომ ასპარეზობს, **სიმონ ვუკჩევიჩია** - 23 წლის ნახევარმცველი ლისაბონის „სპორტინგის" ღირსებას იცავს. საერთოდაც, ჩერნოგორიის ნაკრების ფეხბურთელთა თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა ევროპის სხვადასხვა კლუბში ასპარეზობს: **ვუკაშინ პოლეკშიჩი** - „დებრეცენში" (უნგრეთი), **რადოსლავ ბატაკი** - „ანკარასპორში" (თურქეთი), **ელსად ზვეროტიჩი** - „ლუცერნში" (შვეიცარია), **მიოდრაგ პეკოვიჩი** - „მაინცში" (გერმანია), **ბრანკო ბოშკოვიჩი** - „რაპიდში" (ავსტრია); ამათ გარდა, ჩერნოგორიის ნაკრების ხუთი ფეხბურთელი რუსული პრემიერლიგის გამორჩეულ მოთამაშედ მიიჩნევა: **იოვან ტანასიევიჩი** („დინამო"), **მარკო ბაშა** („ლოკომოტივი"), **მიოდრაგ ჯუდოვიჩი** („ნალჩიკი"), **მიტარ ნოვაკოვიჩი** და **ნიკოლა დრინჩიჩი** (ორივე - „ამკარი"). თვალში საცემია ჩერნოგორიის ნაკრების ფეხბურთელთა საშუალო ასაკიც, 29-30 წელს რომ შეადგენს.

მოკლედ, საკმაოდ ანგარიშგასაწევ მეტოქესთან გვაქვს საქმე და იმედი დავიტოვოთ, რომ, ბოლოს და ბოლოს, კუპერის ხელმძღვანელობით საქართველოს ნაკრები ოფიციალურ შეხვედრაში პირველ გამარჯვებას მოიპოვებს.

**მოვლენების ასეთი განვითარების შემთხვევაში კი ასევე იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს ყველაფერი... საპირველაპრილო ხუმრობად არ ჩაითვლება...**



იტალია-ჩერნოგორია.
მარჩელო ლიპი და ზორან ფილიპოვიჩი

**გია ტუხაშვილი**

# მიდით, ბიჭებო!

ქართველი გულშემატკივარი არაერთ სიხარულსა და წუხილს იტევს. მათ გულებში მარცხით გამოწვეული იმედგაცრუება მეტია, ვიდრე მოგებით განცდილი ბედნიერება, მაგრამ ჩვენი ქომაგის დღევანდელი მდგომარეობა, რბილად რომ ვთქვათ, საგანგაშოა. რატომ? ვფიქრობ, ამ კითხვის პასუხს დაკონკრეტება არ სჭირდება. კვიპროსზე ჩვენი ეროვნული გუნდის მიერ ნაჩვენებმა თამაშმა გულშემატკივართა უმრავლესობა ალაშფოთა, იმედი გადაუწურა, ბევრმა ხელიც კი ჩაიქნია, ნაწილი კი ზღვარზეა და ცოტაღა უკლია. უკეთეს შემთხვევაში თითზე ჩამოსათვლელადღა დარჩა გამოუსწორებელი ოპტიმისტი ქომაგი, რომელსაც სწამს, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი დღეს მოიგებს. მოუგებს ჩერნოგორიას (რომელსაც 4 ფეხბურთელი აკლია) კი არა, საერთოდ გამარჯვებას რომ შეძლებს. ერთი სიტყვით, ხალხი ჩვენი ნაკრებისგან, რბილად რომ ვთქვათ, იმედგაცრუებულია. ამ მხრივ ვითარება ძალზე საგანგაშოა და მისი გამოსწორება ისევ ეროვნულ გუნდს ძალუძს. ყოველ შემთხვევაში, არ მინდა დავიჯერო, რომ ასე არაა...

საქართველოს ნაკრებს არაერთი მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონია. თუნდაც სატურნირო მდგომარეობის და თუნდაც ქომაგის თვალში სარეაბილიტაციოდ. სწორედ ასეთთა რიცხვს განეკუთვნება დღევანდელი თამაშიც. თუმცა ჩერნოგორიასთან მატჩს მარტო ეს დანიშნულება როდი აქვს. ქომაგების განზილება უფრო მასშტაბურია, ვიდრე ერთი ან ორი უბრალო მარცხი. აქ მხოლოდ ნაგებასა და ქულების დაკარგვაში არ არის საქმე. გულშემატკივარს უკვე ეჭვი ეპარება, რომ ჩვენს ნაკრებს ღირსეულად თამაში შეუძლია და ეს განწყობა უკვე ყველგან იგრძნობა. არ მინდა, დავიჯერო, რომ ასეა. რატომ? იმიტომ, რომ ყველას კარგად გვახსოვს ოქტომბერში ჩვენი ნაკრების მიერ ბულგარეთთან თბილისში ნაჩვენები თამაში. ბიჭებმა რამდენიმე ლამაზი წუთი გვაჩუქეს ირლანდიასა და იტალიასთან მატჩებშიც. ამ დროს, ჩვენი ნაკრების თამაშის შემხედვარე ქართველი ქომაგი ამაყი იყო. სამწუხაროდ, ეს წუთები ლარნაკას უფერულმა თამაშმა მიგვავიწყა და იმედგაცრუებამ დაჩრდილა... ამ დიდი პესიმისტური ღრუბლის გაფანტვა ისევ და ისევ ჩვენს ნაკრებს ძალუძს. კიდევ დარჩნენ ფანატები, რომელთაც სჯერათ, რომ ჩვენი ნაკრები უილაჯო არ არის...

დიდ ალმასვლას დაცემა მოსდევს, დაცემას კი ალმასვლა. კვიპროსთან მატჩი დაცემა იყო ჩვენი ფეხბურთისა. პირადად მე და მრავალი ჩემნაირი ვითარების რადიკალურად, სასიკეთოდ შეცვლას ელის. დანაკლისის მიუხედავად, ჩვენს გუნდს ამისი გაკეთება შეუძლია...

გამარჯვებისა თუ არ გწამს, ისე მას ვერასდროს მიაღწევს. ეს სიტყვები გუშინ ერთმა სტაჟიანმა ქომაგმა მითხრა. ისიც მთხოვა, ფეხბურთელებს ხმას მე ვერ მივაწვდენ და იქნებ, შენ სთხოვო, უთხრა, ხმა მიაწვდინო... მის თხოვნასაც ვასრულებ და ეს ჩემი გულის გამოძახილიცაა - მიდით ბიჭებო, საქართველოსთვის! თქვენ შეგიძლიათ კარგად თამაში. ქართველ ქომაგს იმედს მთლად ნუ გადაუწურავთ, ხელს ნუ ჩააქნევინებთ. ბავშვებს, რომელთაც ფეხბურთელობა სურთ, ამ ტკბილ ოცნებას ნუ მოუკლავთ...

თქვენ და ჩვენ, ყველამ ერთად აქ, საქართველოში უნდა ვიცხოვროთ, ერთმანეთის თვალებში უნდა ჩავხედოთ, ერთად უნდა ვასახელოთ ჩვენი ქვეყანა. ეს თქვენი, ჩვენი, ყველას ვალია. ეროვნული ნაკრები ხომ ჩვენია, ყველა ქართველისაა, ქვეყნის მთავარი გუნდია, ღირსება და იმიჯია...

მაშ, მიდით, ბიჭებო, საქართველოსთვის, მიდით, ბიჭებო! თქვენ ეს შეგიძლიათ! აჩუქეთ მთელ საქართველოს ლამაზი საფეხბურთო სალამო, დაუბრუნეთ ქომაგებს იმედი, სიხარული აჩუქეთ მათ. მიდით, ბიჭებო!

დავით ცაბაძე

ახალგაზრდული ნაკრები

კახა ცხადაძე

# შედეგი ამხანაგურ შეხვედრაშიც მნიშვნელოვანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცხადაძეს სჯერა, რომ რუსთაველები ახალგაზრდულ ნაკრებს გვერდში დაუდგებიან

**გუშინ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კახა ცხადაძემ ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართა და ბელარუსთან ამხანაგური შეხვედრისთვის მზადებაზე ისაუბრა...**

- ეს შეხვედრა სასელექციო მიზნებს ემსახურება. ყველა ფეხბურთელს თავის გამოჩენის მაქსიმალურ შესაძლებლობას მივცემთ. არც ერთმა მათგანმა თავი დაჩაგრულად არ უნდა იგრძნოს. სექტემბრისთვის უკვე უნდა ვიცოდეთ, რა კონტინგენტს დავეყრდნობით შესარჩევ ციკლში.

**- კვიპროსულ მატჩში რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე გიორგი განუგრავამ?**

- სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ მხოლოდ პირველ ტაიმს გაუძლებდა. რაც არ უნდა იყოს, გიორგი უგუნდოდაა და მოსამზადებელი შეკრება არ გაუვლია. ამას გარდა, ტრავმებმა შეაწუხა და მეორე ტაიმის დასაწყისში მის გამოცვლას ვაპირებდი. ფაქტია, რომ სათამაშო პრაქტიკის არქონის გამო, ფიზიკურად ჩვეულ ფორმაში ვერ არის. თუმცა გიორგიმ საკმაოდ კარგად ითამაშა და სათამაშო კონდიცია ერთ საათზე მეტხანს შეინარჩუნა, მხოლოდ 73-ე წუთზე გამოვცვალეთ. კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ განუგრავას დაკარგვა არ შეიძლებოდა და მიმაჩნია, რომ დანაშაულია, რა დროც მას გაუცდა. ასეთი ფეხბურთელის დაკარგვა არ შეიძლებოდა. საერთოდ, განუგრავას ჩვენი გუნდის ლიდერობა და გუნდის აყოლიება შეუძლია. მჯერა, ფორმაში ჩადგება და ეროვნულ გუნდში მისი დაბრუნების საკითხსაც მალე დააყენებენ დღის წესრიგში.

**- განუგრავას გარდა, შეგიძლიათ დაასახელოთ კიდევ რომელიმე ფეხბურთელი, რომელსაც ლიდერის ტვირთის ზიდვა შეუძლიათ?**

- არის რამდენიმე ფეხბურთელი, მაგრამ მათ დაკონკრეტებას მოვერიდები.

**- ვინ გახდება ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანი?**

- არიან კანდიდატები და სექტემბრამდე საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.

**- ბელარუსთან მატჩის რუსთავში გამართვა ვისი იდეა იყო?**

- ჩემი იდეა იყო და ფეხბურთის ფედერაციაშიც ამიბეს მხარი. უბრალოდ, ჩემი ხელმძღვანელობით ეს პირველი საშინაო შეხვედრაა და მსურდა, მშობლიურ ქალაქში გვეთამაშა.

**- თქვენი აზრით, რუსთავში ხალხი მოვა სტადიონზე?**

- იმედია, მოვა. უპირველეს ყოვლისა, ხალხი იმიტომ უნდა მოვიდეს, რომ საქართველოს ერთ-ერთი ასაკობრივი ნაკრები თამაშობს. იმედია, ჩემი ფაქტორიც იმოქმედებს... მოკლედ, გულშემატკივარი გვერდში უნდა დაგვიდგეს და ფეხბურთელები გაამხნევოს. იმედია, ჩვენი თამაშით მათ გახარებას შევძლებთ. მსურს, წინასწარ გადავუხადო მადლობა სტადიონისა და რეგიონის ხელმძღვანელობას, რადგან ვიცი, მატჩის სამასპინძლოდ დიდი მონდომებით ემზადებიან. ახლო ურთიერთობა მაქვს ქვემო ქართლის გუბერნატორ დავით კირკიტაძესთან და საორგანიზაციო საკითხებში ის ყველანაირად გვეხმარება.

**- თქვენთვის შედეგი მნიშვნელოვანია? შეხვედრა მაინც ამხანაგურია და...**

- აუცილებლად! შედეგი ყოველთვის მნიშვნელოვანია, თუნდაც ამხანაგური მატჩში. ყველა უნდა შეეცადოს მაქსიმალური შედეგის მიღწევას. ჩვენი ამოცანა ნებისმიერ მეტოქესთან მხოლოდ გამარჯვება უნდა იყოს. სხვაგვარად, ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამარჯვებულის მენტალიტეტი ვერ ჩამოუყალიბდებათ.

**- რატომ ვარჯიშობს დღეს გუნდი საგურამოში და არა რუსთავში, სადაც ბელარუსებს უნდა ვუმასპინძლოთ?**



კახა ცხადაძე

- ჯერ ერთი, მცხეთაში გავჩერდით და შორ მანძილზე მგზავრობა გამოგვივიდოდა. მეორე ფაქტორიცაა - რუსთავში მოედანს უფრთხილდებიან და თამაშამდე გაზონის გათელვა არ გვსურდა.

პრესკონფერენციაზე დამსწრე ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორის **ნიკა ჩხეიძის** ინფორმაციით, ორივე შეხვედრებისთვის მზადება გრაფიკით მიმდინარეობს და მიუხედავად ბოლოდროინდელი ნაგებებისა, მან ტრიბუნების შევსების იმედი გამოთქვა. ჩხეიძეს სანაკრებო მატჩების ორგანიზაცია ევალება და მისი თქმით, 31 მარტის 14 საათისთვის საქართველოსა და ჩერნოგორიის მატჩზე დასასწრები ბილეთებიდან მხოლოდ 3 ათასი იყო გაყიდული.

მერაბ მამულაშვილი

***P.S.** გუშინ გერმანიის ახალგაზრდული ნაკრები ბელარუს თანატოლებს მასპინძლობდა. გაგიკვირდათ? დიახ, დღეს საქართველოს 21-წლამდელები სწორედ ბელარუსის ახალგაზრდულ ნაკრებს ეთამაშებიან. დავაზუსტებთ: ბელარუსს 21-წლამდელთა ორი ნაკრები ჰყავს - ძველი და ახალი. „ძველი“ ის არის, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გასულ 8 საუკეთესო გუნდს შორის რომ მოხვდა. რუსთავში კი ბელარუსების იმ ნაკრებს დავუპირისპირდებით, ჩვენებრ ახალ შესარჩევი ციკლისთვის იასპარეზებს.*

საქართველო-ჩერნოგორია

მეტოქე

# ვუჩინიჩი და კიდევ სამი...

## ჩერნოგორიას მნიშვნელოვანი დანაკლისი აქვს

ჩერნოგორიის ნაკრები თბილისში გუშინ ნაშუადღევს, ჩარტერული რეისით ჩამოფრინდა. ბალკანელები დედაქალაქის ცენტრში მდებარე სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ დაბინავდნენ და სალამოს ეროვნულ სტადიონზე ვარჯიშიც გამართეს. მანამდე კი ნაკრების თავკაცმა ზორან ფილიპოვიჩმა პრესკონფერენცია გამართა.

**- თქვენი ნაკრებისთვის მიმდინარე შესარჩევი ციკლი სადებიუტოა. განვლილი მატჩებით რამდენად კმაყოფილი ხართ?**

- დიახ, ეს ჩვენთვის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპია. თუმცა მანამდე ამხანაგური მატჩები გავმართეთ, მათ შორის, საკმაოდ ძლიერ გუნდებთანაც. ასე რომ, შესარჩევი ციკლისთვის შეძლებისდაგვარად მოვემზადეთ და ჯერჯერობით ჩემი გუნდის თამაშით უკმაყოფილო არ ვარ. რაც შეეხება ოთხშაბათის თამაშს, ვიცი, საქართველოს ნაკრები კარგი გუნდია და ჩვენი არ იყოს, იმსახურებს იმას, რომ ამ დროისთვის მეტი ქულა ჰქონდეს. ძალიან მომეწონა თქვენი ნაკრები ირლანდიასთან გასვლით მატჩში, მაგრამ არ გაგიმართლათ... ასეთია ფეხბურთი...

**- როგორც გავიგეთ, თბილისში არ ჩამოსულა „რომას“ ფორვარდი მირკო ვუჩინიჩი. რა არის ამისი მიზეზი და კიდევ ვინ გაკლიათ?**

- დიახ, ვუჩინიჩი არ ჩამოსულა, ამას გარდა, ვერ ითამაშებენ ვუკჩევიჩი და მარჯვენა მცველი პავიჩევიჩი, რომელიც დისკვალიფიცირებულია... მოკლედ, ძალზე მნიშვნელოვანი ფიგურები დაგვაკლდებიან. თუმცა თბილისში ტყუილად არ ჩამოვსულვართ...

**- რა იცით საქართველოს ნაკრებზე?**

- კვიპროსში ჩემი ერთ-ერთი თანაშემწე იყო და ბევრი რამ მითხრა თქვენს ნაკრებზე. როგორც გავიგე, ლარნაკაში საქართველომ კარგად ითამაშა, მაგრამ... უბრალოდ, არ გაუმართლა.

**- თბილისში შემტევ ფეხბურთს ითამაშებთ თუ დაცვითს?**

- ეს მეტოქეზე იქნება დამოკიდებული. თბილისში მოსაგებად ჩამოვედით და ვნახოთ, რა გამოგვივა. საქართველო შინ თამაშობს და ვიცი, გულშემატკივრის მხარდაჭერა ექნება. ვიცი ისიც, რომ ერთგული ქომაგები გყავთ. მაგრამ იმის იმედიც მაქვს, რომ ჩემი ფეხბურთელები სრულად არიან მოტივირებულნი. კიდევ ერთხელ ვამბობ - 3 ქულისთვის დიდ ბრძოლას გავმართავთ.

**- ჯერჯერობით, 2 ქულა გაქვთ და რას უმიზნებთ მიმდინარე შესარჩევ ციკლში?**

- ჩვენი მიზანია ყველა შეხვედრაში, ნებისმიერ მეტოქესთან კარგი თამაში ვაჩვენოთ, ყველა გუნდს გავუწიოთ კონკურენცია. ახალგაზრდა და საკმაოდ კარგი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული გუნდი გვყავს. ეს კი გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნებისმიერი ოპონენტისთვის უხერხული მეტოქე ვიყოთ. ვეცდებით, ყველა მატჩში დავამტკიცოთ, რომ ჩვენც შეგვიძლია მაღალ დონეზე თამაში და იმედი მაქვს, ამას მოვახერხებთ კიდეც.

**- საქართველოსთან მოგებისთვის მოთამაშეებს პრემია ხომ არ დაუწესეთ?**

- არა, არანაირი პრემია. პირველ რიგში, ჩემი ფეხბურთელებისთვის მოტივაცია ის არის, რომ ეროვნულ ნაკრებში თამაშობენ.

**- ჩერნოგორიელი ფეხბურთელები ადრე სერბეთის სახელით ასპარეზობდნენ. რამდენად წაადგა თქვენს ფეხბურთს დამოუკიდებლობა?**

- როცა ქვეყანა დამოუკიდებელი ხდება, პრობლემები ყველა სფეროშია, მაგრამ ეს მოგვარებადია.

» 5



ზორან ფილიპოვიჩი



ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ახალგაზრდული ნაკრები


მარცხნიდან, წინა პლანზე: გიორგი ხიდეშელი და გიორგი განუგრავა

*ინტერვიუ გიორგი ხიდეშელთან*

# ჩვენზე მეტად, გამარჯვება არავის უნდა...

პეტარ შეგრტის დროს, გიორგი ხიდეშელი ახალგაზრდული ნაკრების საყრდენი ნახევარმცველი გახდა. ხორვატმა მწვრთნელმა, მოედნის ცენტრში არსებული პრობლემების გადასაწყვეტად, ტანმაღალი ცენტრალური მცველი შუა ხაზში გადაისროლა. კახა ცხადაძემ კი, დანიშვნისთანავე, „ზესტაფონის" ფეხბურთელის ძველ პოზიციაზე გამოყენება გადაწყვიტა. სხვათა შორის, ამ საკითხში ცხადაძისა და „ზესტაფონის" მწვრთნელ გია გეგუჩაძის შორის თანამშრომლობა ნაკრებისა და კლუბის მწვრთნელთა ურთიერთობის მაგალითად უნდა იქცეს. გეგუჩაძემ ცხადაძის სურვილი გაიზიარა და ნაკრების ინტერესებიდან გამომდინარე, ხიდეშელი კლუბშიც დაცვაში დახია.

კვიპროსული მატჩის შემდეგ გიორგის სწორედ ამ და სხვა საინტერესო თემებზე გავესაუბრეთ...

**- გიორგი, შენ და ლაშა თოთაძემ დაცვის ცენტრში პირველად ითამაშეთ. ყველაზე მეტად რომელი ხარვეზი გაქვთ გამოსასწორებელი?**

- ეს ჩვენთვის პირველი თამაში იყო და ბუნებრივია, შეუთამაშებელი ცენტრალური მცველების დუეტი იდეალური ვერ იქნებოდა. თუმცა ლაშას გვერდით თამაში ძალიან მომეწონა. ის ფიზიკურად ძალიან ძლიერია, თავით მშვენივრად თამაშობს და პოზიციას ზუსტად არჩევს. სხვათა შორის, რუმინეთთან შეკრებაზე ერთად ვიყავით და მას მერე აშკარად მომატებული აქვს. ფეხბურთელის ასეთი პროგრესი ძალიან იშვიათად მინახავს. ჩვენი ყველაზე თვალში საცემი მინუსი ის არის, რომ ორივე ცაცია ვართ. თუმცა ამხანაგური შეხვედრებით შევთამაშდებით და ერთმანეთს გაცილებით უკეთ გავუგებთ. ვგრძნობ, ეს შესაძლებელია. ფეხბურთელთან ურთიერთობაც უნდა გსიამოვნებდეს და პარტნიორობაც. ლაშა კარგი ადამიანი და ფეხბურთელია. ასე რომ, ვფიქრობ, ჩვენს დუეტს მომავალი აქვს.

**- ცხადაძის თქმით, კვიპროსში ნაკრებმა თავდაპირველად ქაოტურად ითამაშა. თუმცა ფეხბურთელებისგან ძირითადად გვესმის, რომ თამაშით კმაყოფილნი ხართ...**

- არ მგონია, რომ კვიპროსთან ფრე რომელიმე ჩვენგანს აკმაყოფილებდეს. უბრალოდ, ეს იყო ჩვენი პირველი შეხვედრა და მსგავსი შეფასება ამის გათვალისწინებით კეთდებოდა. რაც შეეხება ქაოტურ ფეხბურთს... იცით, შესაძლოა, ეს ზედმეტი მონდომების შედეგიც იყო. პირველ ტაიმში მწვრთნელის დავალება კარგად ვერ შევასრულეთ. მეორეში კი უფრო თავისუფლად ავთამაშდით და ცხადაძეც უფრო კმაყოფილი დარჩა. საბოლოო ჯამში, არც მწვრთნელი და არც ფეხბურთელები ფრემ ნამდვილად არ გაგვახარა.

**- ცხადაძემ ნაკრებში ახალი სტილი დანერგა. საინტერესოა, მისი მუშაობის ობიექტურად შეფასება...**

- მარტო ჩვენ კი არა, ყველა ხედავს, რომ ცხადაძე მონდომებული სპეციალისტია. დარწმუნებული ვარ, რაც უფრო მალე შევთამაშდებით, მით უფრო ძლიერ გუნდად ჩამოგვაყალიბებს.

**- ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელები ლამის ერთი თაობის ფეხბურთელები არიან. მათთან მუშაობა თქვენზე რა გავლენას ახდენს?**

- მწვრთნელებს რომ ვენდობით, ეს უკვე ერთი დიდი პლუსია და ბევრს ნიშნავს. ყველამ ვიცით, ცხადაძემ რა დონეზეც ითამაშა. აქედან გამომდინარე, მისი ნდობა გვაქვს. მეორე - წმინდა პროფესიული თვისებებია - კახა ძალიან მარტივი, ადამიანური ენით გვიხსნის დავალებებს და ფეხბურთელებთან მიდგომა იცის. პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანია ის, რომ ცხადაძე ცენტრალური მცველი იყო. მოკლედ, ჭკვიანი კაცია.

**- ბელარუსის ნაკრებზე რაიმე ინფორმაცია თუ გაქვთ?**

- მხოლოდ შემადგენლობიდან გამომდინარე მექმნება წარმოდგენა, რომ ურიგო გუნდი არ უნდა იყოს. მოთამაშეთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკრაინისა და რუსეთის უმაღლეს ლიგებში თამაშობენ.

**- გიორგი, ზოგჯერ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ფეხბურთელები კარგად ვერ აცნობიერებენ ხალხის წინაშე პასუხისმგებლობას. იცით, როგორ ელოდება საქართველო თქვენს თითოეულ მატჩსა და მით უფრო - გამარჯვებას?**

- შემიძლია აბსოლუტურად გულახდილად გითხრათ, რომ ჩემს თაობაში ბექა გოცირიძე, გიორგი განუგრავა, ლექსო ბენაშვილი, ირაკლი ძარია და ახალგაზრდულში შეკრებილი ბიჭები ძალიან განვიცდით იმ მდგომარეობას, რომელშიც დღეს ქართული ფეხბურთი ალმოჩნდა. დამიჯერეთ, ჩვენზე მეტად გამარჯვება არც ერთ გულშემატკივარს არ სურს. იმედია, ეს შრომა ადრე თუ გვიან დაგვიფასდება. დარწმუნებული ვარ, იგივე ხდება ეროვნულ ნაკრებშიც. არავინ თქვას, რომ ფეხბურთელები უგულოდ თამაშობენ.

**- ამას არავინ ამბობს, რადგან წარმოუდგენელია, ფეხბურთელს მოგება არ სურდეს. თუმცა, ხატოვნად რომ ვთქვათ, ქართველი ფეხბურთელების მიერ მომზადებულ კერძს აშკარად მარილი აკლია...**

- ალბათ, მთლიანად ქართულ ფეხბურთშია ჩავარდნა და ადრე თუ გვიან, იმედია, ამ კრიზისს ჩვენი თაობა მაინც დაძლევს.

**მერაბ მამულაშვილი**

*ინტერვიუ გიორგი განუგრავასთან*

# ცხადაძემ მეორე სუნთქვა გამიხსნა

ორწლიანი პაუზის შემდეგ გიორგი განუგრავამ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ფორმა მოირგო. კახა ცხადაძემ ის კვიპროსელ თანატოლებთან ამხანაგურ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაშიც ათამაშა. გიორგისთვის ეს გამოძახება სერიოზული სტიმული ალმოჩნდა...

- კვიპროსში ამ შემადგენლობით პირველად ვითამაშეთ. დასამალი არ არის, რომ მთელი 90 წუთის განმავლობაში ვერ შევძელით გამართული ფეხბურთის თამაში, თუმცა დადებითი მომენტია ის, რომ ოთხი დღის განმავლობაში მწვრთნელის დავალებები და მითითებები მაქსიმალურად ავითვისეთ. პირველად ვმუშაობ კახა ცხადაძესთან და აშკარაა, რომ მან ფეხბურთელებთან მიდგომა იცის.

**- ბელარუსის ნაკრებთან შეხვედრაზე რას იტყვი?**

- იმედია, მოვიგებთ, ყოველ შემთხვევაში, ეს თითოეული ჩვენგანისთვის იმის შანსია, რომ საკუთარი შესაძლებლობები გამოვავლინოთ.

**- შენც გიჩნდება რეალური შანსი, რომ ეროვნული ნაკრების მწვრთნელს თავი უფრო მეტად მოაწონო...**

- ამის იმედი ყოველთვის მქონდა. ფეხბურთელის ცხოვრებაში ხან ალმასვლაა, ხან დაღმასვლა. მე ხანგრძლივი დაღმასვლის შემდეგაც არ დამიკარგავს წინსვლის იმედი. ბოლოს და ბოლოს, რამდენიმე წელია, ბევრს ვშრომობ, რომ კარიერა ავიწყო და ამ შრომას ერთი ხელის მოსმით წყალში ვერ ჩავყრი. ეროვნულ ნაკრებში მოსახვედრად, თამაში და მონდომება არასდროს დამიკლია. იმედია, რუსთავშიც ასე იქნება. და რაც მთავარია, ახალგაზრდული ნაკრების მთავარი მწვრთნელისგან იმხელა ნდობა ვიგრძენი, მეორე სუნთქვა გამეხსნა და უდიდესი სტიმული გამიჩნდა.

**- შესაძლოა, თამაშზე მეტად ახლა სწორედ ეს სტიმული გჭირდებოდა...**

- რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეს ძალიან მჭირდებოდა. კახას ძალიან კარგად ესმის ადამიანების, შეუძლია, ფეხბურთელი სათამაშოდ განაწყოს, ნამდვილი პროფესიონალია. ცხადია, ასეთი მწვრთნელის მხარდაჭერა ბევრს ნიშნავს და ძალა მომეცა. აქვე, მინდა ვისარგებლო შემთხვევით და ეროვნული ნაკრების ფეხბურთელებს ჩერნოგორიასთან წარმატება ვუსურვო.

**მერაბ მამულაშვილი**

# თარგამაძე ფრაიბურგმა არ გამოუშვა

**დავით თარგამაძე** ბელარუსთან ამხანაგური მატჩისთვისაც ვერ ჩამოვიდა. როგორც ცნობილია, კახა ცხადაძემ „ფრაიბურგის" 19 წლის ნახევარმცველი კვიპროსისა და ბელარუსის ნაკრებებთან სათამაშოდ გამოიძახა. თუმცა, როგორც გაირკვა, ის ვიზის დროულად გაკეთებას ვერ ახერხებდა, რადგან კლუბმა ფრაიბურგიდან ჰამბურგში (ამ ქალაქებს შორის მანძილი 900 კილომეტრია) წასვლის უფლება არ მისცა. შესაბამისად, მას კლუბმა თბილისში გამომგზავრების საშუალებაც არ მისცა.

*„სამწუხაროდ, თბილისშიც ვერ მოვდივარ. „ფრაიბურგს" მნიშვნელოვანი თამაშები უწევს და მწვრთნელი არ მიშვებს. კვიპროსშიც იმიტომ ვერ წამოვედი, რომ ვიზის გასაკეთებლად, მინიმუმ, ორი დღით მაინც უნდა ჩავსულიყავი ჰამბურგში, კლუბში კი ამხელა დასვენების უფლებას არავინ მომცემდა. კვიპროსის შემდეგ თბილისში ჩამოსვლა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ მითხრეს, ორი დღის გამო ვერ გაგიშვებთო. ჩემზე მეტად ჩამოსვლა არავის არ სურს, მაგრამ არ გამოდის და რა ვქნა? იმედია, ოფიციალურ შეხვედრებში ისევ მიმიწვევენ, ამ დროს კი კლუბი ხელს ველარ შემიშლის",* - გვითხრა თარგამაძემ.

**მერაბ მამულაშვილი**

U 17

*ამხანაგური მატჩი*

# მარცხი ყოფილი აიაქსელის თვალწინ

საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრებმა გუშინ ამსტერდამში „აიაქსის" თანატოლებთან ამხანაგური მატჩი ითამაშა და 0:2 დამარცხდა. შეხვედრას ყოფილი აიაქსელი **შოთა არველაძეც** დაესწრო და გვითხრა, რომ ჩვენმა ჭაბუკებმა მეტოქეს თამაშით კი აჯობეს, მაგრამ საგოლე მომენტების რეალიზაციაში ვერ იყოჩაღეს.

**გიორგი დევდარიანის** გუნდი ჰოლანდიაში მეორე სპარინგსაც გამართავს - 4 აპრილს ესენის (გერმანია) „როტ ვაისთან".

**დავით თავართქილაძე**

# ვუჩინიჩი და კიდევ სამი...

4 « დამოუკიდებლობა, როგორც ქვეყნის მთავარი მონაპოვარი, საუკუნეების განმავლობაში დარჩება. პრობლემები გვაქვს ფეხბურთშიც, თუნდაც სტადიონებთან და საერთოდ, ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებით... თუმცა მთავარია, რომ ახლა დამოუკიდებლები ვართ და ამ პრობლემებს მალე მოვაგვარებთ. ჩვენ გვყავდა და დღესაც გვყავს მაღალი დონის ფეხბურთელები, რომლებიც სხვა ქვეყნის სახელით თამაშობენ. ეს ტალანტები არ იკარგებიან და მომავალ თაობებსაც ზრდიან. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ ჩერნოგორიაში კვლავაც გაიზარდონ ნიჭიერი თაობები. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დამოუკიდებელ ჩემპიონატს ვატარებთ. საკმაოდ ნორმალური დონის პირველობაა.

**- გაქვთ თუ არა ინფორმაცია თბილისის „დინამოს" წევრ ილია სპასოევიჩზე? თუ ადევნებთ თვალს მის თამაშს და თქვენს ნაკრებშიც ხომ არ ვიხილავთ?**

- სპასოევიჩზე საკმაო ინფორმაცია მაქვს. ის კარგი ფეხბურთელია, ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების წევრია და იმედი მაქვს, მომავალში ეროვნულშიც მოუწევს თამაში.

პრესკონფერენციის შემდეგ მალე წვრთნაც დაიწყო. ფილიპოვიჩმა თავიდანვე აღნიშნა, რომ მასმედიელები ვარჯიშის მხოლოდ პირველ 15 წუთს ნახავდნენ. ეს დრო გამოვიყენეთ იმისთვის, რომ ჩერნოგორიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, წარსულში დიდი „მილანის" ფორვარდსა და ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულ **დეიან სავიჩევიჩს** გავესაუბრებოდით. მოუცლელობის გამო ის მხოლოდ მცირე კომენტარით შემოიფარგლა:

*„თქვენი ნაკრების მოთამაშეებიდან ხშირად მინახავს კახა კალაძისა და ლევან კობიაშვილის თამაში. ვნახე საქართველოს მატჩი ირლანდიასთანაც. იმ თამაშიდან კარგად დამამახსოვრდნენ ფლანგებზე მოთამაშე ფეხბურთელები - იაშვილი და ერთი სწრაფი, ტანმორჩილი ფეხბურთელი (ბექა გოცირიძე - ავტ), რომელიც, თუ არ ვცდები, უკრაინულ კლუბში თამაშობს. გამოგიტყდებით და, ქართული ფეხბურთის შესახებ ბევრი არაფერი ვიცი".*

მერე ჩერნოგორიელ კოლეგებსაც გავესაუბრე. ალმოჩნდა, რომ **ვუჩინიჩის** („რომა"), **ვუკჩევიჩისა** (ლისაბონის „სპორტინგი") და **პავიჩევიჩის** („კოტბუსი") გარდა, თბილისში არ ჩამოსულა პერმის „ამკარის" ნახევარმცველი **მიტარ ნოვაკოვიჩიც**. როგორც გავიგეთ, **ზორან ფილიპოვიჩის** გუნდი ზოგადად 4-4-2 ტაქტიკით თამაშობს. ჩერნოგორიელთა სავარაუდო თერთმეტეული ასეთია: **პოლეკშიჩი - ზვეროტიჩი, ბაშა, ბატაკი, ვ. ბოჟოვიჩი - დელიჩი, პეკოვიჩი, დრინჩიჩი, ბოშკოვიჩი - იოვეტიჩი, იალოვიჩი.**

**დავით ცაბაძე**



# უცხოური ფეხბურთი

## სამხ. აფრიკა 2010. საკვალიფიკაციო ეტაპი. ევროპა

### I ჯგუფი

დანია-ალბანეთი
უნგრეთი-მალტა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დანია | 4 | 3 | 1 | 0 | 9-2 | 10 |
| 2. უნგრეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 5-2 | 10 |
| 3. პორტუგალია | 5 | 1 | 3 | 1 | 6-3 | 6 |
| 4. შვედეთი | 4 | 1 | 3 | 0 | 2-1 | 6 |
| 5. ალბანეთი | 6 | 1 | 3 | 2 | 3-3 | 6 |
| 6. მალტა | 6 | 0 | 1 | 5 | 0-14 | 1 |

### II ჯგუფი

საბერძნეთი-ისრაელი
ლატვია-ლუქსემბურგი
შვეიცარია-მოლდოვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 5 | 3 | 1 | 1 | 10-3 | 10 |
| 2. შვეიცარია | 5 | 3 | 1 | 1 | 9-6 | 10 |
| 3. ისრაელი | 5 | 2 | 3 | 0 | 9-6 | 9 |
| 4. ლატვია | 5 | 2 | 1 | 2 | 8-6 | 7 |
| 5. ლუქსემბურგი | 5 | 1 | 1 | 3 | 3-11 | 4 |
| 6. მოლდოვა | 5 | 0 | 1 | 4 | 2-9 | 1 |

### III ჯგუფი

ჩეხეთი-სლოვაკეთი
ჩრ. ირლანდია-სლოვენია
პოლონეთი-სან მარინო

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩრ. ირლანდია | 6 | 3 | 1 | 2 | 11-6 | 10 |
| 2. სლოვაკეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-5 | 9 |
| 3. ჩეხეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-2 | 8 |
| 4. სლოვენია | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 5. პოლონეთი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-7 | 7 |
| 6. სან მარინო | 5 | 0 | 0 | 5 | 1-15 | 0 |

### IV ჯგუფი

ლიხტენშტაინი-რუსეთი
უელსი-გერმანია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გერმანია | 5 | 4 | 1 | 0 | 16-4 | 13 |
| 2. რუსეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 8-3 | 9 |
| 3. ფინეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 4. უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 4-5 | 6 |
| 5. აზერბაიჯანი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-4 | 1 |
| 6. ლიხტენშტაინი | 4 | 0 | 1 | 3 | 0-12 | 1 |

### V ჯგუფი

ესტონეთი-სომხეთი
თურქეთი-ესპანეთი
ბოსნია-ბელგია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ესპანეთი | 5 | 5 | 0 | 0 | 11-1 | 15 |
| 2. ბოსნია | 5 | 3 | 0 | 2 | 16-6 | 9 |
| 3. თურქეთი | 5 | 2 | 2 | 1 | 5-3 | 8 |
| 4. ბელგია | 5 | 2 | 1 | 2 | 9-9 | 7 |
| 5. ესტონეთი | 5 | 0 | 2 | 3 | 4-15 | 2 |
| 6. სომხეთი | 5 | 0 | 1 | 4 | 3-14 | 1 |

### VI ჯგუფი

ინგლისი-უკრაინა
ანდორა-ხორვატია
ყაზახეთი-ბელარუსი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინგლისი | 4 | 4 | 0 | 0 | 14-3 | 12 |
| 2. ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 8-4 | 7 |
| 3. უკრაინა | 3 | 2 | 1 | 0 | 4-1 | 7 |
| 4. ბელარუსი | 3 | 1 | 0 | 2 | 4-5 | 3 |
| 5. ყაზახეთი | 4 | 1 | 0 | 3 | 5-11 | 3 |
| 6. ანდორა | 4 | 0 | 0 | 4 | 1-12 | 0 |

### VII ჯგუფი

ავსტრია-რუმინეთი
საფრანგეთი-ლიტვა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სერბეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 12-5 | 12 |
| 2. ლიტვა | 5 | 3 | 0 | 2 | 6-4 | 9 |
| 3. საფრანგეთი | 4 | 2 | 1 | 1 | 6-6 | 7 |
| 4. ავსტრია | 4 | 1 | 1 | 2 | 5-7 | 4 |
| 5. რუმინეთი | 4 | 1 | 1 | 2 | 5-8 | 4 |
| 6. ფარერები | 4 | 0 | 1 | 3 | 1-5 | 1 |

### IX ჯგუფი

შოტლანდია-ისლანდია
ჰოლანდია-მაკედონია

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჰოლანდია | 4 | 4 | 0 | 0 | 8-1 | 12 |
| 2. ისლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 4-6 | 4 |
| 3. შოტლანდია | 4 | 1 | 1 | 2 | 2-5 | 4 |
| 4. მაკედონია | 3 | 1 | 0 | 2 | 2-3 | 3 |
| 5. ნორვეგია | 3 | 0 | 2 | 1 | 2-3 | 2 |

### სამხრეთი ამერიკა. XII ტური

ეკვადორი-პარაგვაი
ბოლივია-არგენტინა
ჩილე-ურუგვაი
ბრაზილია-პერუ

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პარაგვაი | 11 | 7 | 2 | 2 | 18-8 | 23 |
| 2. არგენტინა | 11 | 5 | 4 | 2 | 17-7 | 19 |
| 3. ჩილე | 11 | 6 | 1 | 4 | 17-14 | 19 |
| 4. ბრაზილია | 11 | 4 | 6 | 1 | 16-5 | 18 |
| 5. ურუგვაი | 11 | 4 | 4 | 3 | 21-10 | 16 |
| 6. კოლუმბია | 11 | 3 | 5 | 3 | 6-8 | 14 |
| 7. ეკვადორი | 11 | 3 | 4 | 4 | 13-18 | 13 |
| 8. ვენესუელა | 11 | 3 | 1 | 7 | 12-22 | 10 |
| 9. ბოლივია | 11 | 2 | 3 | 6 | 13-24 | 9 |
| 10. პერუ | 11 | 1 | 4 | 6 | 6-23 | 7 |

William HILL
უილიამ ჰილის კოეფიციენტები

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი

| თარ. | დრო | წყვილი | 1 | x | 2 |
|---|---|---|---|---|---|
| 1 APR 09 | 01:00 | VENEZUELA-COLOMBIA | 2.60 | 3.25 | 2.70 |
| 1 APR 09 | 11:00 | AUSTRALIA-UZBEKISTAN | 1.36 | 4.50 | 9.00 |
| 1 APR 09 | 12:00 | SOUTH KOREA-NORTH KOREA | 1.67 | 3.40 | 6.00 |
| 1 APR 09 | 15:15 | BAHRAIN-QATAR | 1.80 | 3.25 | 3.80 |
| 1 APR 09 | 15:30 | KAZAKHSTAN-BELARUS | 3.30 | 3.25 | 2.20 |
| 1 APR 09 | 16:00 | BULGARIA-CYPRUS | 1.44 | 4.00 | 8.00 |
| 1 APR 09 | 16:00 | ESTONIA-ARMENIA | 2.10 | 3.20 | 3.60 |
| 1 APR 09 | 16:30 | LATVIA-LUXEMBOURG | 1.17 | 6.50 | 17.00 |
| 1 APR 09 | 18:00 | GEORGIA-MONTENEGRO | 2.62 | 3.25 | 2.62 |
| 1 APR 09 | 18:00 | HUNGARY-MALTA | 1.12 | 7.50 | 21.00 |
| 1 APR 09 | 18:30 | LIECHTENSTEIN-RUSSIA | 41.00 | 13.00 | 1.04 |
| 1 APR 09 | 18:30 | SAUDI ARABIA-U.A.E. | 1.36 | 4.00 | 7.00 |
| 1 APR 09 | 19:00 | TURKEY-SPAIN | 3.60 | 3.30 | 2.05 |
| 1 APR 09 | 19:15 | DENMARK-ALBANIA | 1.25 | 5.00 | 15.00 |
| 1 APR 09 | 19:30 | AUSTRIA-ROMANIA | 3.20 | 3.20 | 2.30 |
| 1 APR 09 | 19:30 | CZECH REP.-SLOVAKIA | 1.50 | 4.00 | 7.00 |
| 1 APR 09 | 19:30 | ANDORRA-CROATIA | 67.00 | 15.00 | 1.02 |
| 1 APR 09 | 19:30 | GREECE-ISRAEL | 1.80 | 3.30 | 4.80 |
| 1 APR 09 | 19:30 | SWITZERLAND-MOLDOVA | 1.14 | 7.00 | 21.00 |
| 1 APR 09 | 19:30 | POLAND-SAN MARINO | 1.02 | 15.00 | 81.00 |
| 1 APR 09 | 19:45 | NORTHERN IRELAND-SLOVENIA | 2.25 | 3.20 | 3.30 |
| 1 APR 09 | 19:45 | BOSNIA-BELGIUM | 2.10 | 3.30 | 3.50 |
| 1 APR 09 | 19:45 | WALES-GERMANY | 8.00 | 4.33 | 1.40 |
| 1 APR 09 | 19:45 | NETHERLANDS-FYR MACEDONIA | 1.17 | 7.00 | 15.00 |
| 1 APR 09 | 19:50 | ITALY-REP OF IRELAND | 1.44 | 3.80 | 9.00 |
| 1 APR 09 | 20:00 | FRANCE-LITHUANIA | 1.17 | 6.00 | 21.00 |
| 1 APR 09 | 20:00 | ENGLAND-UKRAINE | 1.40 | 4.20 | 9.00 |
| 1 APR 09 | 20:00 | SCOTLAND-ICELAND | 1.57 | 3.75 | 6.00 |
| 1 APR 09 | 20:30 | BOLIVIA-ARGENTINA | 6.00 | 3.75 | 1.57 |
| 1 APR 09 | 22:30 | ECUADOR-PARAGUAY | 2.05 | 3.20 | 3.75 |
| 2 APR 09 | 00:10 | CHILE-URUGUAY | 2.25 | 3.25 | 3.20 |
| 2 APR 09 | 00:30 | USA-TRINIDAD & TOBAGO | 1.22 | 4.80 | 10.00 |
| 2 APR 09 | 02:10 | BRAZIL-PERU | 1.17 | 6.50 | 17.00 |
| 2 APR 09 | 02:30 | HONDURAS-MEXICO | 2.75 | 3.10 | 2.30 |
| 2 APR 09 | 03:00 | COSTA RICA-EL SALVADOR | 1.33 | 4.00 | 8.00 |

## სამხრეთი ამერიკა. წინასამატჩო

# დუნგას კაკა დაუბრუნდა

### მარადონას ლა პასის გაიშვიათებული ჟანგბადი არ აშინებს

#### ბრაზილია-პერუ

გასულ კვირას ბრაზილიის ნაკრებმა კიტოში ეკვადორის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ უაღრესად უსახურად და არადამაჯერებლად ითამაშა. ამის შესახებ სამატჩო მიმოხილვაშიც ვისაუბრეთ. ამიტომ დღეს მოკლედ შეგახსენებთ, რომ მასპინძლებმა სელესაოს პრაქტიკულად ყველა კომპონენტში აჯობეს. პენტაკამპეონთა რიგებში ყველაზე გამორჩეული ფიგურა **ჟულიო სეზარი** გახლდათ. სტუმართა მეკარემ ეროვნული გუნდი აშკარა წაგებისგან იხსნა. ერთ-ერთ ეპიზოდში მას ძელიც დაეხმარა. მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **კარლოს დუნგას** ბიჭებმა თავი შეირცხვინეს და ახლა გულშემატკივართა თვალში რეაბილიტაციას საჭიროებენ. ამისათვის საუკეთესო საშუალება საშინაო შეხვედრაში პერუს დამარცხება იქნება. მრავალი პრობლემის მიუხედავად, სასწაული უნდა მოხდეს, რომ ბრაზილიელებმა პორტუ ალეგრეში სამხრეთი ამერიკის შესარჩევი ჯგუფის წყალწაღებული აუტსაიდერი ვერ დაამარცხონ. ბუნებრივია, დუნგას გუნდი უპირობო ფავორიტია, თუმცა უსიამოვნო სიურპრიზების თავდიან ასაცილებლად საჭიროა, რომ სელესაო მაქსიმალური კონცენტრაციით მოემზადოს და თუნდაც ყველაზე სუსტ მოწინააღმდეგესთან სრული პასუხისმგებლობით ითამაშოს. ეკვადორთან მატჩის შემდეგ მიმომხილველები ერთხმად აღნიშნავდნენ, სტუმრებს **კაკა** რომ ჰყოლოდათ გაცილებით უკეთ ითამაშებდნენო. „მილანის" ვარსკვლავმა მიკრო ტრავმის გამო ვერ იასპარეზა. დუნგამ მის ნაცვლად **რონალდინიო** დააყენა და ალბათ, ძალიან მწარედაც ინანა. გაუჩომ ისე საშინლად ითამაშა, პრესისა და გულშემატკივრების კრიტიკის ქარ-ცეცხლი დაატყდა. ტორსიდა ორი დღის განმავლობაში ძალიან წუხდა, ისინი შიშობდნენ, რომ რონალდინიო საშინაო შეხვედრასაც ჩააგდებდა. ხალხი კაკას გამოჯანმრთელებას ელოდა და როგორც ჩანს, ოცნება აისრულეს კიდეც. გუშინ ბრაზილიის ნაკრების სამედიცინო შტაბმა კაკას გამოჯანმრთელების შესახებ ოფიციალური ინფორმაცია გაავრცელა. ექიმების მტკიცებით „მილანის" სუპერვარსკვლავი სრულიად გამოჯანმრთელდა და თუ დუნგა საჭიროდ ჩათვლის ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ კაკა ოპტიმისურადაა განწყობილი:



*„სანაკრებო შეკრება არაჩვეულებრივად მომიხდა. სელესაოში გატარებული ერთი კვირა უფრო სასარგებლო აღმოჩნდა, ვიდრე წინა ხუთი კვირა, რომელიც კლუბში გავატარე. ახლა ძალიან კარგად ვგრძნობ თავს. დარწმუნებული ვარ, 90 წუთით თამაშიც არ გამიჭირდება. ახლა ყველაფერი დუნგაზეა დამოკიდებული. მან უნდა გადაწყვიტოს, ვითამაშებ თუ არა პერუს ნაკრების წინააღმდეგ. თუ მოედანზე გამიშვებს, გპირდებით, რომ თავს არ დავზოგავ. ბრაზილიის ნაკრები ჩემთვის ყოველთვის უპირველესი გუნდი იყო. მისი ინტერესების დასაცავად უკან არაფერზე დავიხევ".*

გუშინ მთავარი მწვრთნელის განცხადებაც გავრცელდა. დუნგა კაკას მდგომარეობით კმაყოფილია. ბოლო ორი ვარჯიში მან სრული დატვირთვით ჩაატარა და მწვრთნელს დაანახა, რომ მაღალ დონეზე თამაში შეუძლია. დუნგას თქმით, კაკა მხოლოდ იმ შემთხვევაში არ ითამაშებს, თუ ისევ და ისევ ტრავმა გაუმიზეზდება. ჯერ-ჯერობით საგანგაშო და სახიფათო არაფერია. იმედი ვიქონიოთ, რომ სიტუაცია ბოლო მომენტში არ გართულდება და კაკა ძირითად შემადგენლობაში იასპარეზებს.

ასეა თუ ისე, ბრაზილიამ ნებისმიერ ფასად უნდა მოიგოს. დაუჯერებელია, მაგრამ დუნგას ბიჭებმა 11 საკვალიფიკაციო დაპირისპირებიდან 6 ფრედ დაასრულეს. ამას ერთი მარცხიც მივუმატოთ და მივხვდებით, რომ 15 ქულის გაფლანგვა მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვანი ნაკრებისთვის რბილად რომ ვთქვათ, უაღრესად წარუმატებელი შედეგია. ტორსიდას დიდი ანგარიშით გამარჯვება მოენატრა. პენტაკამპეონებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ ხალხის მოთხოვნა დააკმაყოფილონ. მასპინძლებს დაღლილობის პრობლემა აწუხებთ. კიტოში ჩატარებული შეხვედრის შემდეგ სელესაოს პორტუ ალეგრეში ერთ-ერთ სასტუმროში დასაბინავებლად 15 საათიანი მოგზაურობა დასჭირდა.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ბრაზილია:** ჟულიო სეზარი, დანიელ ალვეში, ლუსიო, ლუიზაო, მარსელო, ჟილბერტო სილვა, ანდერსონი, კაკა, ბაპტიშტა, რობინიო, ლუიშ ფაბიანო.

**პერუ:** ლეაო ბუტრონი, ამილტონ პრადო, კარლოს სამბრანო, ალბერტო როდრიგესი, ვალტერ ვილჩესი, რაინერ ტორესი, მიგელ ტორესი, ნოლბერტო სოლანო, დანიელ ჩავესი, ჯოან ფანო, ლუის რამირესი.

#### ბოლივია-არგენტინა

სამხრეთამერიკული ფეხბურთის კიდევ ერთი გრანდი არგენტინა საშინაო შეხვედრაში ვენესუელის დამარცხების შემდეგ ბოლივიაში ითამაშებს. **დიეგო მარადონა** არ მალავს, რომ ზედიზედ მეორე ოფიციალური შეხვედრის მოსაგებად ემზადება. ლეგენდარულმა არგენტინელმა საკვალიფიკაციო რაუნდის სადებიუტო ორთაბრძოლა არაჩვეულებრივად ჩაატარა და ალბისელესტეს დიდი ანგარიშით მოაგებინა. როგორც გითხარით, დიეგო მიღწეულით დაკმაყოფილებას არ აპირებს და ბოლივიისთვის მაღალმთიან ლა პასში საფეხბურთო გაკვეთილის ჩასატარებლად ემზადება.

სტატისტიკა არგენტინელებს ზურგს უმაგრებს. თუ ისტორიას გადავხედავთ, აღმოვაჩენთ, რომ ბოლივია ალბისელესტესთვის უხერხული მეტოქე სულაც არ არის. სხვადასხვა დროს მუნდიალების შესარჩევ ეტაპზე არგენტინა და ბოლივია 15-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 11 მატჩი ალბისელესტემ მოიგო, ერთი ფრედ დასრულდა, სამჯერ კი ბოლივიელებმა იყოჩაღეს. მთლიანობაში კი ამ გუნდებს 28 დაპირისპირება აქვთ გამართული. არგენტინელთა 21 გამარჯვებაზე ბოლივიის 5 მოგება მოდის. ალბისელესტეს მთლიანობაში 75 გოლი აქვთ გატანილი, მათ მოწინააღმდგეს კი 22. აღსანიშნავია, რომ ბოლივიას არგენტინა საკვალიფიკაციო ტურნირში 1997 წლის 2 აპრილის შემდეგ არ დაუმარცხებია. სხვათა შორის, 12 წლის წინ ეს გამარჯვება სწორედ ლა პასში შედგა. თუ გავითვალისწინებთ, რომ ახლაც აპრილია და თამაში ისევ ლა პასში გაიმართება, ვერაფერს გამოვრიცხავთ, თუმცა მარადონას შეგირდებს ფრეზე ფიქრიც კი არ უნდათ. ისინი მწვრთნელის სულისკვეთებას მთლიანად იზიარებენ და ინჩასებს ჰპირდებიან, რომ გასვლით შეხვედრას გამარჯვებით დაასრულებენ. თანაგუნდელების სახელით განცხადება **ლეო მესიმ** გააკეთა:

*„ბოლოვიასთან მატჩს უდიდესი ოპტიმიზმით ველით. წინა ტურში ნაკრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. მგონი, მართლა კარგად ვითამაშეთ. ეროვნული გუნდი მშვენივრად შეთამაშდა. ყველა პირობა გვაქვს იმისთვის, რომ ლა პასში მორიგი სამი ქულა მოვიპოვოთ. იმედია, უსიამოვნო სიურპრიზები არ შეგვექმნება. ყველაზე მეტად ბოლივიური კლიმატი მაშინებს. მაღალმთიან ქალაქში თამაში სერიოზულ სირთულეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ ვალდებული ვართ ყველაფერს გავუძლოთ და გავიმარჯვოთ".*

შეგახსენებთ, ლეო მესიმ ვენესუელასთან მატჩში გოლი გაიტანა და გუნდს გამარჯვებაში დიდად დაეხმარა. მარადონამ ბოლო ვარჯიში პრესისთვის დახურულად გამოაცხადა. მან ჟურნალისტებთან ტაქტიკაზე საუბარი არ ისურვა. დიეგომ არც წინასწარი შემადგენლობა გამოაქვეყნა. ლეგენდარულმა არგენტინელმა საზოგადოებას მოთმინებისკენ მოუწოდა:

*„მე მესმის, რომ საზოგადოებას ყველა წვრილმანი აინტერესებს, თუმცა ჩვენ სერიოზულ საქმეს ვართ შეჭიდებუ-*

ლი. ძალიან რთული მატჩი გველის და არ მინდა, რომ ტაქტიკური მონახაზის, ან შემადგენლობის წინასწარ გახმაურებით მონინააღმდეგეს გარკვეული უპირატესობა მივცე. ცოტა ხანი მოითმინეთ და ყველაფერს გაიგებთ. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ბიჭები თავს არ შეირცხვენენ და ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ გამარჯვება მოიპოვონ. როგორც მთავარი მწვრთნელი უფლებამოსილი ვარ, წინა შეხვედრის შემდეგ გარკვეული ტაქტიკური ცვლილებები განვახორციელო. ამ ცვლილებებზე ინტენსიურად ვფიქრობ, მაგრამ როგორც მოგახსენეთ, წინასწარ ვერაფერს გაგიმხელთ. მთავარია, ბიჭებმა შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენონ. ამ შემთხვევაში, ლა პასის გაიშვიათებული ჟანგბადიც ვერ შეგვაფერხებს. არადა, მაღალმთიან ქალაქში თამაში ძალიან დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული. იმედი მაქვს, რომ ბოლივიაშიც ერთ მუშტად შევიკვრებით და მოვიგებთ. ჩვენ ისევ შემტევ ფეხბურთს ვითამაშებთ და დამაჯერებელი გამარჯვების მოპოვებას შევეცდებით".

**ჩილე-ურუგვაი**

ჩილეს ნაკრებმა წინა ტურში უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა და 2010 წლის მუნდიალზე მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა. ახლა მათ გაცილებით რთული მატჩი ელით. **მარსელო ბიელსას** იმ ურუგვაის წინააღმდეგ მოუწევს ბრძოლა, რომელმაც რამდენიმე დღის წინ საკვალიფიკაციო რაუნდის ერთპიროვნული ლიდერი პარაგვაი პირწმინდად დაამარცხა. იმ შეხვედრის მიმოხილვისას ჟურნალისტები ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ **ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესის** ბიჭებმა მეტოქე ყველა კომპონენტში დაჯაბნეს და გულშემატკივრები ლამაზი გამარჯვებით გაახარესო. სენიორ ბიელსა კარგად აცნობიერებს, რომ ძალიან რთული გამოცდა ელის:

„თუ მაქსიმალურ ძალისხმევას არ გამოვიჩენთ, ურუგვაის დამარცხება გაგვიჭირდება. ხომ ხედავთ დიეგო ფორლანი როგორ ფორმაშია? ყურადღებით უნდა ვიყოთ, თორემ ერთს მოიქნევს და გოლს გაგვიტანს. მისთვის შეუძლებელი არაფერია. ესპანეთის ჩემპიონატს ყურადღებით ვადევნებ თვალყურს. ურუგვაელები პრიმერა დივიზიონში ყოველთვის თავმოყვარედ თამაშობდნენ. ახლაც ასეა, მათ არაჩვეულებრივი ფეხბურთელები ჰყავთ. სტუმრებს ნახევარდაცვაში გასაქანი არ უნდა მივცეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ მწვავე კონტრიერიშების ორგანიზების საშუალება მიეცემათ და აუცილებლად დაგვსჯიან. არ დავმალავ, რომ შუა ხაზის ბიჭებთან განსაკუთრებული ენთუზიაზმით ვმუშაობდი. ვცდილობდი, ყველაფერი მომესწრო. ვნახოთ, როგორ შედეგს გამოიღებს ჩვენი ძალისხმევა. ჩილეს ნაკრები საბრძოლველად მზად არის. ბევრი რამ იღბალზე იქნება დამოკიდებული. თუ სწრაფ გოლს გავიტანთ, საქმე მნიშვნელოვნად გაგვიადვილდება".

ოპტიმიზმი სენიორ ტაბარესსაც არ აკლია: „მსურს აღვნიშნო, რომ ჩემმა გუნდმა წინა ტურში არაჩვეულებრივად ისპარეზა. ბოლო ვარჯიშებზე ბიჭებმა ძალიან მომაწონეს თავი. სანტიაგო დე ჩილეში ჩილეს ნაკრების წინააღმდეგ ყველას უჭირს, მაგრამ მწამს, რომ ურუგვაის გასვლაზე გამარჯვების უნარი შესწევს. მთავარია, ძალების მობილიზება და შესაძლებლობების ბოლომდე გამომჟღავნება მოვახერხოთ. შემადგენლობა საკმაოდ კარგ ფორმაშია. უკლებლივ ყველა ფეხბურთელი საბრძოლველადაა განწყობილი. მცირე ცვლილებებს არ გამოვრიცხავ, თუმცა წინასწარ ვერაფერს მოგახსენებთ."

**ეკვადორი-პარაგვაი**

გათამაშების ლიდერ პარაგვაის ზედიზედ მეორე გასვლითი შეხვედრის გამართვა მოუწევს. ურუგვაისთან განცდილი წარუმატებლობის შემდეგ ამ გუნდს კიტოში არანაკლებ რთული დაპირისპირება ელის. გაიხსენეთ, ეკვადორმა ბრაზილიის წინააღმდეგ რა კარგად ითამაშა. თუ მათ მსოფლიოს ყველაზე ტიტულოვან ნაკრებს არაფერი დაუთმეს, პარაგვაის რატომ შეუშინდებიან? სტუმრებს სერიოზული საკადრო პრობლემები არ ემუქრებათ. შემადგენლობის გადახალისება არც მასპინძლებს მოუწევთ, ასე რომ, კიტოში ძალიან საინტერესო და დაძაბული ორთაბრძოლა უნდა გაიმართოს.

**ილია ნიკოლაიშვილი**



ინგლისის ნაკრები

# კაპელოს ნუ[illegible]

## ჰესკი, კოული, კრაუჩი... ახლა ბენტი

სლოვაკეთთან ამხანაგურ შეხვედრაში ერთმანეთის მიყოლებით დაშავდნენ **ემილ ჰესკი, კარლტონ კოული და პიტერ კრაუჩი**. პირველი ორის ასპარეზობა უკრაინასთან მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო შეხვედრაში უკვე გამოირიცხა, მესამე საეჭვოა. სიცარიელის შესავსებად **ფაბიო კაპელომ** ტოტენჰემელი **დარენ ბენტი** გამოიძახა, მაგრამ, როგორც იტყვიან, ეშმაკს არ სძინავს. ტოტენჰემელი პირველივე ვარჯიშზე საწვრთნელი პროცესის დაწყებიდან ხუთ წუთში დაშავდა. ტრავმის სირთულეზე ბრიტანეთის საზოგადოებრივი მაუწყებელი ჯერჯერობით არაფერს იუწყება. იტალიელმა მწვრთნელმა გამოსავალს აქაც მიაგნო, მან ეროვნულ გუნდში "ასტონ ვილას" 22 წლის შემტევი **გაბრიელ აგბონლაორი** მიიწვია. ამ უკანასკნელს ინგლისის მთავარ გუნდში 2 შეხვედრა უკვე აქვს ჩატარებული. მათ შორის შარშან, 19 ნოემბერს გერმანიასთან, სადაც მან ერთობ სერიოზული პრობლემები შეუქმნა მეტოქეებს. თუმცა აქ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, გაბი არ არის სუფთა თავდამსხმელი, ის კლასიკური მარჯვენა გარემარბია. კაპელოს განკარგულებაში ერთადერთი ცენტრფორვარდი რჩება – **უეინ რუნი**.

ინგლისის ნაკრების ოფიციალური საიტის მომხმარებელთა შორის ჩატარდა გამოკითხვა, რომელმაც ნაკრებში 2008 წლის საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა. შარშან ფეხბურთელმა 10 შეხვედრაში 5 გოლის გატანა შეძლო. მისთვის დღევანდელი შეხვედრა უკრაინელებთან საიუბილეო, 50-ე იქნება ნაკრების მაისურით. რუნის შემდეგ მეორე ადგილზე ასტონვილელი **გარეთ ბერი** გავიდა, მესამეზე - არსენალელი **თეო უოლკოტი**.

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ · რობი ფაულერი

# ინგლისს ყველაფერი შეუძლია

## ულიეზე შეიძლება ითქვას კარგიც და ცუდიც, მაგრამ...



**„ლივერპულისა" და ინგლისის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი რობი ფაულერი ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა იყო, როცა მერსისაიდული კლუბის ლეგენდად აღიარეს. არადა, რობი ძალზე მოკრძალებული ადამიანია. სახელმა, მატერიალურმა კეთილდღეობამ და პოპულარობამ მასში თითქმის ვერაფერი შეცვალა. ის ისეთივე ხალისიანი ღიმილით ეგებება ყველას, როგორც წლების წინ. მართალია, ამჟამად ის ავსტრალიაში ცხოვრობს, მაგრამ ყოველივეს საქმის კურსშია, რაც კი ინგლისურ ფეხბურთში ხდება. ფაულერი ქვემოთ მრავალ საინტერესო თემაზე საუბრობს. მსჯელობს თავის კარიერაზე, მომავლის პერსპექტივებზე და რა თქმა უნდა, ინგლისის ნაკრებზე. ინტერვიუ საკმაოდ ვრცელი გამოვიდა, ამიტომ ჩვენ მისგან მხოლოდ ყველაზე საინტერესო ფრაგმენტებს შემოგთავაზებთ.**

**- რობი, თქვენთვის სასიამოვნო თემით დავიწყოთ. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა „ლივერპულს" იმის შანსი, რომ „მანიუს" საჩემპიონო რბოლა მოუგოს?**

- ეჭვიც არ მეპარება. ეს კითხვა ჩემთვის 3-4 კვირის წინ რომ დაესვათ, აუცილებლად ვუპასუხებდი, რომ ბოლომდე უნდა გვებრძოლა, თუმცა ამის შინაგანი რწმენა ნამდვილად არ მექნებოდა. ახლა კი... ჩემმა საყვარელმა გუნდმა თითქმის ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ყველაფერი „რეალთან" შეხვედრით დაიწყო. შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე" ჩავაბარეთ გამოცდა, სადაც მასპინძელი ყველაფერში დავჩაგრეთ. მიუხედავად იმისა, რომ პირველი ადგილის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა, ამ იმპულსმა დარჩენილ შეხვედრებშიც უნდა იმუშაოს ჩვენს სასარგებლოდ.

**- ანუ იმის თქმა გნებავთ, რომ „წითლების" ტრიუმფულ სვლაში სწორედ „რეალთან" შეხვედრა იყო ათვლის წერტილი?**

- ძნელია ამის სიტყვებით აღწერა, თუმცა შევეცდები. ხსენებულ შეხვედრაში გუნდმა საკუთარი ძალების რწმენა შეიძინა. „ლივერპული" არცთუ იშვიათად კარგავდა ქულებს სწორედ საშუალო შესაძლებლობებისა და აუტსაიდერ გუნდებთან. ეს უკანასკნელები ფეხბურთს თავად კი არ თამაშობენ, ცდილობენ ძლიერ მეტოქეს არ მისცენ ამის საშუალება. „რეალი" და „მანჩესტერი" კი სულ სხვა ისტორიაა - ისინი თავად ილტვიან შეტევისკენ, ესე იგი, თამაშის საშუალებას მეტოქესაც უტოვებენ. „ლივერპულმა" სწორედ ეს თავისუფალი სივრცეები გამოიყენა. პლუს, ფეხბურთელებმა შეძლეს და ორთაბრძოლების დიდი ნაწილი მოიგეს. ცუდი ის არის, რომ ახლა „ლივერპულის" ფეხბურთელებზე ზეწოლა ბევრად უფრო მაღალია, გულშემატკივარი ხომ ჩემპიონობას ითხოვს. ამაში კი ჩვენ გამოუცდელები ვართ.

**- რაც შეეხება ზეწოლას... ცნობილია, რომ გულშემატკივართა ჯგუფი „ლივერპულის" ფეხბურთელებს ქალაქში თავისუფლად გადაადგილების საშუალებას არ ანებებს. თავად თუ გადაჰყრიხართ ასეთ ხალხს?**

- დიახ, მქონია ასეთი შემთხვევა. ვფიქრობ, ეს ადამიანები არ არიან ჭეშმარიტი გულშემატკივრები. ნამდვილი ფანები გუნდს, ზოგადად ფეხბურთელებს, მხოლოდ ეხმარებიან.

**- ავსტრალიაში თამაშობთ და ნუთუ არ გენატრებათ ინგლისური ფეხბურთი და ის ყველაფერი, რაც კი მასთან არის დაკავშირებული?**

- როგორ გითხრათ... ავსტრალიაში ფეხბურთის სათამაშოდ ჩამოვედი და არა დასასვენებლად. მაქვს სერიოზული ამბიცია და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ კარიერაში ჩემი ბოლო სიტყვა ჯერ არ მითქვამს. მოდუნებასა და ზერელედ ასპარეზობას ნამდვილად არ ვგეგმავ.

**- დიდი ხანია გვაინტერესებდა თქვენი წარმატების საიდუმლო. ყოველთვის უამრავი გოლი გაგქონდათ. რანაირად? ეს ბუნებრივი ნიჭი იყო, თუ დაუღალავი შრომის შედეგი?**

- გამოგიტყდებით, რომ გოლის ინსტინქტი ბავშვობიდან მქონდა, მაგრამ... მხოლოდ ნიჭში არ არის საქმე. ვარჯიშებზე ძალზე ბევრს ვმუშაობდი. კარგი თავდამსხმელობისთვის ჭკუაა საჭირო, სხვა შემთხვევაში საჭირო დროს საჭირო ადგილას ვერ აღმოჩნდები. ერთიცაა, ფეხბურთი მარტო გატანილი გოლები ხომ არ არის, არა? გარწმუნებთ, მხოლოდ გოლების მანქანა მეც არ ვყოფილვარ. თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ გულშემატკივრის გონებაში ყველაზე მეტად გოლები რჩება. მე, როგორც ფეხბურთელს, სხვა დადებითი მახასიათებლებიც მქონდა.

**- ბევრი რამ გვსმენია აუტანელი ავსტრალიური სიცხის შესახებ. უკვე შეეჩვიეთ?**

- ჩემთვის ეს მხოლოდ აკლიმატიზაციის საკითხია. სეზონის დაწყებამდე ამდენი ხნით ადრე სწორედ ამიტომ ჩამოვედი. სეზონის გახურებამდე დრო კიდევ მაქვს, ასე რომ, ყველაფერს შევეჩვევი. იქამდე კი მუშაობა და მუშაობა მმართებს. ფეხბურთი ჯერაც არ მომბეზრებია და ჩემს საქმეს აქაც ხარისხიანად გავაკეთებ.

**- როგორ მოგწონთ ახალი კლუბი?**

- სიურპრიზი არაფერი დამხვედრია, რადგან აქ ჩამოსვლამდე „ნორდ ქვინსლენდის" წარმომადგენლებს დაწვრილებით ვეკითხებოდი ყველაფერს. აქ ყველაფერი მომწონს და ყველაფერი მაწყობს. აქაური ბაზა უმაღლეს დონეზეა მოწყობილი.

**- მოდით, ისევ მერსის ნაპირებს დავუბრუნდეთ. მართალია, რომ ბავშვობიდან „ევერტონს" გულშემატკივრობდით? როგორ შეძელით წითელი მაისურის ჩაცმა?**

- ბავშვობაში ერთ შანსსაც კი არ ვუშვებდი ხელიდან, რომ „ევერტონის" თამაშისთვის მეყურებინა. არჩევანი 11 წლის ასაკში გავაკეთე. მას მერე ჩემი გული სწორედ „წითლებს" ეკუთვნის. „ევერტონისადმი" დიდი პატივისცემის მიუხედავად, დამეთანხმეთ, რომ სწორედ „ლივერპულია" ქალაქისთვის უფრო საამაყო სახელი.

**- თუ არა ფეხბურთელი, ვინ იქნებოდით?**

- ფეხბურთზე ბავშვობიდანვე მაბოდებდა. ცხოვრებამ დამასაჩუქრა გაწეული შრომისა და მიზანდასახულობის გამო. თუკი ფეხბურთი არა, მაშინ... მაშინ ალბათ რაგბის ავირჩევდი. ლივერპულში რაგბი არანაკლებ უყვართ.

**- რას უპასუხებთ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებენ, რომ თქვენი კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორიც შეიძლებოდა ყოფილიყო?**

- რაღაცით ისინი მართლები არიან. ჩემი პირველი თასი გუნდთან ერთად მაშინ მოვიგე, როცა უკვე 100 გოლზე მეტი მქონდა გატანილი. მიუხედავად იმისა, რომ ბევრს ვერაფერს მივაღწიე, არ ვკომპლექსდები, რადგან გამიმართლა და „ლივერპულში" ვითამაშე. გუნდთან ერთად მრავალი უბედნიერესი წუთი მაქვს განცდილი, ჩემთვის ყველაზე მთავარი სწორედ ეს არის. ნაკრებშიც არაერთი კარგი შეხვედრა ჩამიტარებია. მითამაშია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე. მერე რა, რომ ეროვნულ გუნდში არაფერი მომიგია? იმ დროსაც დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე.

**- ინგლისის ახლანდელ ნაკრებზე რას გვეტყვით?**

- პრემიერლიგა მსოფლიოში უძლიერესი ლიგაა და შესაბამისად, უნდა თუ არა ვინმეს ამის აღიარება, ინგლისელი ფეხბურთელების კვალიფიკაციაც საკმაოდ მაღალია. მათგან 11 საუკეთესოს შერჩევა დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. ინგლისის ნაკრებს ნამდვილად შეუძლია ნებისმიერი მეტოქის დამარცხება. დიდი ხანი არაფერი მოგვიგია, დროა, ეს სიცარიელე შევავსოთ. ამისთვის ყველანაირი წინა პირობა არსებობს.

**- ვინ არის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელი, ვისთან ერთადაც ოდესმე გითამაშიათ?**

- ალბათ არავის ეწყინება, თუ სტივ მაკმანამანს დავასახელებ. სტივი ჯადოქარი იყო. კარიერის განმავლობაში ისეთი ვარსკვლავების გვერდით მითამაშია, როგორრობიც იყვნენ პოლ გასკოინი, ჯონ ბარნსი, სტივ ჯერარდი, თუმცა მაკმანამანს ყველა მათგანზე მაღლა ვაყენებ.

**- რას იტყვით ჟერარ ულიეზე? სწორედ მან გაიძულათ „ენფილდი" დაგეტოვებინათ...**

- შეიძლება მასზე ყველაფერი ილაპარაკო, კარგიც და ცუდიც... ფაქტი კი ჯიუტია - დროის ძალზე მოკლე მონაკვეთში სწორედ მისი ხელმძღვანელობით მოიგო გუნდმა ხუთი ტიტული, რაც გულშემატკივრებს ალბათ წარმოუდგენელიც კი ეგონათ. რაც შეეხება კლუბიდან ჩემს წასვლას... „ენფილდის" დატოვება სულ არ მინდოდა, მაგრამ მაშინ არჩევანი არც მქონდა. ეს ნაბიჯი იძულებით გადავდგი. მშობლიური გარემო ცრემლიანი თვალებით დავტოვე.

**- უკვე დამსახურებული ვეტერანი ხართ. უკვე გიფიქრიათ, რას გააკეთებთ კარიერის დასრულების შემდეგ?**

- ფეხბურთში დარჩენა მინდა, მაგრამ იქამდე რამდენიმე წელიწადი კიდევ მაქვს. სამომავლო პერსპექტივებზე მერე ვილაპარაკოთ.

**- დიდი მადლობა, რობი. წარმატებებს გისურვებთ ავსტრალიურ კარიერაში.**

- დიდი მადლობა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალკე

# სიტუაცია უკვე დრამატულია!

## ოლაფ ტონმა ბოსები გააკრიტიკა და გელზენკირხენიდან გარბის

არც მენეჯერი, არც მწვრთნელი - „შალკეში" კვლავ მძიმე ვითარებაა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, გვირაბის ბოლოს სინათლე ჯერ კიდევ არ ჩანს, რადგან გელზენკირხენული კლუბის ხელმძღვანელები ორივე ფრონტზე ყველა კანდიდატისგან უარს იღებენ. როგორც ირკვევა, **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** გუნდს ზურგი აქცია ლეგენდარულმა შალკელმა **ოლაფ ტონმაც**. ამასობაში, გუნდის ახალი კაპიტანი **მლადენ კრსტაიჩი** ხელმძღვანელებზე ზეწოლას ახორციელებს, ითხოვს რა, მწვრთნელის საკითხის სწრაფად გადაწყვეტას.

გელზენკირხენელებს თავიდან უარი გერმანიის ნაკრების მენეჯერმა **ოლივერ ბირჰოფმა** შეუთვალა. ამის შემდეგ „ხუმარების" შეფები გერმანიის საფეხბურთო კავშირის სპორტულ დირექტორ **მათიას ზამერს** დაუკავშირდნენ და მისგანაც ცივი უარი მიიღეს. ბირჰოფთან და ზამერთან მოლაპარაკებების პარალელურად, „შალკეს" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **კლემენს ტიონისი ოლივერ კანთან** აწარმოებდა მოლაპარაკებას, მაგრამ მისგანაც უარი მიიღო. ხოლო გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ „შალკეს" მთავარი მწვრთნელის პოსტზე სეზონის ბოლომდე მუშაობა იუარა ხორვატიის ნაკრების თავკაცმა **სლავენ ბილიჩმაც**. ამრიგად, **ანდრეას მიულერის** გათავისუფლებიდან სამი კვირის შემდეგ, ჯერაც უცნობია, ვინ გახდება „ხუმარების" მენეჯერი. ვაკანტურია მთავარი მწვრთნელის თანამდებობაც, საიდანაც წინა კვირას **ფრედ რუტენი** მოხსნეს.

ახლა კი, ცხადი ხდება, რომ „შალკეს" შეფებს შორისაც უთანხმოებაა და შიდა სამზარეულოშიც სრული ქაოსი სუფევს. გელზენკირხენული კლუბის ლეგენდა **ოლაფ ტონი**, რომელიც 17 წლის ასაკში უკვე გელზენკირხენული კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრი იყო, პრეზიდენტ **იოზეფ შნუზენბერგსა** და ტიონისზეა განრისხებული და მიიჩნევს, რომ ისინი მენეჯერსაც და მწვრთნელსაც ქაოსურად და სულელურად ეძებენ. ტონი „შალკეს" ღირსებას 1983-88 და 1994-2002 წლებში იცავდა. დღესდღეობით კი გუნდის მარკეტინგის განყოფილებაშია დასაქმებული (თავმჯდომარის მრჩეველია).

42 წლის ტონი გაბრაზებულია იმის გამოც, რომ შნუზენბერგი და ტიონისი მას აზრს არ ეკითხებიან. „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში ოლაფი ამბობს, რომ არაპროფესიონალებთან მუშაობის გაგრძელების სურვილი აღარ აქვს და რომ 23-წლიანი სამსახურის შემდეგ, ზაფხულში გელზენკირხენულ კლუბს დატოვებს. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ რამდენიმე დღის წინ ტიონისმა განაცხადა, ოლაფ ტონს არ აქვს მენეჯერის პოსტზე მუშაობის შანსიო. როგორც ჩანს, ყოფილ ფეხბურთელს იმედი ჰქონდა, რომ გენერალური მენეჯერის თანამდებობას შესთავაზებდნენ.

ამ ყველაფრის ფონზე კი, შეფებს გუნდის ახალმა კაპიტანმა მლადენ კრსტაიჩმაც შეუტია. *„ისეთი გრძნობა მაქვს, რომ ახალი მწვრთნელის მოსაყვანად არაფერი კეთდება. პარასკევს ძალიან მნიშვნელოვანი თამაში გვაქვს „არმინიასთან" და ახალი მწვრთნელი დროულადაა დასანიშნი,"* - ამბობს სერბი მცველი, რომელმაც კაპიტნის სამკლაური **მარსელო ბორდონისგან** მიიღო. ამ უკანასკნელმა კაპიტნობაზე საკუთარი ნებით თქვა უარი.



ოლაფ ტონი (წინა პლანზე) პრეზიდენტ იოზეფ შნუზენბერგის მუშაობით უკმაყოფილოა

### ჯონსი 2014 წლამდე

სამაგიეროდ, „შალკეს" შეფებმა წარმატებას მიაღწიეს საკადრო ასპექტში. **ჰაიკო ვესტერმანის** შემდეგ მათ კონტრაქტი საყრდენ ნახევარმცველ **ჯერმეინ ჯონსსაც** გაუგრძელეს - 2014 წლამდე. *„ძალიან მიხარია, რომ ამ „ფრონტზე" მაინც მივაღწიეთ წარმატებას. ჯონსი ის ფეხბურთელია, რომლის გარშემოც ახალ გუნდს ავაშენებთ. ჯერმეინი ჩვენი ფავორიტია,"* - აცხადებს შნუზენბერგი. 27 წლის ნახევარმცველის ძველ კონტრაქტს ვადა 2011 წლამდე ჰქონდა.

*„ახალი კონტრაქტის გაფორმებით იმის დამტკიცება მსურს, რომ „შალკეს" მძიმე პერიოდშიც ვუერთგულებ. ეს არის გუნდი, სადაც თავს იდეალურად ვგრძნობ,"* - ამბობს ჯონსი, რომელიც გელზენკირხენულ კლუბში 2007 წელს ფრანკფურტის „აინტრახტიდან" გადავიდა და რომელმაც სწორედ შალკელის რანგში მოიკიდა ფეხი გერმანიის ეროვნულ ნაკრებში.

ბაიერნი

# ბარსას ეშინოდეს, ტონი დაბრუნდა!

## ოდოც გამოჯანმრთელდა, კლოზე კი ბარსელონასთან მატჩამდე ფეხზე ვერ დადგება

„ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** ნერვიულობდა იმის გამო, რომ თავდამსხმელები ხელიდან გამოეცალა და მხოლოდ **ლუკას პოდოლსკის** იმედად დარჩა, რომელიც, როგორც იცით, მიუნხენურ კლუბში ძალიან ცუდად თამაშობს. კლინსი პირველ რიგში იმის გამო ნაღვლობდა, რომ ახლოვდება ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედფინალური მატჩი „ბარსელონასთან" და რეკორდმაისტერს **მიროსლავ კლოზე** და **ლუკა ტონი** ლაზარეთში ჰყავდა. ახლა კი, იურგენს შეუძლია, შვებით ამოისუნთქოს, რადგან ბავარიელთა იტალიელმა გოლეადორმა გუშინ სრული დატვირთვით ვარჯიში განაახლა, რაც იმას ნიშნავს, რომ ტონი ბუნდესლიგის მომდევნო ტურში, უმნიშვნელოვანეს მატჩში, „ვოლფსბურგთანაც" ითამაშებს და შესაბამისად, „ბარსას" წინააღმდეგ საბრძოლველადაც მზად იქნება. ამასთან, კლინსმანს კიდევ ერთი იტალიელი, მარჯვენა მცველი **მასიმო ოდოც** გამოუჯანმრთელდა.

ტონიმ ორშაბათს მსუბუქად ივარჯიშა და რაკი პრობლემები არ შექმნა, გუშინ წვრთნაში უკვე სრული დატვირთვით მიიღო მონაწილეობა. ტონის ამ ტრავმის გამო იტალიის ნაკრებში თამაშზეც უარის თქმა მოუხდა და ამ ხნის განმავლობაში სარეაბილიტაციო პროგრამას ბოლონიაში ასრულებდა. კლინსმანის თქმით, დღეისათვის ლუკა უკვე აბსოლუტურად ჯანმრთელია, რაც იმას ნიშნავს, რომ „ვოლფსბურგთან" ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს.

*„სამწუხაროდ, გამოჯანმრთელებას ვერ ასწრებს მიროსლავ კლოზე და დიდი შანსია, რომ „ბარსელონასთან" თამაშამდე ვერ დაბრუნდეს. მეტიც, ეს ფაქტობრივად გამორიცხულია. სამაგიეროდ, ტონი დაგვიბრუნდა და ეს ჩვენთვის წარმოუდგენლად დიდი შვებაა,"* - აცხადებს კლინსმანი, რომელიც ოდოს გამოჯანმრთელებითაც უაღრესად კმაყოფილია. რაც შეეხება კიდევ ერთ ტრავმირებულ ფეხბურთელ **ჰამით ალთინთოფს** - თურქი ვარჯიშს ამ დღეებში განაახლებს და ვინძლო, „ბარსასთან" მატჩამდე მანაც შეძლოს ფორმის აღდგენა.

დავუბრუნდეთ ოდოს საკითხს. როგორც იცით, ეს უკანასკნელი „ბაიერნში" არენდის წესით თამაშობს და „მილანის" საკუთრებაა. იტალიელმა არაერთხელ აღნიშნა, რეკორდმაისტერში სიამოვნებით დავრჩებიო, თუმცა „ბაიერნის" ხელმძღვანელები გადაწყვეტილების მიღებას არ ჩქარობენ - ასეთ შემთხვევაში ხომ „მილანს" ფული უნდა გადაუხადონ. ბავარიელთა გენერალური მენეჯერის, **ული ჰიონესის** თქმით, მიუნხენურ გრანდს მაისამდე ბევრი დრო აქვს. *„ეს დრო მოსაფიქრებლად უნდა გამოვიყენოთ. ყველაფერი კარგად უნდა ავწონ-დავწონოთ,"* - ამბობს ჰიონესი. შეგახსენებთ, რომ „ბაიერნმა" დღემდე მომავალი სეზონისთვის შემდეგი ფეხბურთელები გაიფორმა: **ანატოლი ტიმოშჩუკი** (ზენიტიდან), **ივიცა ოლიჩი** (ჰამბურგიდან) და **ალექსანდერ ბაუმიოჰანი** (ბორუსია მ). ისინი მიუნხენურ კლუბში სეზონის დამთავრებისთანავე გადავლენ.



დანიელ ალექსიჩი

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ჰოფემ სერბ სუპერტალანტს დაუმიზნა

## 17 წლის დანიელ ალექსიჩმა რეალს უკვე უარი უთხრა

როგორც სერბული პრესა იტყობინება, ბუნდესლიგის მიმდინარე სეზონის აღმოჩენა „ჰოფენჰაიმი" ტალანტების ძებნას სერბეთში აგრძელებს. ადგილობრივი „სპორტსკე ნოვოსტი" წერს, რომ გერმანული კლუბი „ვოივოდინა ნოვი სადის" 17 წლის ფეხბურთელით, **დანიელ ალექსიჩით** არის დაინტერესებული. მეტიც - „ჰოფენჰაიმის" სკაუტები ამ მოთამაშეს უკვე რამდენჯერმე დააკვირდნენ და როგორც ჩანს, დარწმუნდნენ, რომ მართლაც უაღრესად ნიჭიერ ფეხბურთელთან აქვთ საქმე. ალექსიჩი სერბმა ჟურნალისტებმა 2007/08 წლების სეზონის საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად დაასახელეს.

ჩვენი სერბი კოლეგების ცნობით, გარდა „ჰოფენჰაიმისა", ალექსიჩით მადრიდის „რეალი", „ვილიარეალი", „ჰამბურგი" და ბერლინის „ჰერთა" არიან დაინტერესებულები. გერმანული „ბილდი" კი წერს, რომ მადრიდელებმა ზემოთ ხსენებულ სერბულ კლუბს უკვე შესთავაზეს 5 მილიონი ევრო, მაგრამ „რეალში" გადასვლა თავად ფეხბურთელმა იუარა.

დანიელ ალექსიჩი 2008 წლის 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა (9 გოლი) და უეფასგან ოფიციალურად მიიღო ტოპტალანტის წოდება. ამას გარდა, მას ნაკრებში ჩატარებულ 22 მატჩში 28 (!) გოლი აქვს გატანილი. შარშან ალექსიჩი 17, 19 და 20-წლამდელთა ნაკრებების გარდა, სერბეთის ეროვნულ გუნდშიც (1 მატჩი) ათამაშეს. 17 წლის ტალანტს ძალიან აქებს მისი თანამემამულე **მარკო პანტელიჩი**, რომელიც ბერლის „ჰერთას" ღირსებას იცავს:

*„დანიელი უდიდესი ტალანტია. თუ გაუმართლებს და სერიოზულ ტრავმებს გადაურჩება, 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელი გახდება"!*

ფული და ფეხბურთი

### ვის უხდიან ყველაზე მეტს?

„ფრანს ფუტბოლმა" ყველაზე დიდი შემოსავლის მქონე ფეხბურთელებისა და მწვრთნელების სია გამოაქვეყნა. 2009 წელს ყველაზე შემოსავლიანი მწვრთნელი ლონდონის „ჩელსის" აწ უკვე ყოფილი თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარია** - 12.5 მილიონი ევრო. „არისტოკრატებმა" ბრაზილიელს მისი გათავისუფლებისთვის კომპენსაციის სახით 8.2 მილიონი გადაუხადეს. შეგახსენებთ, რომ სკოლარი „ჩელსიდან" 7 თებერვალს გააგდეს.

ფეხბურთელებს შორის კი ყველაზე დიდი შემოსავალი „მილანის" ინგლისელ ვარსკვლავ **დევიდ ბექჰემს** აქვს: 32.4 მილიონი ევრო წელიწადში. აქედან, დევიდი დაახლოებით 26 მილიონს რეკლამებიდან იღებს. თუკი მხოლოდ ხელფასებს გავითვალისწინებთ, პირველ ადგილზე ამ მხრივაც მილანელია - **კაკა**, რომელსაც „როსონერი" წელიწადში 9 მილიონ ევროს უხდის.

მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს შორის ყველაზე მაღალშემოსავლიანთა რეიტინგები ასე გამოიყურება (თანხაში შესულია სარეკლამო შემოსავალიც):

| ფეხბურთელი | მლნ. ევრო |
|---|---|
| 1. დევიდ ბექჰემი (მილანი) | 32.4 |
| 2. ლიონელ მესი (ბარსელონა) | 28.6 |
| 3. რონალდინიო (მილანი) | 19.6 |
| 4. კრისტიანო რონალდო (მანჩესტერი) | 18.3 |
| 5. ტიერი ანრი (ბარსელონა) | 17.0 |
| 6. კაკა (მილანი) | 15.1 |

| მწვრთნელი | მლნ. ევრო |
|---|---|
| 1. ლუიშ ფელიპე სკოლარი | 12.5 |
| 2. ჟოზე მოურინიო (ინტერი) | 11.0 |
| 3. გუუს ჰიდინკი (ჩელსი, რუსეთი) | 9.0 |
| 4. ფაბიო კაპელო (ინგლისი) | 8.5 |
| 5. ალექს ფერგიუსონი (მანჩესტერი) | 7.6 |
| 6. დიკ ადვოკაატი (ზენიტი) | 7.5 |



ბაიერნის მთავარი ბომბარდირი ლუკა ტონი გამოჯანმრთელდა

მეკარე

# ენკე ჰანოვერიდან წავა

**რობერტ ენკე** გერმანიის ნაკრების პირველი მეკარის წოდების მოსაპოვებლად იბრძვის და როგორც იცით, ლევერკუზენელი **რენე ადლერის** ნომერ პირველი კონკურენტია. დღესაც, უელსთან ნაკრების წინააღმდეგ ბუნდესგუნდის კარს სწორედ ენკე დაიცავს, რადგან ადლერი ტრავმირებულია. გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** ბოლო დროს ბუნდესლიგის სხვადასხვა კლუბის შეფები მკაცრად აკრიტიკებენ იმის გამო, რომ ადლერის არყოფნაში ენკეს ათამაშებს, რადგან ამ უკანასკნელს ბუნდესლიგაში ყველაზე მეტი გოლი აქვს გაშვებული. ცხადია, ეს მხოლოდ ენკეს ბრალი არ არის. ის „ჰანოვერში" თამაშობს - გუნდში, რომელსაც ყველაზე სუსტი დაცვა ჰყავს. სწორედ ამიტომ, რობერტს კლუბის გამოცვლა უნდა.

*„არ ვფიქრობ, რომ წნეხის ქვეშ ვარ მოქცეული და მიმაჩნია, რომ ფეხბურთელს ნებისმიერ გუნდში შეუძლია თავისი შესაძლებლობების გამოვლენა, მაგრამ ვფიქრობ, ამ სიტუაციაში უკეთესი იქნება, რომ კლუბი შევიცვალო. ამ სეზონს „ჰანოვერში" ჩავამთავრებ, ეს ფაქტია, მერე კი ვნახოთ,"* - ამბობს ენკე „ბილდისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

მიმდინარე სეზონში „ჰანოვერმა" უკვე 52 გოლი გაუშვა და მიუხედავად ამისა, ლიოვი ენკეს გერმანიის ნაკრებში მაინც ათამაშებს. თვითონ ბუნდესმწვრთნელი ამბობს, *აუცილებელი არ არის, რომ ენკემ კლუბი გამოიცვალოს, მაგრამ თუ ისეთ გუნდში გადავა, რომელიც ევროტურნირებზე ითამაშებს, ეს მის მდგომარეობას გაცილებით გააუმჯობესებს და ასე ადლერთან ბრძოლის მოგების უფრო მეტი შანსი ექნებაო.*

ვრცელდება ინფორმაციები, რომ ენკეს მთხოვნელების რიგი უდგას. თვითონ მეკარეც ადასტურებს, რომ უცხოეთიდან რამდენიმე შემოთავაზება უკვე მიიღო, მაგრამ არც იმას გამორიცხავს, რომ „ჰანოვერშიც" დარჩეს. 31 წლის ენკეს ბუნდესგუნდში დღემდე 5 თამაში აქვს ჩატარებული და დღეს, უელსთანაც იასპარეზებს. ჰანოვერელის გარდა, რენე ადლერის კონკურენტებად **ტიმ ვიზე** (ვერდერი) და **მანუელ ნოიერი** (შალკე) მიიჩნევიან.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრავმები




# ტოტო ოპერაციას გადაურჩა

**ანტონიო დი ნატალემ** რომ ჩერნოგორიასთან პაექრობაში ტრავმა მიიღო, ძველი ამბავია. გუშინ მას გამოკვლევა ჩაუტარდა და დიაგნოზიც დაისვა - ტოტოს მარცხენა ფეხის ჯვარედინი მყესები აქვს განყვეტილი. „სკუადრა აძურას" მთავარი ექიმი **კასტელაჩი** ვითარებაში უკეთ გაგარკვევთ:

„დი ნატალეს მძიმე ტრავმა აქვს და კარგა ხანს უქმად მოუწევს ყოფნა. საბედნიეროდ, ოპერაციის საჭიროება არ არსებობს, რაც ნიშნავს იმას, რომ ექვსთვიანი უქმობა გამოირიცხა. ანტონიოს სარეაბილიტაციო კურსს დავუნიშნავთ და ეს ალბათ დაახლოებით თვე-ნახევარი, ორი თვე გაგრძელდება. შესაძლოა, სეზონის ბოლო შეხვედრებში მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ამის გარანტიას ვერავის მივცემთ".

დი ნატალეს ტრავმა მტკივნეულად აღიქვეს „უდინეზეს" გულშემატკივრებმა. ფრიულელებს სეზონის დარჩენილ ნაწილში უმნიშვნელოვანესი პაექრობების გამართვა მოუწევთ. გუნდი უეფას თასზე ასპარეზობს და სულ მალე ბრემენის „ვერდერს" შეეტოქება.

### მილიტო ერთ თვეს დაისვენებს

იტალიურ პრესაში გავრცელებულმა ინფორმაციამ „ჯენოას" ტიფოზები შოკში ჩააგდო. გენუური კლუბის მთავარი დამრტყმელი ძალა **დიეგო მილიტო** დაშავდა და ფეხბურთს მინიმუმ ერთი თვით ჩამოშორდა. ამ ამბავს უმალ გამოეხმაურა კლუბის პრეზიდენტი **ენრიკო პრეციოზი**:

„მილიტოს არყოფნა გუნდს დაასუსტებს და ამაზე ორი აზრი არ არსებობს. თავის მოტყუებას არ ვაპირებთ და არ ვიტყვით, რომ არგენტინელის შეცვლა უპრობლემოდ შეგვიძლია. მიუხედავად ასეთი დანაკარგისა, მიზანი არ იცვლება და რა თქმა უნდა, მხოლოდ ლიგის საგზურისთვის ვაგრძელებთ ბრძოლას. კონკურენტები კუდში გვიდგანან და ყურადღებით გვმართებს ყოფნა. ერთი წაფორხილებაც კი შეიძლება ძვირად დაგვიჯდეს".

პრესა იმასაც იუწყება, რომ მომავალი სეზონიდან მილიტო კარიერას „ინტერში" გააგრძელებს. გავრცელებული ინფორმაციით, მილანელები „ჯენოას" მესვეურებთან აქტიურ მოლაპარაკებებში არიან ჩართულნი და წესით, მალე შეთანხმებასაც უნდა მიაღწიონ. პრეციოზი ამ საკითხსაც შეეხო:

„მილანელებს რომ მილიტოს შეძენა სურთ, ეს ყველამ კარგად ვიცით. ამის შესახებ, „ინტერის" მესვეურებმა ღიად განაცხადეს და მე ვერაფერს დავმალავ. გარკვეული კავშირები შედგა კიდეც და აზრებიც გაიცვალა, თუმცა რაიმე შეთანხმებაზე საუბარი ჯერ ძალიან ადრეა. დიეგოს გაყიდვა ნამდვილად არ გვსურს და ამ ეტაპზე არც ვაპირებთ, თუმცა ცხადია, ყველაფერი მოლაპარაკებებზე იქნება დამოკიდებული. დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ რომელ ადგილს დავიკავებთ მიმდინარე სეზონში. თუ ჩემპიონთა ლიგაში მოვხვდით, ნამყვანი ფეხბურთელების გაყიდვაზე არც კი ვიფიქრებთ და პირიქით, გაძლიერებაზე ვიზრუნებთ. ბუნებრივია, ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს თავად ფეხბურთელის პოზიციასაც, ძალით გუნდში არავის გავაჩერებთ".

როგორც ხედავთ, პრეციოზი ორაზროვნად საუბრობს, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ მილიტომ შესაძლოა მართლაც „ინტერში" გააგრძელოს კარიერა. **ჟოზე მოურინიოს** დიეგოს შავ-ლურჯ მაისურში ხილვა ძალიან უნდა და ამის შესახებ ღიადაც განაცხადა. პორტუგალიელს გუნდის გაახალგაზრდავება, გადახალისება სურს და არგენტინელიც ამ გეგმის ნაწილია.

ვარსკვლავი

# რონიმ ბარსა გაიხსენა

## ...მაგრამ ბარსას თუ ახსოვს რონი?

**რონალდინიო** „მილანში" თავს კარგად გრძნობს და ამის შესახებ არაერთხელ განაცხადა, თუმცა ფაქტია, რომ გაუჩო ვერა და ვერ შედის ოპტიმალურ ფორმაში. თავიდან, თითქოს ყველაფერი კარგად დაიწყო და რონიმაც რამდენჯერმე გაიბრწყინა, მაგრამ შემდეგ თანდათან ჩრდილში მოექცა. ალბათ გახსოვთ დიდებული გოლი მილანურ დერბიში და „სან სიროზე" შეკრებილი გადარეული ტიფოზერია. „გაუჩოს შოუ გრძელდება" - ასე დაასათაურა მაშინ „კორიერემ" გაზეთის მთავარი გვერდი, თუმცა მას შემდეგ რონის განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია.

„გაძეტა დელო სპორტმა" რონალდინიოს საგანგებო სტატია მიუძღვნა, ჟურნალისტმა გამოთქვა ვარაუდი, რომ ბრაზილიელი სეზონის ბოლოს „მილანს" დატოვებს. ეს რაღაც ახალია და ბუნებრივია, თემამ ჩვენი ინტერესიც გამოიწვია. რონალდინიოს კონტრაქტი 2011 წელს უმთავრდება, თუმცა თუ ავტორიტეტული გამოცემის ჟურნალისტს დავუჯერებთ, „მილანის" მესვეურები მის გასხვისებას ამავე ზაფხულს შეეცდებიან. გაუჩო ვერ ჩაჯდა ახალ კლუბში და ანჩელოტი მისით უკმაყოფილოა, წერენ პრესაში. „გაძეტამ" **კარლო ანჩელოტის** ციტატაც მოიყვანა, რომელიც თავის დროზე მთელმა აპენინურმა მასმედიამ გაავრცელა:

„სამწვრთნელო კარიერის განმავლობაში არაერთ ნიჭიერ ფეხბურთელთან მიმუშავია, მაგრამ თამამად ვიტყვი, რომ რონალდინიო ყველაზე გამორჩეულია. გაუჩო უდიდესი ტალანტია, რომლის მსგავსიც იშვიათად იბადება. თუმცა ძალიან ზარმაცია. ის, რომ ბოლო დროს ძირითად შემადგენლობაში ვერ ხვდება, სწორედ მისი სიზარმაცის ბრალია. ვარჯიშებზე ბოლომდე არ იხარჯება, რაც ჩემთვის კატეგორიულად მიუღებელია. ჩემზე მეტად არავის უნდა, რომ ბრაზილიელმა ოპტიმალური ფორმა დაიბრუნოს. ამისთვის კი ბევრი შრომა, თავდაუზოგავი ვარჯიშია საჭირო. რონის ჯერ კიდევ გვჯერა და იმედი გვაქვს, რომ საქმეს უფრო სერიოზულად მოეკიდება".

კარლეტოს ამ განცხადების შემდეგ, უკვე საკმაო დრო გავიდა, თუმცა ვითარება ოდნავადაც არ შეცვლილა. უფრო სწორად, შეიცვალა უარესობისკენ. გაუჩო სულ უფრო და უფრო იშვიათად ჩნდება მოედანზე - რომ აღარაფერი ვთქვათ სასტარტო შემადგენლობაზე. რაც შეეხება რონალდინიოს „მილანიდან" აბარგების საკითხს, ამაზე იტალიურ პრესაში შემდეგი ინფორმაცია ვრცელდება: გაუჩოს ძალიან სურს, რომ „კამპ ნოუზე" დაბრუნდეს და კარიერა „ბარსელონაში" გააგრძელოს. ეს, მიუხედავად იმისა, რომ მთლიანობაში ბრაზილიელი „მილანში" თავს კარგად გრძნობს. რონალდინიოს ძმამ და აგენტმა, **რობერტო დე ასისმა** მედიასთან საუბარში შემდეგი განაცხადა:

„ვადასტურებ, რომ რონი მილანში თავს შესანიშნავად გრძნობს. თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის და ჩემი ძმისთვის ბარსელონა განსაკუთრებული, ყველასგან გამორჩეული ქალაქია. სწორედ „ასულგრანაში" ასპარეზობისას ჰქონდა რონის ოქროს წლები. თუ კატალონიაში დაბრუნების შანსი მოგვეცა, ალბათ არც დავფიქრდებით და ამ ნაბიჯს გადავდგამთ. იმედია, ჩემს ნათქვამს სწორად გაიგებთ, ამ ეტაპზე რონი „მილანში" თამაშობს და მხოლოდ „როსონერიზე" ფიქრობს".

იტალიელი ჟურნალისტები მიიჩნევენ, რომ რობერტო ასისმა ძმის პოზიცია დააფიქსირა და ამით „ბარსას" მესვეურებს თავი შეახსენა. თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ **ხუან ლაპორტას** და **პეპ გვარდიოლას** გაუჩოს დაბრუნების სურვილი ამოძრავებდეთ. რონიმ საუკეთესო წლები უკან მოიტოვა და ისეთ ახალგაზრდულ გუნდში, როგორიც „ბარსაა", მისი ადგილი ალბათ არ მოიძებნება. ერთი სიტყვით, რონალდინიომ საქმე სახვეწრად გაიხადა, არადა, იყო დრო, მასზე ევროპული გრანდები კოლოსალური თანხის გადახდას ლამობდნენ.

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**




მოსალოდნელი ტრანსფერი

# ტრეზეგე რვა მილიონად




„იუვენტუსის" მესვეურებს გუშინ ლონდონიდან მეტად საინტერესო შეთავაზება მიუვიდათ. „ვეკია სენიორას" ფორვარდის სანაცვლოდ, „ჩელსი" მზადაა რვა მილიონი ევრო გადაიხადოს. ფორვარდი კი **დავიდ ტრეზეგე** გახლავთ, ვინც ახლახანს გამოჯანმრთელდა და ცდილობს, ოპტიმალური ფორმა დაიბრუნოს.

შეგახსენებთ, რომ ტრეზეგე 2000 წელს „იუვენტუსში" მონაკოდან გადავიდა და ტურინული კლუბის შემადგენლობაში ორასზე მეტი შეხვედრა ჩაატარა. ბოლო პერიოდში, დავიდი მუდმივ დაღმასვლას განიცდიდა, რაც მეტწილად გაუთავებელი ტრავმებით გახლდათ განპირობებული. გამოჯანმრთელებულ ტრეზეგეს კი კლაუდიო რანიერისთან კონფლიქტი მოუვიდა და საქმე კიდევ უფრო გაირთულა. ყველაფერ ამის ფონზე, იტალიური პრესა ვარაუდობს, რომ „იუვენტუსის" მწვრთნელ-ხელმძღვანელები ფრანგის გასხვისებას აუცილებლად დათანხმდებიან. შესაძლოა, რვა მილიონი ევრო არცთუ ისე შთამბეჭდავი იყო, მაგრამ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ დავიდი უკვე ასაკშია და დამწყებ, პერსპექტიულ ფეხბურთელად აღარ ითვლება.

თუ „ტუტო სპორტს" დავუჯერებთ, ტრეზეგეს გაყიდვა ტურინელებს ისედაც ჰქონდა გადაწყვეტილი და მისი შემცვლელის ძიებაც უკვე დაწყებულია. ყველაზე რეალური კანდიდატი **ფაბიო კვალიარელა** გახლავთ, რომელიც მიმდინარე სეზონს მაღალ დონეზე ატარებს. „უდინეზეს" ფორვარდს ეროვნულ გუნდში სტაბილურად იძახებენ და ცხადია, რომ მას „ფრიულიზე" დიდხანს არავინ გააჩერებს.

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# ლესკოტი გალასის ნაცვლად?

## უოლტონების სიძე არსენალში წილს ზრდის



„ევერტონის“ 26 წლის ცენტრალურმა მცველმა **ჟოლეონ ლესკოტმა** მომავალი სეზონი შეიძლება „არსენალში“ დაიწყოს. ინგლისის ნაკრების წევრის შეძენა **არსენ ვენგერს** ჯერ კიდევ შარშან ზაფხულზე უნდოდა, მაგრამ მაშინ **დევიდ მოიესმა** ფეხბურთელის გაყიდვაზე უარი თქვა. ეჭვი გვაქვს, კვალიფიციური მოთამაშის გაშვება შოტლანდიელ სპეციალისტს ამჯერად უნდოდეს, მაგრამ დღეს რეალობა ცოტა სხვაგვარია. მერსისაიდელებს სერიოზული ფინანსური პრობლემები აქვთ და მომავალი სეზონისთვის შეიძლება სატრანსფერო ბაზარზე საერთოდ ვერ იაქტიურონ. გასაგებია, რომ ინგლისის ნაკრების ფეხბურთელი იაფი ვერ ეღირება, მაგრამ „არსენალს“ სულ სხვა მოტივაცია აქვს. საქმე ის არის, რომ შემოდგომაზე აგორებული ცნობილი სკანდალის შემდეგ **ვილიამ გალასი** თანაგუნდელთა უმრავლესობასთან უბრადაა. ასეთი ვითარება გუნდში დიდხანს ველარ გაგრძელდება. ვენგერს თანამემამულე ფეხბურთელის გუნდიდან გაშვება და მისი შემცვლელის შეძენა სურს. ჟოლეონს კი გალასის ადგილის დაკავება ღირსეულად შეუძლია. თანაც ევერტონელს გოლების გატანაც ეხერხება. მოკლედ, ახლა ჯერი ლივერპულელებზეა. ლესკოტის ღირებულება 10-დან 12 მილიონ გირვანქამდე მერყეობს.

**ემანუელ ადებაიორმა** ბოლო პრემიერლიგური შეხვედრები მუხლის ტრავმის გამო გამოტოვა, თუმცა ამის მიუხედავად ტოგოს ნაკრებში მაინც გამოიძახეს. თითქოს ამას არსენ ვენგერის აღშფოთება უნდა გამოეწვია, მაგრამ მან აბსოლუტურად მოულოდნელი განცხადება გააკეთა. ის კმაყოფილია ტოგოს ეროვნული გუნდის ბელგიელი დამრიგებლის **ჟან ტისენის** გადაწყვეტილებით და მიაჩნია, რომ თავდამსხმელი ამით არაფერს დაკარგავს. მეტიც, სათამაშო პრაქტიკას მიიღებს, რაც „არსენალსაც“ წაადგება. „ადებაიორი ჩვენს რიგებში სათამაშოდაც მზად გახლდათ. ითამაშებს თუ არა ეროვნულ ნაკრებში? ვერ გეტყვით, ეს მთავარი მწვრთნელის გადასაწყვეტია, მაგრამ ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. უკვე ველაპარაკე ადებაიორის მწვრთნელს და ყველაფერი ავუხსენი“. რაც შეეხება თავად ტოგოელ ვარსკვლავს, მისი თქმით, ვენგერმა გამგზავრების უფლება მისცა. სხვა შემთხვევაში კი მას წინააღმდეგობის გაწევა აზრად არ მოუვიდოდა.

საინტერესოა, რომ სწორედ ვენგერი იყო ის მწვრთნელი, რომელმაც შარშან ნოემბერში ერთი დღე დააწია **ფაბიო კაპელოს**, რა დროს გერმანიასთან ამხანაგური თამაშია გახურებულ სეზონში, როცა ჩემი ფეხბურთელები სალსალამათი მჭირდებაო. ეტყობა, ფრანგს მაშინ გულმა უგრძნო, რადგან სწორედ ნაკრების თამაშის წინადღეს დაიმტვრა **თეო უოლკოტი** და მთელი 4 თვე ფეხბურთის გარეშე დარჩა.

ლონდონური კლუბის აქციებისთვის ბრძოლა გრძელდება. მოგეხსენებათ, რუსი ოლიგარქი **ალიშერ უსმანოვი** ჯიუტად ცდილობს კლუბის აქციათა 25 პროცენტის ხელში ჩაგდებას, რათა დირექტორთა საბჭოს თვალში მეტი ავტორიტეტი მოიხვეჭოს და გადაწყვეტილებების მიღებისას მეტი სიტყვა ეთქმოდეს. ამავე მიზანს ისახავს „არსენალის“ უმსხვილესი ამერიკელი აქციონერი **სტენ კრონკე**. მან **დენი ფრისმანს** „მეთოფეთა“ 5000 ათას ცალ აქციაში საბაზრო ღირებულებაზე ბევრად მაღალი თანხა, 42,5 მილიონი ფუნტი გადაუხადა, რაც მის ინტერესსა და ამბიციას ერთიორად უსვამს ხაზს. კრონკეს განკარგულებაში ამჟამად აქციათა 20,5 პროცენტია. რაც შეეხება ფრისმანს, ის 16,1 პროცენტს განკარგავს. *„სტენმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მმართველი საბჭოს გავლენიანი წევრია. მოხარული ვარ, რომ მან კლუბის ერთგულება ძალზე რთულ პერიოდშიც კი შეინარჩუნა. კლუბში ფრისმანის გავლენაც არ შემცირდება, რადგან „არსენალი“ მასაც არანაკლებ უყვარს,“* - განუცხადა ლონდონური გრანდის პრეზიდენტმა **პიტერ ჰილ ვუდმა** „ტელეგრაფს“.

*„კლუბის ერთგულ სამსახურს მომავალშიც განვაგრძობ. ჩემს კოლეგებთან ერთად ყველაფერს გავაკეთებ, რათა ერთად შევძლოთ „არსენალის“ გადაყვანა სტაბილური განვითარების რელსებზე,“* - განაცხადა ოკეანისგაღმელმა მილიარდერმა. შეგახსენებთ, რომ კრონკე გარდა სპორტული კლუბებისა, გარკვეულ წილს ფლობს ისეთ დიდ ბიზნესში როგორიც „უოლ მარტის“ მაღაზიათა მსოფლიო ქსელია. მისი მეუღლე **ენ უოლტონი** სწორედ სახელგანთქმული უოლტონების ოჯახის წევრია. ასე რომ, კრონკე ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან ბიზნესმენად მიიჩნევა ამერიკაში.

ჩელსი



# დროგბა: იმედია, ჩელსიში დავრჩები

## არისტოკრატები ინგლისელ ფეხბურთელებს უმიზნებენ

„ჩელსის“ თავდამსხმელმა **დიდიე დროგბამ** კიდევ ერთხელ უარყო ხმები, თითქოს სეზონის დასრულების შემდეგ ლონდონის დატოვებას და „მარსელში“ ან „ინტერში“ გადასვლას აპირებდეს. *„ჩემს მომავალთან დაკავშირებით ბევრი რამ იწერება და კიდევ უფრო ბევრი ითქმება. რაც უფრო ახლოვდება კონტრაქტის ვადის ამოწურვის დღე, ხმები ძლიერდება. იცით, რა? ხელშეკრულების პატივისცემა ხელმოწერის დღიდანვეა საჭირო. მე კი ჩემთვის დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას ბოლომდე ვაპირებ. „სტემფორდ ბრიჯის“ დატოვება რომ მინდოდეს, ამას ხმამაღლა განვაცხადებდი. ზუსტად ისე, როგორც ეს „მარსელში“ გავაკეთე, მაგრამ მაშინ უფრო ძლიერ კოლექტივში მოხვედრის ამბიცია მქონდა. დღეს კი რა ხდება? ვთამაშობ ისეთი კლუბისთვის, რომელსაც მრავალი ტიტულისთვის ბრძოლა შეუძლია. ასე რომ, ჩემი სურვილი ალბათ გასაგებია, არა? დიახ, დარჩენა მინდა. საერთოდ, მომავალ გეგმებთან დაკავშირებით ჟურნალისტებთან ლაპარაკს ყოველთვის გავურბივარ ხოლმე,“* - განაცხადა ფეხბურთელმა. შეგახსენებთ, რომ დიდიეს ხელშეკრულებას „ჩელსისთან“ ვადა მომავალი წლის ივნისის ბოლოს გასდის.

სულ რამდენიმე დღის წინ „დეილი მეილი“ წერდა, დროგბას გაშვება თავად „ჩელსის“ ბოსებმა გადაწყვიტესო. გარდა კოტდივუარელისა, ლაპარაკი იყო **მიხაელ ბალაკის**, **ჟულიანო ბელეტის**, **ფლორან მალუდას**, **პაულო ფერეირასა** და **დეკუს** გასხვისებაზეც. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას. იგივე გამოცემა გუშინწინდელ ნომერში იუწყებოდა, რომ „არისტოკრატებმა“ ორ ინგლისელ ფეხბურთელს დაადგეს თვალი. სახელდება „ასტონ ვილას“ 23 წლის რეაქტიული ვინგერი **ეშლი იანგი**, ვისი გადაბირებაც ლონდონელებს 16-18 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ და „მანჩესტერ სიტის“ 19 წლის ტანმაღალი (188 სმ) ცენტრფორვარდი **დენიელ სტარიჯი**. ამ უკანასკნელს კონტრაქტი მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ უმთავრდება და მისი გადაბირება ლონდონელებს უფასოდ შეეძლებათ. ფეხბურთელს ახლანდელი ხელფასი არ აკმაყოფილებს. ქალაქელები მას კვირაში 40 ათას ფუნტს უხდიან. ეჭვი არ არის, რომ **რომან აბრამოვიჩი** პოტენციური ვარსკვლავისთვის მეტს გაიმეტებს.

ის, რომ ჰიდინკი მომავალ სეზონში „არისტოკრატთა“ დამრიგებელი აღარ იქნება, ეჭვი აღარავის ეპარება. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიელი მისი ლონდონელი მეგობრების მიტოვებას არ აპირებს. საამისო გზა მან თავად გამონახა. *„სეზონის დასრულების შემდეგ „ჩელსის“ მწვრთნელი ნამდვილად აღარ ვიქნები, მაგრამ კლუბის დახმარებას ყოველთვის მოვახერხებ, თუნდაც მრჩევლის რანგში. რა თქმა უნდა, ამისთვის საჭიროა, რომ კლუბისგან ოფიციალური წინადადება მივიღო,* - განუცხადა ჰიდინკმა სააგენტო „როიტერს“. - *თქვენ ალბათ ისიც გესმით, რომ თუნდაც ხსენებული ორი პოსტის შეთავსებას სხვა შემთხვევაში არსად მოვისურვებდი, მაგრამ ამას რომან აბრამოვიჩის ხათრით ვაკეთებ. ჩვენ განსაკუთრებულად ახლო ურთიერთობა გვაქვს. ასე რომ, თუკი ამის სურვილი იქნება, შემიძლია, კონსულტანტობას დავთანხმდე„.*

მადრიდის „რეალის“ ჰოლანდიელმა ნახევარმცველმა **რაფაელ ვან დერ ვაარტმა** კატეგორიულად უარყო ხმები, თითქოს მადრიდში გატარებული ერთი წლის შემდეგ „ჩელსიში“ გადასვლას აპირებდეს. *„ვიცი, რომ აღნიშნული ჭორი ინტენსიურად დადის. ვიცი, რადგან გაზეთებს მეც ვკითხულობ, მაგრამ არაფერი ამის მსგავსი არ მითქვამს. ჩემს მომავალზე ჯერ კიდევ არ მიფიქრია. შესაბამისად, გადაწყვეტილებაც არ მიმიღია. წელს ივნისში შეიძლება „რეალში“ სიტუაცია რადიკალურად შეიცვალოს. მოვა ახალი პრეზიდენტი, შეიძლება დაინიშნოს ახალი მწვრთნელიც... მოკლედ, დაველოდები და მხოლოდ ამის შემდეგ ვიფიქრებ, თუ რა უნდა ვქნა,“* - განუცხადა ჰოლანდიელმა „სქაი სპორტსს“.

შესაძლო ტრანსფერები

# ნგოგი ფულჰემშიო



ინგლისური პრესის ცნობით, „ლივერპულის“ 20 წლის თავდამსხმელი **დავიდ ნგოგი**, ვისაც ობიექტური მიზეზების გამო წელს სათამაშო პრაქტიკა თითქმის არ ჰქონია, მომავალ სეზონს, იჯარის წესით, „ფულჰემში“ გაატარებს. პერსპექტიული ფორვარდის სამსახურით დაინტერესებულები არიან ასევე „სტოკ სიტი“ და „ბირმინგემი“, თუმცა თავად ფეხბურთელს კარიერის ერთი წლით „ქრეივენ კოტეჯზე“ გატარება უნდა.

სამაგიეროდ, ლონდონელები გუნდის დაცვის ბურჯის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგანან. მოგეხსენებათ, მიმდინარე სეზონის დასაწყისში **როი ჰოჯსონის** გუნდს ორი გამოკვეთილი ლიდერი ჰყავდა, ლაპარაკია 30 წლის ცენტრალურ ნახევარმცველ **ჯიმი ბულარდსა** და 27 წლის სტოპერ **ბრედ ჰანგელანდზე**. ბულარდი იანვარში 5,5 მილიონ ფუნტად „ჰალ სიტიში“ გაიყიდა. ეტყობა, ახლა მეორე ლიდერის ჯერი დადგა. ჯერ კიდევ იანვარში გაისმა ხმები, რომ ის „არსენალისა“ და „მანჩესტერ სიტის“ ინტერესის სფეროში იყო მოხვედრილი, თუმცა რეალურ ქმედებებამდე საქმე არ მისულა. გარემოს შეცვლაზე თავად ფეხბურთელი ალაპარაკდა. *„ჩემით დაინტერესებული კლუბების წინადადებები არ მიმიღია. ადრე ათასგვარი სპეკულაციის მსხვერპლი ვხდებოდი. სიმართლე გითხრათ, თავად ვარ დაინტერესებული ახალი კლუბის მოძებნით და სიამოვნებით მოვისმენდი კონკრეტულ შემოთავაზებას. თუკი ჩემით რომელიმე სერიოზული, ამბიციური კლუბი დაინტერესდება, წინადადებას გულისყურით მოვისმენ„* - აცხადებს 195 სმ სიმაღლის ნორვეგიელი ფეხბურთელი.

ამბები

## სიტი რიბერიში 35 მილიონს იხდის

იანვარში „მანჩესტერ სიტი“ დაჟინებით ცდილობდა „მილანიდან“ კაკას შეძენას და მასში კოლოსალურ თანხას იხდიდა. კლუბის არაბ ინვესტორებს დღემდე არ განელებიათ სურვილი, რომ მსოფლიო კლასის რომელიმე ფეხბურთელი ჩაიგდონ ხელში. საამისოდ მათ ახალი ფეხბურთელი ამოიღეს მიზანში. ლაპარაკია მიუნხენის „ბაიერნის“ ლიდერ **ფრანკ რიბერიზე**. „ქალაქელები“ მზად არიან, ფეხბურთელში 35 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. ფრანგი ვარსკვლავი ბოლო პერიოდში ძალზე გაღიზიანებულია მისი ტრანსფერის ირგვლივ არსებული ხმების სიმრავლით. მან თავის მხრივ კატეგორიული უარი განაცხადა ხსენებულ საკითხზე კომენტარის გაკეთებისგან. მისი ბოლო განცხადება იყო მოკლე და კონკრეტული: ფეხბურთელს „ბაიერნთან“ კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს და სხვაგან გადასვლაზე არ ფიქრობს. **ული ჰიონესი** და **კარლ ჰაინც რუმენიგე** ფეხბურთელთან განშორებას გამორიცხავენ. პირიქით, სეზონის ბოლოს ისინი ფრანგისთვის ახალი, გაუმჯობესებული კონტრაქტის შეთავაზებას აპირებენ.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ჭიდაობა

# ევროპა ვერცხლით და ბრინჯაოთი გავხსენით

## დღეს ლუკა ჭიდაობს

გუშინ ვილნიუსში დაიწყო ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობაში. ხალიჩაზე პირველები **ზაზა თურმანიძის** შეგირდები, თავისუფალი სტილით მოჭიდავეები გავიდნენ. ოთხი წონითი კატეგორიიდან ორი მედალი - ვერცხლი და ბრინჯაო - დასაწყისისთვის ურიგო მიღწევა არაა, მით უფრო, რომ ჩვენი ნაკრები ვილნიუსში ექსპერიმენტული შემადგენლობით ასპარეზობს - ვერცხლის მედალი **ბესარიონ გოჩაშვილმა** (55 კგ.) მოიპოვა, ბრინჯაო კი **მალხაზ მუზიაშვილს** (66 კგ.) დარჩა. მოკლედ, მსუბუქწონოსნებმა იყოჩაღეს მძიმეებმა კი - ვერა. **დავით ოთიაშვილი** (120 კგ) ახლოს იყო კვარცხლბეკთან, მაგრამ მან ბრინჯაოს მედლისთვის მატჩი წმინდა გდებით წააგო, **ბექა ჭელიძე** (84 კგ) კი ულიმლამოდ გამოვიდა. დღეს ხალიჩაზე კიდევ სამი ჩვენებური გავა, მათ შორის ევროპის ხუთგზის ჩემპიონი **ლუკა კურტანიძე**.

### 55 კგ

26 წლის ბესარიონ გოჩაშვილი კარიერაში მერვედ მონაწილეობდა ევროპის ჩემპიონატში. აქამდე **ნუგზარ სხირელის** შეგირდის მიღწევა 2005 წელს მოპოვებული ბრინჯაოს მედალია. წლეულს საქართველოს ჩემპიონატი ახალმა ტალანტმა, **ვლადიმერ ხინჩეგაშვილმა** მოიგო, თუმცა მწვრთნელებმა გადაწყვიტეს მოვლენებისთვის არ დაესწროთ, ხინჩეგაშვილი ისევ ახალგაზრდულ ასპარეზზე დაეტოვებინათ, როგორც ხედავთ, არც შემცდარან - გოჩაშვილმა კარიერის საუკეთესო შედეგს გამოჰკრა ხელი.

გოჩაშვილი პირველ წრეში ისვენებდა, მეორეში მისი მეტოქე ბელარუსი **ვლადისლავ ანდრეევი** იყო, პირველ პერიოდში (სეტი) ჩვენებურმა 2:1 იმარჯვა, მეორეში კი - 4:0 და ნახევარფინალში გავიდა. ამ ეტაპზე მას 19 წლის აზერბაიჯანელი **იაშარ ალიევი** შეხვდა, რომელმაც მანამდე ფრანგ და ლიტველ ფალავნებს სძლია. აზერბაიჯანელთან დაპირისპირებაში ჩვენებურმა პირველი პერიოდი 1:4 დათმო, მაგრამ შემდეგ აჯობა მეტოქეს - 2:1, 3:0. ბადის მეორე ნახევრიდან ფინალში გასვლა რუსმა **ნარიმან ისრაპილოვმა** შეძლო. ისრაპილოვი 21 წლის მოჭიდავეა, ის პირველად გამოვიდა დიდებში, შარშან კი მან მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი მოიგო.

ფინალი ჩვენი დროით 19 საათზე გაიმართა. პირველი პერიოდი ქართველმა მოიგო - 2:1, მაგრამ ამის შემდეგ ისრაპილოვის უპირატესობა აშკარა გახდა, მესამე პერიოდში კი ახალგაზრდა რუსმა ჩვენებური ბეჭებზე გააკრა - 2:1, 1:3, 0:6. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს ვეტერანმა ბულგარელმა **რადოსლავ ველიკოვმა** და ბელარუსმა **ვლადისლავ ანდრეევმა**.

### 66 კგ

ამ წონით კატეგორიაში საქართველოს ღირსებას **მალხაზ მუზიაშვილი** იცავდა. 23 წლის მოჭიდავე პირველად გამოვიდა ევროპის ჩემპიონატზე. კენჭისყრამ მასაც გაუმართლა, გოჩაშვილის დარად, კონკურენტებზე ერთით ნაკლები ორთაბრძოლის გამართვამ მოუწია. მეორე წრეში მალხაზი თურქ **ოკაი კოკსალს** შეხვდა, 2007-ში ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონს. ჩვენებურმა ორ პერიოდში მოიგო დაძაბული შეხვედრა - 1:0, 2:0. შემდეგი მეტოქე ბერძენი **პანაიოტის მაკრინასი** იყო და იოლად მოუგო ამ უცნობ ფალავანს - 4:0, 7:0.

ნახევარფინალში მუზიაშვილი ვერას გახდა 19 წლის ბაქოელ **ჟაბრაილ ჰასანოვთან** - 0:2, 0:4. მუზიაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის უფლება მიიღო და საღამოს უნგრელი **გერგო ვიოლერი** დაუპირისპირდა. მალხაზმა შესანიშნავად იჭიდავა და დამსახურებლად მოიპოვა მედალი - 4:1, 1:0. ფინალში პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი უკრაინელი **ანდრი სტადნიკი** აზერბაიჯანელ ჟაბრაილ ჰასანოვს შეხვდა და დაძაბულ ბრძოლაში მოუგო. ბრინჯაოს მედალი მუზიაშვილის გარდა სომეხმა ფალავანმა **ჟიკაირ ჰოვჰანისიანმა** მოიპოვა.

### 84 კგ

ოლიმპიური ჩემპიონის, **რევაზ მინდორაშვილის** წონაში 19 წლის ბექა ჭელიძის გვეიმედებოდა, თუმცა ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტმა ვერ შეძლო ბერძენი **თეოდოსიოს პავლიდისის** დამარცხება (0:2, 3:1, 0:1). შემდგომში პავლიდისმაც წააგო და ჭელიძე უსახელოდ დაემშვიდობა ტურნირს. ამ წონით კატეგორიაში ევროპის ჩემპიონი რუსი **სოსლან კცოევი** გახდა, რომელმაც სამპერიოდიანი ფინალი მოუგო უკრაინის წარმომადგენელ **იბრაგიმ ალდათოვს**. ბრინჯაოს მედალი აზერბაიჯანელ **ნოვრუზ თემრეზოვს** და თურქ **გოკჰან იავაზერს** დარჩათ.

### 120 კგ

დავით ოთიაშვილი გამოცდილი ფალავანია, 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისმედალოსანს, თითქოს, კენჭისყრამ გაუმართლა - მთავარი კონკურენტები რუსი **სოსლან გაგლოევი** და აზერბაიჯანელი **ალი ისაევი**, რომელმაც ახლახან ჩვენს მეზობელ ქვეყანას მსოფლიოს გუნდური თასი მოაპოვებინა თეირანში, ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ. ოთიაშვილმა პირველ წრეში მოლდოველ **ანდრეი პოდსევალნიჩოვს** აჯობა. მეორეში კი ქართველი სომხეთის სახელით მოასპარეზე **რუსლან ბასიევს** შეხვდა, რომელიც 2006 წელს გუანჯოუში (ჩინეთი) მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. სამწუხაროდ, ჩვენებური პირველივე სერიოზულ მეტოქესთან დამარცხდა - 0:1, 1:4. ბასიევმა ბრძოლა განაგრძო და ოთიაშვილს რეპეშაჟში მონაწილეობის უფლება და ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლის შანსი მისცა. ლატვიელი **სერგეის დიომინსი** ნამდვილად არ არის იმ დონის მოჭიდავე, ჩვენებურისთვის რომ მოეგო - 8:2, 4:0 და ოთიაშვილმა ბრინჯაოს მედლისთვის ჭიდაობის უფლება მოიპოვა. ჩვენებურის მეტოქე უკრაინელი **ვასილი ტესმინსკი** იყო. პირველ პერიოდში ჩვენებურმა ერთქულიანი გდებით დაიწყო, მაგრამ შემდეგ უკრაინელმა ოთიაშვილი ბეჭებზე გააკრა. ევროპის ჩემპიონი აზერბაიჯანელი ალი ისაევი გახდა, რომელმაც სომეხ რუსლან ბასიევს მოუგო. ბრინჯაოს მედალი ტესმინსკის და თურქ **კარა რეჯებს** დარჩათ.

ჩემპიონატამდე ერთი დღით ადრე ევროპულ კონგრესზე კონტინენტის საჭიდაო სამყაროს ხელმძღვანელობა 4 წლით ბულგარელ **ცენო ცენოვს** დაევალა.

დღეს ლიტვურ ხალიჩაზე კიდევ სამი ქართველი გავა. 60 კგ-მდე წონით კატეგორიაში **მალხაზ ქურდიანი** ავსტრიელ **ლუბომ ციკელს** დაეჭიდება. 33 წლის ციკელი მაინცდამაინც ვერ მოიწონებს თავს ტიტულებით. ის ათენის ოლიმპიადაზე მე-8 იყო. 74-ში **გელა სალირაშვილი** მასპინძელ **ედგარას ვოიტეჩოვსკისს** დაუპირისპირდება. შარშანდელ ევროპულ პირველობაზე ედგარასი მერვე იყო და ეს მისი საუკეთესო მიღწევაა. 96 კგ-ში ჩვენი სახელოვანი ფალავანი ლუკა კურტანიძე სომეხ **ედგარ იენოქიანს** შეხვდება. იენოქიანი 22 წლისაა 2006 წელს ის ახალგაზრდებში მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი გახდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## გელაშვილი საუკეთესოა

**ჰოკეი.** ქართული წარმოშობის ჰოკეისტი, 25 წლის **გიორგი გელაშვილი** რუსეთის ლიგა პირველობის - ჰოკეის კონტინენტური ლიგის (კჰლ) მარტის თვის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. კომისიამ „ლოკომოტივის" გოლკიპერ გელაშვილთან ერთად გამოარჩია, მცველი **ილია ნიკულინი** („აკ ბარსი") და ფორვარდი **მათიას ვაინჰანდლი** („დინამო"). გიორგი გელაშვილი რუსეთის ლიგა ჩემპიონატში სტაბილური თამაშით გამოირჩევა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## ჩემპიონატი გადაიდო

**მხატვრული ტანვარჯიში.** გასულ შაბათ-კვირას საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ რამდენიმე ტანმოვარჯიშის ტრავმის გამო, ტურნირი აპრილის ბოლო რიცხვებისთვის გადაიდო. მაისში ევროპის ჩემპიონატი, იმართება და საქართველოს ნაკრები ეროვნული ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დაკომპლექტდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**



რამაზ ფალიანი

# ხვალიდან ახალი ერა იწყება

**თვეზე მეტია, საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარ მწვრთნელად ახლო წარსულში გამოჩენილი მოკრივე რამაზ ფალიანი დაინიშნა. "ლელოს" მკითხველს მასთან ვრცელი ინტერვიუ უკვე შევთავაზეთ. ნაკრების წევრებსა და კანდიდატებს რამაზ ფალიანი 2-5 აპრილს, ქვეყნის ჩემპიონატზე დააკვირდება. სპორტის დეპარტამენტში გუშინ გამართული პრესკონფერენცია სწორედ ამ თემებს მიეძღვნა – საზოგადოებას ფალიანი ოფიციალურად წარუდგინეს და მოახლოებულ ჩემპიონატზე ისაუბრეს. პრესკონფერენციას სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე დავით ნამგალაური და კრივის ფედერაციის გენერალური მდივანი ვლადიმერ ახალკაცი გაუძღვნენ.**

*დავით ნამგალაური: "წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საკრივო მოვლენა ეროვნული ჩემპიონატია, მაგრამ ცოტა ხნის წინათ მოხდა ღირსშესანიშნავი ფაქტი, რომელიც არანაკლებ ყურადღებას იმსახურებს. რამაზ ფალიანი საქართველოში დაბრუნდა და ამიერიდან ჩვენი მოკრივეების მომზადებას იგი გაუძღვება.*

*რამაზი ძალიან მონდომებულია, სპორტის დეპარტამენტი ქართული კრივისთვის არაფერს დაიშურებს და გვჯერა, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შედეგს აუცილებლად გამოიღებს. მოხარული ვარ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი პეტრე ცისკარიშვილი და მთლიანად ქართული კრივის ოჯახი საკუთარ საქმეს იდეალურად აკეთებენ. გაძლიერდება სამწვრთნელო ჯგუფი, ყურადღება მიექცევა ყველა ასაკობრივ კატეგორიას და ჩატარდება საფუძვლიანი სელექცია. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ 2 აპრილს ქართულ კრივში ახალი ერა დაიწყება. თუ ყველა ჩვენგანმა სწორად იმუშავა, ლონდონის ოლიმპიადაზე ძლიერი გუნდით წარვდგებით და ქართველ გულშემატკივარს დიდი გამარჯვებებით გავახარებთ".*

*ვლადიმერ ახალკაცი: "მოახლოებული ჩემპიონატისთვის განსაკუთრებულად ვემზადებით. თითოეული დეტალი სპორტის დეპარტამენტთან ერთად განვიხილეთ. შემოგვაქვს რამდენიმე ნოვაცია. მეტი ობიექტურობისთვის, მოვიწვიეთ მსაჯები აზერბაიჯანიდან და თურქეთიდან. თუ კი აქამდე ბრძოლებს ოთხ რაუნდად ვატარებდით, ახლა სამი რაუნდი გაიმართება, მაგრამ თითო რაუნდი ორწუთიანის ნაცვლად, სამწუთიანი იქნება.*

*ჩემპიონატის მთავარი მსაჯი ჩვენი სახელოვანი მოკრივე დავით კვაჭაძეა. მოკრივეები არა საკუთარი, არამედ ამერიკიდან გამოგზავნილი ხელთათმანებითა და ჩაფხუტებით იბრძოლებენ.*

*წლეულს ქართულ კრივს საუკუნოვანი იუბილე უსრულდება. ამ ღირსშესანიშნავი თარიღის საპატივცემულოდ ნოემბერში საერთაშორისო ტურნირს ვუმასპინძლებთ. უკვე მივიღეთ თანხმობა, რომ თბილისში ფრანგი, იტალიელი, უკრაინელი, აზერბაიჯანელი, სომეხი, ბულგარელი და თურქი მოკრივეები გვეწვევიან. ასე რომ, მობრძანდით და დატკბით მაღალი დონის კრივით".*

*ბოლოს დავძენთ, რომ ეროვნული ჩემპიონატი დიღომში ძიუდოს აკადემიაში, ბელიაშვილის 6 ნომერში ჩატარდება. 2, 3 და 4 აპრილს ბრძოლები 14 საათზე დაიწყება, 5 აპრილს კი ფინალების ნახვა 12 საათიდან იქნება შესაძლებელი. ტურნირზე ყველა უძლიერესი ქართველი მოკრივე გამოვა, გამონაკლისი მხოლოდ ტრავმირებული ნიკოლოზ იზორიაა.*

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი | საქართველოს ჩემპიონატი. ერთიანი წრე

# ახალი ჩემპიონატი რეკორდული მაჩვენებლებით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი რაგბიში სტარტს 15 აპრილიდან აიღებს. მომავალ გათამაშებაში მონაწილე გუნდების სარეკორდო რაოდენობას ვიხილავთ. უმაღლეს, პირველ, ჭაბუკთა A და ჭაბუკთა B ლიგებში ჯამში მორაგბეთა 58 გუნდი იასპარეზებს. მნიშვნელოვნად გაზრდილია გეოგრაფიაც.

უმაღლეს ლიგაში, წლეულს, ქვეყნის ჩემპიონობისათვის 8 გუნდი იასპარეზებს. ამათგან სამი რეგიონისაა - რუსთავის „ხარები", ქუთაისის „აია" და ბათუმის „ელიტი". შედარებისთვის ვიტყვით, რომ შარშან ამავე ლიგაში მხოლოდ ქუთაისელთა გუნდი ასპარეზობდა. ამათ გარდა, ოქროს მედლებისთვის თბილისური კლუბები „ლოკომოტივი", „ლელო", „ყოჩები", „აკადემია" და „უნივერსიტეტი" იასპარეზებენ.

წლეულს პირველად ჩატარდება შეჯიბრება დუბლ შემადგენლობებს შორის. მონაწილეობის სურვილი უმაღლესი ლიგის ოთხი კლუბის გუნდებმა გამოთქვეს. ესენია: „ლოკომოტივი", „ლელო", „ყოჩები" და ბათუმის „ელიტი".

პირველ ლიგაში პირველად ითამაშებენ ოსტატთა შორის ფოთის „აიეტი", ოზურგეთის „არწივები" და ქუთაისის „ბაგრატი". მათთან ერთად უმაღლეს ლიგაში გადასასვლელად იბრძოლებენ „არმაზი", „დინამო", „ხულიგანა", „ტიბისი" და „თბილისი".

| |
|---|
| **I ტური. 15 აპრილი** |
| ლოკომოტივი-ხარები |
| ლელო-ელიტი |
| ყოჩები-აია |
| აკადემია-უნივერსიტეტი |
| **II ტური. 25 აპრილი** |
| აკადემია-ხარები |
| ელიტი-ლოკომოტივი |
| **11 ივლისი** |
| უნივერსიტეტი-ყოჩები |
| აია-ლელო |
| **III ტური. 16 მაისი** |
| ხარები-ელიტი |
| ყოჩები-აკადემია |
| ლელო-უნივერსიტეტი |
| ლოკომოტივი-აია |
| **IV ტური. 23 მაისი** |
| ხარები-აია |
| ლელო-ყოჩები |
| ლოკომოტივი-აკადემია |
| ელიტი-უნივერსიტეტი |
| **V ტური. 30 მაისი** |
| ყოჩები-ხარები |
| აკადემია-ლელო |
| უნივერსიტეტი-ლოკომოტივი |
| აია-ელიტი |
| **VI ტური. 6 ივნისი** |
| ლელო-ხარები |
| ყოჩები-ლოკომოტივი |
| აკადემია-ელიტი |
| აია-უნივერსიტეტი |
| **VII ტური. 13 ივნისი** |
| ხარები-უნივერსიტეტი |
| ლოკომოტივი-ლელო |
| ელიტი-ყოჩები |
| აკადემია-აია |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ინტერვიუ გიორგი ნიჟარაძესთან

# ნოემბერში დიდი სტუმრიანობაა მოსალოდნელი



სხდომის მონაწილენი. პირველ რიგში მარჯვენიდან მესამე გიორგი ნიჟარაძე

**გასულ უქმეებზე დუბლინში IRB-ის შტაბ-ბინაში FIRA AER-ის უმაღლესი კომიტეტის სხდომა გაიმართა, რომელშიც ევროპის ერთა თასზე მოასპარეზე ქვეყნების რაგბის ფედერაციების ხელმძღვანელები მონაწილეობდნენ. აღნიშნულ ღონისძიებასთან დაკავშირებით საქართველოს რაგბის კავშირის პრეზიდენტ გიორგი ნიჟარაძეს ვესაუბრეთ.**

- დუბლინში განვიხილეთ ერთობლივი კომპანიის, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების შექმნის საკითხი. საქმიანობის ძირითადი მიმართულება იქნება, ერთა თასზე მოასპარეზე ქვეყნის რაგბის კავშირებს დამატებითი ფინანსური სახსრები მოუზიდოს. ანუ იდეა ასეთია: კომპანიამ უნდა მოძებნოს ტურნირის გენერალური სპონსორი, დაამყაროს კონტაქტი კომპანიასთან, რომელსაც მიანიჭებს მატჩების ტრანსლაციის ექსკლუზიურ უფლებას და ამასთან აწარმოოს სხვა საქმიანობაც, რომელიც მოიტანს დამატებით დაფინანსებას.

**- რატომ გაიმართა ამ საკითხებთან დაკავშირებით სხდომა IRB-ის შტაბ-ბინაში?**

- ეს თემა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ IRB-ის მაღალჩინოსნები აქტიურად იყვნენ ჩართულნი განხილვაში. გაიმართა საკმაოდ ცხარე დისკუსიები. იყო აზრთა სხვადასხვაობა. ჩვენ საკმაოდ მკაფიოდ დავაფიქსირეთ ჩვენი პოზიცია. იმ შემთხვევაში თუ ასეთი კომპანია ჩამოყალიბდებოდა, მის დაფუძნებაში აუცილებლად უნდა მიეღო მონაწილეობა FIRA AER-საც. ამ აზრს არ თანხმდებოდნენ რუსეთი, პორტუგალია, ესპანეთი და გერმანია. რუმინეთს, შეიძლება ითქვას, ნეიტრალური პოზიცია ეკავა. ამასთან ვთქვით, რომ ამ კომპანიის შექმნა შეუძლებელია, სანამ არ ჩატარდება გაერთიანებული სარაგბო ბაზრის საფუძვლიანი კვლევა და თვალნათლივ არ დავინახავთ შესაძლო ფინანსურ სარგებელს.

**- შეძელით თუ არა საბოლოოდ საქართველოს რაგბის კავშირის პოზიციის დაცვა?**

- დიახ, ფაქტობრივად ჩვენი მოსაზრება ბოლოს ყველამ გაიზიარა და შევთანხმდით, რომ კომპანიას დააფუძნებდა FIRA AER-ი, ერთა თასზე მოასპარეზე ქვეყნების ფედერაციებთან ერთად. მანამდე კი, შეიქმნება სამუშაო ჯგუფი, რომელიც ტენდერით გამოავლენს ვინ ჩაატარებს გაერთიანებული სარაგბო ბაზრის კვლევას. კვლევის შედეგების გათვალისწინებით დავსხდებით და მივიღებთ სათანადო გადაწყვეტილებას.

**- რადგან IRB-ის შტაბ-ბინაში იმყოფებოდით, ალბათ სხვა საკითხებზეც ისაუბრებდით ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან.**

- დიახ, ამ ეტაპზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი თემა „შევარდენის" სანაკრებო ბაზის რეკონსტრუქცია და იქ ხელოვნურსაფრიანი მოედნის დაგებაა. ეს საკითხი წლეულს გადაწყდება. ამასთან ვისუბრეთ ნოემბრის ტესტებთან დაკავშირებითაც. ამ დროისათვის ჩვენი ნაკრების სავარაუდო მეტოქეები ნამიბიის, არგენტინის A და ირლანდიის A ნაკრებები არიან.

**- ახლახან რაგბის კავშირს „ლოკომოტივის" საწვრთნელი ბაზა გადასცეს მფლობელობაში. რა გეგმები გაქვთ ამ ბაზასთან დაკავშირებით?**

- ამ თემაზე ბევრი ვიმსჯელეთ და ჩვენი ჩანაფიქრით ბაზა უნდა გახდეს ახალგაზრდული რაგბის ცენტრი. ანუ, გადავწყვიტეთ სარაგბო აკადემია „შევარდენის" სტადიონიდან დიღომში გადავიტანოთ. იქვე გაივლიან მზადებას ასაკობრივი ნაკრებებიც. „შევარდენის" სტადიონზე კი, ეროვნული ნაკრების ბაზას მოვაწყობთ. თუმცა ეს ყოველივე მერიასთანაა შესათანხმებელი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

კალათბურთი

პერსპექტივა. ინტერვიუ ნიკა მეტრეველთან

# ორ ფრონტზე გამარჯვების იმედით

იანვარში იტალიის "მონტეპასკის" მაისურით ევროლიგაზე სადებიუტო მატჩი ჩაატარა ნიკა მეტრეველმა. იგი 1991 წელსაა დაბადებული და 211 სმ სიმაღლისაა.

იანვრის შემდეგ მეტრეველი თითქმის ყველა მატჩის განაცხადშია, მაგრამ მწვრთნელს სიმონე პიანიჯანის მოედანზე არ შეუყვანია. ეს არც უნდა გაგვიკვირდეს, რადგან "მონტეპასკიში" გამოცდილ მეფარეთა კრებულია: ეზე, ლავრინოვიჩი, რესი, ლეხტალერი...

ნიკა გუშინდელი მატჩისთვისაც ("პანათინაიკოსთან", ევროლიგაზე) მთავარ გუნდთან ემზადებოდა, მაგრამ არ უთამაშია, რადგან...



- გამოჯანმრთელდა ტრავმირებული ლიტველი კშიშტოფ ლავრინოვიჩი. აქამდე სწორედ მის ნაცვლად ვიყავი შემადგენლობაში. ამასთან, გუნდის უფროსობამ ახლახან იყიდა 38 წლის არიელ მაკდონალდი, რომელიც ესპანურ "ხირონაში" თამაშობდა. ასე რომ, შეიძლება უახლოეს მატჩებში განაცხადში ჩემთვის ადგილი ვერ გამოინახოს, - ამბობს ნიკა.

**- ევროლიგაზე გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსთან" არკვევთ ნახევარფინალისტის ვინაობას. მომდევნო ეტაპზე გასვლის უკეთესი შანსი რომელს აქვს?**

- ორივე ძლიერი გუნდია. რა თქმა უნდა, მომდევნო ნახევარფინალში თამაშის დიდი სურვილი გვაქვს, მივაღწევთ თუ არა მიზანს, ბოლოს გამოჩნდება. შენ რომელს გულშემატკივრობ?

**- "მონტეპასკის" ჯერ ვლადიმერ ბოისას გამო ვქომაგობდი, შემდეგ შენც გადახვედი. მაგრამ ახლა ევროლიგაზე გიორგი შერმადინის "პანათინაიკოსს" ეთამაშებით. ამიტომ მოედანზე რომელიმე ქართველის ხილვა უფრო მაინტერესებს, ვიდრე ამ მეოთხედფინალური წყვილის საბოლოო შედეგი. საბერძნეთში შერმადინს თუ შეხვდი?**

- რა თქმა უნდა. ათენში ორი მატჩი გავმართეთ და ხშირად ვხვდებოდით. ვისაუბრეთ როგორც სიენაზე, ასევე "პანათინაიკოსზე"...

**- მწვრთნელი რას ამბობს, "მონტეპასკიში" რეგულარულად როდის გათამაშებო?**

- ამ საკითხზე არაფერს მეუბნება. პიანიჯანი ძლიერი სპეციალისტია და თავისი საქმე კარგად იცის. მოედანზე მითითებებს ხშირად მაძლევს, მოედნის მიღმა კი ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ სალმით შემოიფარგლება. ვფიქრობ, "მონტეპასკიში" თამაში გაისად მომიწევს.

**- ფიზიკურად როგორ ხარ მზად, უფროსებთან თამაში და ვარჯიში ხომ არ გიჭირს?**

- არა. უკვე მივეჩვიე და ფიზიკურად თავს კარგად ვგრძნობ. არავის არაფერს ვუთმობ.

**- თანაგუნდელებიდან ყველაზე კარგი ურთიერთობა ვისთან გაქვს?**

- "მონტეპასკი" მეგობრული კოლექტივია. ყველა ყველასთან კარგადაა. მეც არავისთან მიჭირს ურთიერთობა, დომერკანტთან, რესთან, ლავრინოვიჩთან, ფინლისთან...

**- სიენელთა დუბლშემადგენლობაში რეგულარულად თამაშობ. ორივეგან ვარჯიშს ასწრებ?**

- ძირითადად დიდებში ვვარჯიშობ, ხანდახან ორივეგან მიწევს წვრთნა. გრაფიკი ისეა შედგენილი, რომ ყველაფერს ვასწრებ.

**- "მონტეპასკის" მეორე გუნდმა ახლახან რიმინის "კრაბსთან" წააგო...**

- რიმინი ჩემი ყოფილი კლუბია. სიენაში სწორედ "კრაბსიდან" გადავედი. მასში ახლაც ძლიერი შემადგენლობაა, მაგრამ ვფიქრობ, ჩემპიონობას "მონტეპასკი" მაინც არავის დაუთმობს. შარშან იტალიის 19-წლამდელთა პირველობა სწორედ ჩვენ მოვიგეთ.

**- ამჟამად რეგულარული ჩემპიონატი მიმდინარეობს?**

- ჯერ ტოსკანას პირველობა ვითამაშეთ და მეორე ეტაპზე წაუგებლად გადავედით. ამჟამად მეორე ეტაპი მიმდინარეობს, სადაც რეგიონების ჩემპიონები ვასპარეზობთ. ფინალურ ტურნირში 18 გუნდი გავა და ჩემპიონობისთვის განაგრძობს ბრძოლას. დასკვნითი ეტაპი რეჯიო ემილიაში 2 ივნისს დაიწყება.

**- ე. ი. საქართველოში ივლისამდე არ ჩამოხვალ.**

- 19-წლამდელთა იტალიის ჩემპიონატის ფინალური ეტაპი დაახლოებით ერთ კვირას გასტანს და თბილისში ივნისის შუა რიცხვებში უნდა ჩამოვიდე.

**- ივლისიდან სანაკრებო პერიპეტიები დაიწყება. ნაკრებების მწვრთნელებთან ურთიერთობა თუ გაქვს?**

- ჯერ არავისთან მისაუბრია. კალათბურთელებს კი ხშირად ველაპარაკები.

**- ახალგაზრდულ ნაკრებში აპირებ თამაშს თუ ჭაბუკებში?**

- ახალგაზრდულში.

**- ხომ არ იცი ზუსტად როდის იწყება 20-წლამდელთა B დივიზიონის მატჩები?**

- 16 ივლისს დაიწყება და 26-ში დასრულდება. ეროვნულ გუნდს კი პირველი თამაში 15 აგვისტოს ელის...

**- ეროვნულის შეკრება როდის იწყება?**

- ჯერ არაა ცნობილი. გაარკვევენ ამხანაგური ტურნირების საკითხს და შეკრებაც მერე დაიგეგმება.

ვაჟა სიმონიშვილი

ჭადრაკი



# ქართულ ჭადრაკს ქომაგი ემატება

**გასული წელი ქართული ჭადრაკისთვის მნიშვნელოვანი და წარმატებული იყო - ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაიმარჯვა; მაღალი ინდივიდუალური შედეგებიც გვქონდა... ისე ჩანს, წლევანდელი წელიც არ უნდა ჩამორჩეს შარშანდელს - სამმა თვემ განვლო და თავმოსაწონი მრავლად დაგვიგროვდა, თუმცა აქედან ევროპის ჩემპიონატი ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. წინ კიდევ მეტი და ძლიერი საჭადრაკო ბრძოლები გველის. სასიამოვნოა, რომ მოჭადრაკეთა წარმატებებს ქვეყნის ხელისუფლებაც გამოეხმაურა და ფინანსური შემწეობაც გასწია, მომავალში კი კიდევ უფრო გაზრდის სუბსიდიას. თუ რა სახის დახმარება და პერსპექტივა ივარაუდება, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი გიორგი გიორგაძე ჩვენთან ინტერვიუში განმარტავს.**

- ჭადრაკის ქართველ გულშემატკივარს მსურს ვახარო, რომ დასრულდა მოლაპარაკებები აზერბაიჯანულ კომპანია „სოკართან", რომელიც ჩვენი ფედერაციის გენერალური სპონსორი გახდება. დოკუმენტზე ხელს საზეიმოდ 6 აპრილს მოვაწერთ. კონკრეტული ვალდებულებები შემოსაზღვრული არ არის, - „სოკარი" ჩვენ მიერ წარდგენილ პროექტებს დააფინანსებს. თანამშრომლობაზე ხელშეკრულება გავაფორმეთ საქართველოს განათლების სამინისტროსთანაც. გადაწყდა, რომ ჩატარდება ჭადრაკში სასკოლო პირველობა ქვეყნის მასშტაბით. პირველი ეტაპი აპრილის ბოლოს დაიწყება და გასტანს სასკოლო არდადეგებამდე; ფინალური ეტაპი კი ოქტომბერში, თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართება.

მოლაპარაკებას ვეწევით ფარმაცევტულ კომპანია „ავერსთანაც", ვისი პრეზიდენტიც, **პაატა კურტანიძე**, ბავშვობაში, ქუთაისში ჭადრაკს სწავლობდა. მისი მწვრთნელი **დავით ჩირაძე** გახლდათ. სხვათა შორის, ჩირაძე იყო ჩემი მწვრთნელიც. ბატონ პაატას დღემდე შემორჩა ჭადრაკის სიყვარული და, იმედია, რომ მხარში დაგვიდგება.

კვლავაც აგრძელებს ჩვენთან თანამშრომლობას საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ქართუ". ისიც კონკრეტულ პროექტებს გვიფინანსებს, რომელთაგან ერთ-ერთი მაია ჩიბურდანიძის სახელობის თასია. ეს ტურნირი ტრადიციული გახდა და წლეულს 4-14 ივნისს თბილისში ჩატარდება. ბარემ აქვე ვიტყვი, რომ „სოკარმა" იკისრა ჩიბურდანიძის თასის საორგანიზაციო ხარჯების დაფარვა, - „ქართუ" კი მაღალ საპრიზო ფონდს აწესებს - 28 ათასი ლარის ოდენობით.

ტურნირში მხოლოდ ქალები მონაწილეობენ და ველით, რომ მსოფლიოს უძლიერესი მოჭადრაკეები გვესტუმრებიან. მრავალმა მათგანმა უკვე დაგვიდასტურა თბილისში თამაშის სურვილი. მონაწილეთა საერთო რაოდენობა 150-დან 200-მდე იქნება. ამ შეჯიბრების დასრულებისთანავე, ერთი დღის შემდეგ, კურორტ ტაბახმელაში სტარტს აიღებს ღია საერთაშორისო ტურნირი თბილისის მერიის თასზე. მასში თამაშის უფლება ყველა მსურველს ეძლევა, მათ შორის ქალებსაც. ჩვენ სპეციალურად დავამთხვიეთ ორი ტურნირი ერთმანეთს, რათა ქართველ ქალბატონებს კიდევ ერთ ძლიერ ასპარეზზე ეცადათ ძალები. მერიის თასის გათამაშებას მთლიანად თბილისის მერია აფინანსებს. მერია საქალაქო ტრანსპორტის უფასო სერვისსაც შესთავაზებს მონაწილეებს და გულშემატკივრებს, - ტრანსპორტი ჭადრაკის სასახლიდან იმოძრავებს. საპრიზო ფონდი აქ კიდევ უფრო მეტია - 64 ათასი ლარი. შესაბამისად, მონაწილეთა რაოდენობაც მოიმატებს. ვაჟთა შორისაც ძლიერ დიდოსტატებს ველოდებით, რაც ტურნირის პრესტიჟს საკმაოდ წაადგება.

**- წლის დასაწყისიდან ქართველ მოჭადრაკეებს მრავალ ასპარეზზე მოუხდათ გასვლა და წარმატებებიც იყო. ახლახან დასრულებული ევროპის ჩემპიონატიდანაც არ დავბრუნებულვართ ხელცარიელი. თქვენეული შეფასება როგორია? კმაყოფილი თუ ხართ მიღწეულით.**

- იმის გამო, რომ წლევანდელი ევროპის ჩემპიონატები ქალთა და ვაჟთა შორის ადრე ჩატარდა, საქართველოს ჩემპიონატებიც ნაადრევად გავმართეთ. ორგანიზაციის ხარისხი საკმაოდ მაღალი იყო. პრიზიორები გამოვლინდნენ თუ არა, მალევე მათი მოსამზადებელი ეტაპი დავაფინანსეთ: ზოგი ქუთაისში ვარჯიშობდა, სადაც ოფიციალური შეკრება მოვაწყვეთ, ბაადურ ჯობავა და ნანა ძაგნიძე კი ინდივიდუალური გეგმით გადიოდნენ წვრთნას. ჯობავამ გაამართლა და მესამე ადგილზე გავიდა, რაც ძალიან სასიხარულოა. მან ყველაფერი ობიექტურად შეაფასა და თქვენთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ამ ეტაპზე მეტს არ იმსახურებდა. თუმცა, ოდნავ რომ გამართლებოდა, ჩემპიონობაც შეეძლო. ჯობავათი კმაყოფილი ვარ, მაგრამ სხვებმა თავი ვერ გამოიჩინეს: მერაბ გაგუნაშვილმა იბრძოლა, თუმცა არ გაუმართლა, მიხეილ მჭედლიშვილისა და თორნიკე სანიკიძისგან კი აშკარად მეტს ველოდით. ფედერაციაში შეიკრიბა მამაკაც მოჭადრაკეთა საბჭო და საკმაოდ მკაცრი შეფასება მივეცით მათ გარჯას; სულ მალე გამგეობის სხდომაზეც ვიმსჯელებთ ამ საკითხზე.

**- რაიმე სახით მათ დასჯას ხომ არ აპირებთ?**

- არა, მაგრამ ის კი გვსურს შევახსენოთ ყველას, რომ როცა ქვეყნის სახელით გამოდიხარ, სხვაგვარი პასუხისმგებლობა გაკისრია და მეტი პროფესიონალიზმია საჭირო. როცა ფედერაცია ყველა პირობას უქმნის მოჭადრაკეს და ევროპის ჩემპიონატზე თამაშის საშუალებას აძლევს, მას მეტი თავდადებაც მართებს.

**- ქალთა ჩემპიონატმაც ასე გაგიცრუათ იმედები?**

- ნაწილობრივ. სიმართლე გითხრათ, მედლებს ველოდით. ჩვენი ვარაუდით, ნანა ძაგნიძეს ჩემპიონობისთვის უნდა ებრძოლა, ხოლო ოლიმპიური ნაკრების წევრებს და სხვა გამოცდილ გოგონებს - მედლებისთვის. ძაგნიძემ აშკარად ჩააგდო ტურნირი. მიზეზად იქამდე რამდენიმე დღით ადრე კაცთა დიდ საერთაშორისო ტურნირში ნაჩვენებ კარგ შედეგს დავასახელებ. ნანამ იფიქრა, ქალბატონებში იოლად გავიმარჯვებო და აქ შეცდა. ფსიქოლოგიურადაც რთულია მამაკაცების შემდეგ ქალებთან თამაში...

რაც შეეხება მაია ლომინეიშვილს, მისი მეოთხე ადგილით ძალიანაც კმაყოფილი ვარ, მაგრამ ერთ სვლაში იგებდა ბოლო ტურში და მინიმუმ მესამე ადგილზე გავიდოდა. ხუხაშვილმაც ნორმალურად ითამაშა, თუმცა სალომე მელიასა და ნინო ხურციძისადმი კი გვაქვს შენიშვნები. ამაზე უკვე ვისაუბრეთ ფედერაციაში. როგორც ჩანს, მათ ფსიქოლოგიური პრობლემები აქვთ - როცა ბოლო სამ ტურში ნახევარ ქულას აიღებ და ლიდერიდან რიგით მოჭადრაკედ იქცევი, სხვაგვარ დასკვნას ვერ გააკეთებ.

**- ხშირად მოჭადრაკეებს მოტივაცია აკლიათ - წარმატების მიუხედავად, მას სახელმწიფო ჯეროვნად არ უფასებს შედეგს და გულიც უცრუვდება...**

- გეთანხმებით, რომ ფინანსური დაინტერესება და შრომის დაფასება უნდა მოხდეს. ჩვენს ქვეყანაში, სამწუხაროდ, აქამდე მოჭადრაკეების, როგორც სპორტის არაოლიმპიური სახეობის წარმომადგენლების პრემირების საკითხი საერთოდ არ განიხილებოდა. ჩვენ სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის წინაშე დავაყენეთ ეს წინადადება. საბედნიეროდ, თხოვნა ყურად იღეს, უკვე მზადდება და მალე გამოქვეყნდება საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება მოჭადრაკეების, მორაგბეებისა და სამბისტების პრემირების საკითხის განსაზღვრასთან დაკავშირებით. ამის შემდეგ ნებისმერს ეცოდინება, თუ რა თანხას მიიღებს სახელმწიფოსგან ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებში წარმატებისთვის; ასევე საჭადრაკო ოლიმპიადებში ნაჩვენები მაღალი შედეგებისთვის. ვფიქრობ, რომ მშვენიერი მოტივაცია გაუჩნდებათ ქართველ მოჭადრაკეებს და მათი შედეგებიც ერთიორად მოიმატებს.

ზვიად შათირიშვილი

კარატე

# თასი და გუნდური პირველობა ქართველ კარატემენებს

[illegible]ართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ნაკრებმა წლევანდელი [illegible]რტული სეზონი წარმატებით დაიწყო. წინსვლა გაგრძელდა შვ[illegible]იაშიც, სადაც ავტორიტეტული საერთაშორისო ტურნირი ჩა[illegible]ა. ეს იყო ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატების წინმსწრებ[illegible]ეზობა და სასიხარულოა, რომ საქართველომ ლიდერის ადგ[illegible]დევ ერთხელ მტკიცედ დაიბევა!

[illegible]ლედ, შვიცარიის ქალაქ შო-დე-ფონში გამართულ ზემოხსენებ[illegible] საერთაშორისო ტურნირში, სადაც ევროპის წამყვანი გუნდები [illegible]რეზობდნენ, ქართველებმა ნამდვილი სენსაცია მოახდინეს — ერ[illegible] "ოქრო" და ორი "ბრინჯაო" მოიპოვეს, ეს მხოლოდ სამი კარა[illegible]ნის შედეგია — სამი სპორტსმენისგან შემდგარი ნაკრების.

[illegible]როპული გუნდების ჩამონათვალში იყვნენ საფრანგეთის, გე[illegible]ის, იტალიის, ესპანეთისა და სხვა ქვეყნების გუნდები, სხვათა [illegible]ის, ჩამოვიდნენ იაპონელებიცი, რაც უდავოდ ადასტურებს ტურნირის პრესტიჟულობას. ასეთი მაღალი კონკურენციის პირობებში ჩვენმა ნაკრებმა და ლევან გორელაშვილმა პირველობა არავის დაანებეს, ძმები ირაკლი და დავით ტყებუჩავები კი მესამე საპრიზო ადგილზე გავიდნენ. როგორც წესი, ყველაზე პრესტიჟული გუნდური კუმიტეს მოგებაა და პირველი ადგილი კვლავ ქართველებს დარჩათ ტურნირის თასთან ერთად. ჩვენმა კარატმენებმა უკან ჩამოიტოვეს მასპინძელი ქვეყანა, რომელიც მეორე ადგილზე გავიდა, მესამე ადგილი კი ფრანგებმა და იტალიელებმა გაინაწილეს,"— განაცხადა შვეიცარიიდან სატელეფონო საუბრისას საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა, **კახა ბასილიამ.**

ნუგზარ ქიაბერაშვილი,
საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი



კვარლცხბეკის უმაღლესი საფეხური ჩვენებისაა



გიორგი შხვაცაბაია. ლელო. 1963 წელი

# ლელოს შვილები

სპეციალური გამოშვება. №6 2009 წელი



რაგბის მოთამაშეები. 1963 წელი იმელისი


# დიდი გამარჯვება მარიუპოლში

*დასასრული, დასაწყისი ლელო №74 (12 753)*

## ჩვენ გავიმარჯვებთ

ჩვენს წინ რუსეთის ნაკრების მორაგბეები ხურდებიან. ყოფილი "ბორჯღალოსანი" **ილო მაისურაძე**, რომელსაც რუსეთთან არაერთხელ ურაგბია, ამჯერად კი გულშემატკივართა შორისაა, ჩვენ გვერდით დგას და რუსთა წვრთნას უცქერს.

საქართველოს დროშაშემოხვეული ილო რუსთა ბანაკში ნაცნობ მოთამაშეებს ხედავს და ხმამაღლა უყვირის - "რებიატა მი ვას ლიუბიმ, ეტო რეები, მი დრუზია, ნო სეგოდნია გრუზია ვიიგრაეტ".... რუსები მაისურაძეს ცნობენ, ულიმიან, გამარჯობით პასუხობენ და ხელს უქნევენ, თუმცა თავს აქნევენ – არაო, ისე მაგრად ვართ მომზადებულები, მოგებას საქართველოში ვერ გაგატანთო...

მალე არენაზე "ბორჯღალოსნები" გამოდიან, გახურებას იწყებენ და თამაშისათვის ემზადებიან. ტრიბუნაზე ქართველ ქომაგებთან დარჩენა და გულშემატკივრობა კარგია, მაგრამ პრესცენტრში აკრედიტაციას ვიღებ და არენაზე ჩავდივარ, თამაშის დროს ფოტოების გადაღებაც დიდი ცდუნებაა, თუმცა ძალიან რთული და დამღლელია.

14:00 საათი სრულდება, ნაკრებები მინდორზე გამოდიან და ჰიმნზე დგებიან, "ბორჯღალოსნები" საქართველოს ჰიმნს ომახიანად, გამართულად და მწყობრად მღერიან, მინდვრიდან ქართველი გულშემატკივრის სექტორი ძალიან ლამაზად მოჩანს, ხუთჯვრიანი დროშები ფრიალებს, ომახიანი შეძახილები და **ნონო ანდღულაძის** დოლის ხმა ისმის.

თამაშს ოფიციალური პირებიც ესწრებიან - სტადიონზეა საქართველოს ელჩი უკრაინაში **გრიგოლ ქათამაძე**, "სუამში" საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი **მერაბ ანთაძე**. აქვე არიან, რუსეთის, უკრაინისა და საქართველოს რაგბის კავშირის ხელმძღვანელები და ასევე სხვადასხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები, მათ შორის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაური**, კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის მოადგილე - **დავით ცხადაძე** და სხვები.

## მატჩი

მოედანზე უკვე ფიცხელი ბრძოლაა. ჩანს, რომ ორივე ნაკრები განსაკუთრებულადაა მოტივირებული... შეხვედრაში ანგარიში მასპინძლებმა გახსნეს. მე-7 წუთზე საჯარიმო **იური კუშნარიოვმა** გაიტანა, მაგრამ ქართველებმა მალევე ჩაიგდეს ხელში უპირატესობა და რამდენიმეფაზიანი ულამაზესი შეტევის შემდეგ მე-12 წუთზე **ლაშა მალაღურაძემ** რუსებს კიდეზე პირველი ლელო გაუტანა. სულ მალე ქართველებმა კიდევ გაიტანეს, მოგებული აუტის შემდეგ ამჯერად თავი **გია ლაბაძემ** გამოიჩინა, **მერაბ კვირიკაშვილმა** კი გარდასახვა გაიტანა და მე-20 წუთისათვის ანგარიში 12:3 გახდა. ქართველთა ტრიბუნა "ინგრევა" გულშემატკივრებისაგან, მე-10 სექტორიდან უდიდესი მუხტი მოდის და კომპანია "ვისოლის" გაშლილი საქართველოს უზარმაზარი დროშაც ამაყად ფრიალებს.

ხუთიოდე წუთში კუშნარიოვმა კიდევ ერთი საჯარიმო გაიტანა, თუმცა ტაიმის მიწურულს ქართველებმა მესამე ლელო დადეს და ქომაგი კიდევ ერთხელ გაახარეს. მესამე ლელო რუსთა მორიგ შეცდომას მოჰყვა, რითაც მერაბ კვირიკაშვილმა შესანიშნავად ისარგებლა, ცრუმოძრაობით მეტოქეს ხაზი გაუქრა და ლელო **მალხაზ ურჯუკაშვილს** გაატანინა, გარდასახვა კი თავად შეასრულა და პირველი ტაიმი საქართველომ 19:6 მოიგო.

მეორე ტაიმი. ისევ ქართველთა უპირატესობა. რუსები ერთხელაც შეცდნენ და "ბორჯღალოსნებმა" მეტოქე ამჯერად შერკინებით დაჩაგრეს - ლელო **დავით ხინჩაგიშვილმა** დადო - 24:6. ქართველ გულშემატკივართა სიხარულს საზღვარი აღარ აქვს, რუსთა მხარე კი უკიდურესად გულგატეხილია. *"ღმერთო ჩემო, გააკეთეთ რამე, რა გემართებათ, ჩამოვიდნენ ეს ქართველები და გვამხობენ თავზე ყველაფერს, მუჟიკები არა ხართ? ქენით რამეეეე, ბლინ...."* - ღრიალებს ერთ-ერთი რუსი გულშემატკივარი და სიბრაზისაგან ხელებს გამალებით იქნევს.

63-ე წუთზე ქართველები კაცნაკლულნი დარჩნენ, შეხვედრის ფრანგმა რეფერიმ **დიდიე მენემ** ჩვენი 10 ნომერი ლაშა მალაღურაძე სინ-ბინით დასაჯა, რასაც **ალექსანდრ გვოზდოვსკის** ლელო და კუშნარიოვის კიდევ ერთი გარდასახვა მოჰყვა - 24:13. 75-ე წუთზე მსაჯმა ქართველები ისევ დააჯარიმა და კუშნარიოვმა ზუსტი საჯარიმოთი სხვაობა 8 ქულამდე შეამცირა - 24:16. მატჩის ბოლო წუთები განსაკუთრებულად დაძაბული გამოდგა, 78-ე წუთზე გვოზდოვსკიმ ისევ შეძლო ლელოს გატანა, კუშნარიოვმა გარდასახვა ვერ შეაგდო, თუმცა ანგარიში ძალზე სახიფათო გახდა - 24:21. ქართველი გულშემატკივრების ნერვიულობა ხანმოკლე გამოდგა. ცენტრიდან მალაღურაძის შეყვანილი ბურთი **გიორგი ჩხაიძემ** მოიგო, ლაბაძემ შეტევა გააგრძელა და **ირაკლი მაჩხანელმა** შეხვედრას წერტილი დაუსვა - 29:21!!!

ტრიბუნებიდან ქართული შეძახილები ისმის, გამარჯვებით გამოწვეული სიხარული უსაზღვროა, "ბორჯღალოსნები" კი გულშემატკივრის ალყაში არიან. ქართველთა გასახდელშიც დიდი ორომტრიალია, მორაგბეებს განცალკევება უნდათ, ზოგი მძიმე ბრძოლის შემდეგ სულს ითქვამს, იქით **ირაკლი გიორგაძე** ხატთან ლოცულობს, აქეთ მაჩხანელი და **აბუსერიძე** ინტერვიუებს არიგებენ, გასახდელი სავსეა ქომაგებით, ისმის ფოტოაპარატების ჩხაკუნი და გამარჯვების აღნიშვნას ბოლო აღარ უჩანს.

რუსეთის ნაკრების მოთამაშეებსა და რაგბის კავშირის წარმომადგენლებს კი დანა პირს არ უხსნით, თუმცა პრესკონფერენციას მასპინძელი მხარე მაინც ესწრება.



გია ლაბაძემ კიდევ ერთი აუტი მოიგო



ლაშა მალაღურაძემ რუსეთს პირველი ლელო დაუდო




ქართველი გულშემატკივარი სტადიონ "ილიჩევეცზე"



საქართველომ ისევ გაიმარჯვა




ტიმ ლეინი და ნიკოლაი ნერუში მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე



დავით ნამგალაური და გია ნიჟარაძე – ჩვენ უკან გამარჯვებაა

## პრესკონფერენციაზე

პირველ სიტყვას **ტიმ ლეინს** აძლევენ. საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა ქართველთა თამაში განსაკუთრებით შეაქო და იმ ფაქტს გაუსვა ხაზი, რომ მიუხედავად პატარ-პატარა ხარვეზებისა, ნაკრებმა ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა. რუსთა მწვრთნელმა **ნიკოლაი ნერუშმა** კი ეს თქვა: *"ჩვენ, ქართველების წინააღმდეგ მატჩებში ყოველთვის ერთი ნაბიჯი გვაკლდება წარმატებამდე, მეტოქე ყოველთვის ჩვენზე რაღაცით უკეთესია, რაღაცით გვჯობნის, რუსეთის ნაკრების მორაგბეები ასეთი დონის შეხვედრებით არ არიან განებივრებულები, ქართველები კი ფრანგულ კლუბებში პროფესიონალიზმს ეჩვევიან. ამ ყველაფერთან ერთად, საქართველომ საუკეთესო თამაში აჩვენა და ეს მაინცდამაინც ჩვენ წინააღმდეგ გამოუვიდა, ხოლო გულშემატკივრობა ისეთი იყო, თავი საქართველოში გვეგონა".*

პრესკონფერენციაზე ემოციებს ვერ იკავებს რუსეთის ნაკრების კაპიტანი **ვლადისლავ კორშუნოვი**: *"გამარჯვება ისე ძალიან გვინდოდა, მეტი რომ არ იქნება. პირველი ტაიმი რომ დამთავრდა, ბიჭებს თამაშის გადარჩენის საშინელი ჟინი შევამჩნიე და მაგრადაც ვიომეთ. ნაკრებს შევაქებ, მაგრად ვითამაშეთ, მაგრამ პირადად ჩემი ბრალია, რომ რამდენიმე საჯარიმო აუტში გადავიტანეთ და კარში არ დავარტყით, კორშუნოვს დარტყმა წაუვიდა და ჯობდა, ალბათ, კარში მეტი ჯარიმა დაგვერტყა."*

პრესკონფერენცია ლეინისა და ნერუშის ხელის ჩამორთმევით თავდება, ნაკრების მწვრთნელი ისევ გასახდელს უბრუნდება, სადაც გულშემატკივრების ნამდვილი არმიაა შეკრებილი" ბორჯღალოსნების" გვერდით. ქომაგები სამახსოვრო ფოტოებს იღებენ, ბრძოლაში გათანგულ მორაგბეებს ეხუტებიან და გამარჯვებისათვის მადლობას უხდიან.

მატჩის შემდეგ ტრადიციული "მესამე ტაიმი" იმართება, სადაც ქართველები გამარჯვებას კიდევ ერთხელ ზეიმობენ, გამარჯვებული საქართველოს სრული დელეგაცია კი მარიუპოლიდან თბილისში თამაშის დასრულებიდან 2 საათში მოემგზავრება. თვითმფრინავში ვიგებთ, რომ თბილისის აეროპორტი სავსეა გულშემატკვრებით და ასეცაა - 22 მარტს 23 საათზე ახლა ჩვენი აეროპორტი ზანზარებს ქომაგობით.

## თბილისის აეროპორტში

თბილისის აეროპორტში მორაგბეებს უამრავი გულშემატკივარი დახვდა. აქ იყვნენ სამთავრობო უწყებების წარმომადგენლებიც — კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი **ნიკოლოზ რურუა**, სხვა ოფიციალური პირები. აეროპორტში იგეგმება საგანგებო პრესკონფერენცია, რომელიც მეორე დღეს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტში ტარდება და სწორედ იქ ცხადდება, რომ რუსეთის დამარცხებისათვის თითოეული მორაგბე 5 000 დოლარს მიიღებს და ასევე დაჩქარდება მორაგბეთათვის სავარჯიშოდ სხვადასხვა ტერიტორიის გადაცემის პროცესი. შემდეგ დღეებში სარაგბო თემა კვლავ აქტუალურია. სპორტის დეპარტამენტი მორაგბეთათვის დიდ მიღებას კლუბ "გომართელში" აწყობს, მომდევნო დღეს კი მორაგბეებს დიღმის მასივში "ლოკომოტივის" ბაზა გადაეცათ.

**გიორგი ჭანიშვილი**
**მარიუპოლი-თბილისი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური სპორტი

## ჰოკეი

### NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**რეინჯერსი–ნიუ ჯერსი 3:0**

0:0, 3:0, 0:0

**გოლები:** 1:0 დუბინსკი-11 (ჟირარდი-17, სიოსტრიომი-6), 2:0 ჟირარდი-4 (ანტროპოვი-30, დრური-33), 3:0 კელეჰანი-21 (გომესი-40, ეივერი-13).

**კალგარი–სან ხოსე 1:2**

1:1, 0:1, 0:0

**გოლები:** 0:1 ბოილი-15 (ჯ. ტორნტონი-58, პაველსკი-33), 1:1 იგინლა-32 (ლენგკოუ-28, ფანოფი-34), 1:2 ჩიჩუ-10 (ლუკოვიჩი-8, ჯ. ტორნტონი-59).

**ფინიქსი–დალასი 6:5 (ო)**

2:1, 2:2, 1:2, 1:0

**გოლები:** 0:1 ბ. მორისონი-14 (კონერი-10, სტეფორდი-1), 1:1 აპშოლი-11 (ლომბარდი-26, პრუხა-11), 2:1 ლისინი-11 (ტიხონოვი-7, კლი-10), 2:2 ჰათჩინსონი-2 (რიბეირო-51, ოტი-23), 3:2 დოუნი-29 (რაინპრეხტი-24, ჟოვანოვსკი-25), 4:2 ლისინი-12 (ტიხონოვი-8, ჰანჟალი-20), 4:3 ლ. ერიქსონი-34 (ნისკანენი-25, რიბეირო-52), 5:3 აპშოლი-12 (ლომბარდი-27, პრუხა-12), 5:4 კონერი-3 (ბ. მორისონი-15, სტეფორდი-2), 5:5 სიდორი-3 (ნისკანენი-26, რიბეირო-53), 6:5 პრუხა-6 (დოუნი-38, ლისინი-8).

### კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "სენტ ლუის ბლუზის" მეკარე **კრის მეისონი** დაასახელა. წინა კვირას მან ოთხ მატჩში მიიღო მონაწილეობა და ოთხივეში გაიმარჯვა. მეისონმა საშუალოდ 1.72 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 93 პროცენტი მოიგერია. ამ მოგებების წყალობით, "სენტ ლუისმა" რეგულარული ჩემპიონატის დასრულებამდე ორი კვირით ადრე პლეიოფის ზონაში შეაღწია.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ვანკუვერ კენაქსის" მარჯვენა ფრთას **დანიელ სედინს** ერგო, რომელმაც ოთხ თამაშში 8 ქულა (4+4) დააგროვა. შვედი ფორვარდი 76 ქულით "ვანკუვერის" საუკეთესო ბომბარდირია.

მესამე ვარსკვლავი გახდა "კაროლინა ჰარიკეინზის" გოლკიპერი **კემ უორდი**, რომელმაც საშუალოდ 1.32 შაიბა გაუშვა და მეტოქეთა დარტყმების 95.7 პროცენტი მოიგერია. შეგახსენებთ: რომ წინა კვირას უორდი კვირის საუკეთესო მოთამაშე გახდა.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-ბოსტონი | 75 | 48 | 17 | 10 | 106 |
| 2. x-ვაშინგტონი | 76 | 46 | 23 | 7 | 99 |
| 3. x-ნიუ ჯერსი | 76 | 47 | 25 | 4 | 98 |
| 4. ფილადელფია | 75 | 41 | 24 | 10 | 92 |
| 5. კაროლინა | 77 | 42 | 28 | 7 | 91 |
| 6. პიტსბურგი | 76 | 41 | 27 | 8 | 90 |
| 7. რეინჯერსი | 77 | 40 | 28 | 9 | 89 |
| 8. მონრეალი | 75 | 38 | 27 | 10 | 86 |
| 9. ფლორიდა | 76 | 37 | 28 | 11 | 85 |
| 10. ბაფალო | 75 | 37 | 30 | 8 | 82 |
| 11. ოტავა | 75 | 33 | 32 | 10 | 76 |
| 12. ტორონტო | 76 | 31 | 32 | 13 | 75 |
| 13. ატლანტა | 76 | 32 | 38 | 6 | 70 |
| 14. ტამპა ბეი | 76 | 24 | 35 | 17 | 65 |
| 15. აილენდერსი | 75 | 25 | 41 | 9 | 59 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ონ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. y-სან ხოსე | 75 | 49 | 15 | 11 | 109 |
| 2. y-დეტროიტი | 76 | 49 | 18 | 9 | 107 |
| 3. კალგარი | 75 | 43 | 26 | 6 | 92 |
| 4. ჩიკაგო | 74 | 40 | 23 | 11 | 91 |
| 5. ვანკუვერი | 75 | 41 | 25 | 9 | 91 |
| 6. კოლამბუსი | 76 | 39 | 29 | 8 | 86 |
| 7. ნეშვილი | 76 | 38 | 30 | 8 | 84 |
| 8. სტ. ლუისი | 76 | 37 | 30 | 9 | 83 |
| 9. ანაჰაიმი | 76 | 38 | 32 | 6 | 82 |
| 10. ედმონტონი | 76 | 36 | 31 | 9 | 81 |
| 11. მინესოტა | 76 | 36 | 32 | 8 | 80 |
| 12. დალასი | 75 | 33 | 33 | 9 | 75 |
| 13. ლოს ანჯელესი | 75 | 31 | 33 | 11 | 73 |
| 14. ფინიქსი | 75 | 31 | 37 | 7 | 69 |
| 15. კოლორადო | 76 | 31 | 43 | 2 | 64 |

*y - დივიზიონის ჩემპიონი; x - გავიდა პლეიოფში*

**ბომბარდირები**

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 107 (33+74) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 100 (53+47) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 97 (29+68) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 91 (30+61) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 89 (42+47) |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 87 (40+47) |
| ჯერომ იგინლა (კალ) | 85 (32+53) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 83 (24+59) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 81 (25+56) |

**გოლები**

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 53 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 42 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 41 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 40 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 37 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 37 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 36 |
| რიკ ნეში (კოლამ) | 36 |

**პასები**

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 74 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 68 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 61 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 59 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 59 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 57 |
| მარკ სავარი (ბოს) | 57 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 56 |

### NHL. აპრილის კალენდარი

**1 აპრილი**
ვაშინგტონი-აილენდერსი
ატლანტა-ბაფალო
ტორონტო-ფილადელფია
პიტსბურგი-ნიუ ჯერსი
ჩიკაგო-სენტ ლუისი
კოლორადო-ფინიქსი

**2 აპრილი**
ბოსტონი-ოტავა
აილენდერსი-მონრეალი
კაროლინა-რეინჯერსი
დეტროიტი-სენტ ლუისი
დალასი-კალგარი
ედმონტონი-სან ხოსე
ვანკუვერი-ანაჰაიმი
ფინიქსი-ლოს ანჯელესი

**3 აპრილი**
ნიუ ჯერსი-ტამპა ბეი
ფილადელფია-ტორონტო
ვაშინგტონი-ბაფალო
ფლორიდა-ატლანტა
მინესოტა-კალგარი
ჩიკაგო-ნეშვილი

**4 აპრილი**
ბოსტონი-რეინჯერსი
ბაფალო-ნიუ ჯერსი
ტორონტო-მონრეალი
ოტავა-ფილადელფია
აილენდერსი-ტამპა ბეი
კაროლინა-პიტსბურგი
ნეშვილი-კოლამბუსი
დალასი-სენტ ლუისი
ედმონტონი-ვანკუვერი
სან ხოსე-ანაჰაიმი
ლოს ანჯელესი-ფინიქსი

**5 აპრილი**
ვაშინგტონი-ატლანტა
ფლორიდა-პიტსბურგი
დეტროიტი-მინესოტა
კოლამბუსი-ჩიკაგო
ანაჰაიმი-სან ხოსე
ვანკუვერი-კოლორადო

**6 აპრილი**
ბაფალო-დეტროიტი
მონრეალი-ოტავა
კალგარი-ლოს ანჯელესი

**7 აპრილი**
ნიუ ჯერსი-ტორონტო
რეინჯერსი-მონრეალი
ფილადელფია-ფლორიდა
კაროლინა-აილენდერსი
ატლანტა-ვაშინგტონი
ოტავა-ბოსტონი
ტამპა ბეი-პიტსბურგი
ნეშვილი-ჩიკაგო
მინესოტა-დალასი
ედმონტონი-ლოს ანჯელესი
ვანკუვერი-კალგარი
ფინიქსი-სენტ ლუისი
სან ხოსე-კოლორადო

**8 აპრილი**
ტორონტო-ბაფალო
ჩიკაგო-კოლამბუსი

**9 აპრილი**
ბოსტონი-მონრეალი
რეინჯერსი-ფილადელფია
კაროლინა-ბაფალო
ატლანტა-ფლორიდა
ოტავა-ნიუ ჯერსი
პიტსბურგი-აილენდერსი
ტამპა ბეი-ვაშინგტონი
დეტროიტი-ნეშვილი
კოლორადო-დალასი
ვანკუვერი-ლოს ანჯელესი
სან ხოსე-ფინიქსი

**10 აპრილი**
მინესოტა-ნეშვილი
სენტ ლუისი-კოლამბუსი
ედმონტონი-კალგარი
ანაჰაიმი-დალასი

**11 აპრილი**
ნიუ ჯერსი-კაროლინა
აილენდერსი-ფილადელფია
დეტროიტი-ჩიკაგო
კოლორადო-ვანკუვერი
ბაფალო-ბოსტონი
ლოს ანჯელესი-სან ხოსე
ტორონტო-ოტავა
მონრეალი-პიტსბურგი
ატლანტა-ტამპა ბეი
ფლორიდა-ვაშინგტონი
კოლამბუსი-მინესოტა
ფინიქსი-ანაჰაიმი
კალგარი-ედმონტონი

**12 აპრილი**
კოლორადო-სენტ ლუისი
აილენდერსი-ბოსტონი
ფილადელფია-რეინჯერსი
ჩიკაგო-დეტროიტი

## ჩოგბურთი

# კიმს ქმარმა კარიერა შესწირა



ცნობილია, რომ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **კიმ კლაისტერსი** აგვისტოდან განაახლებს ქალთა პროფესიულ ტურში გამოსვლას. ამის შესახებ ბელგიელმა ჩოგბურთელმა რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად გამოაცხადა.

როგორც ირკვევა, ამ ახალი ამბავს კლაისტერსის ოჯახში ყველა სერიოზულად მოეკიდა. კერძოდ, ჩოგბურთელის მეუღლემ, ამერიკელმა კალათბურთელმა **ბრაიან ლინჩმა** ამ სეზონის შემდეგ კარიერის დასრულება გადაწყვიტა.

არადა, ლინჩს ბელგიის ლიგაში მოთამაშე "ანტვერპენთან" 2010 წლის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი, თუმცა კალათბურთელმა ჩათვალა, რომ რადგან კლაისტერსმა WTA-ის ტურში დაბრუნება გადაწყვიტა, ის მთლიანად მის მხარდაჭერასა და ქალიშვილის აღზრდაზე უნდა გადაერთოს.

*"ამ ნაბიჯის გადადგმა არც ისე იოლი იყო, - განაცხადა ბრაიანმა. - მაგრამ კიმთან და ოჯახის სხვა წევრებთან კონსულტაციების შემდეგ გადავწყვიტეთ, რომ ეს ყველასთვის საუკეთესო გადაწყვეტილება იქნებოდა. კიმი ბოლო ორი წელი ძალიან მეხმარებოდა, ახლა კი ჩემი ჯერი დადგა. თანაც, ჩვენი ქალიშვილი - ჯადა ყოველთვის დედისა და მამის გვერდით იქნება. რაც შეეხება კალათბურთს, მე ის ძალიან მიყვარს და გამორიცხული არ არის, ოდესლაც მწვრთნელის რანგში ვცადო ბედი".*

# შარაპოვამ დაბრუნება ისევ გადადო



რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** ისევ არ ჩქარობს პროფესიულ ტურში დაბრუნებას. ამჯერად მან ამერიკის პონტე-ვედრა-ბიჩის ტურნირზე გამოსვლა იუარა. ეს შეჯიბრი 6-12 აპრილს გაიმართება. შარაპოვა ამ ტურნირის შარშანდელი ჩემპიონია, მაგრამ ტიტულის დაცვაზე ძველი მიზეზით თქვა უარი - ეს არის მხრის ტრავმა.

თუმცა მარია მაინც აპირებს პონტე-ვედრაში ჩასვლას. ის იქ ერთ-ერთი სპონსორის სარეკლამო აქციაში მიიღებს მონაწილეობას, აგრეთვე ჟურნალ ESPN-სთვის გადაიღებს ფოტოებს.

როგორც ჩოგბურთელის ოფიციალური წარმომადგენლები აცხადებენ, შარაპოვა 10 აპრილს ფლორიდაში ჩავა და იქ რომის უმაღლესი კატეგორიის ტურნირისთვის მზადებას დაიწყებს. იტალიის დედაქალაქი საუკეთესო ქალ ჩოგბურთელებს მაისში უმასპინძლებს.

შარაპოვას ერთეულთა თანრიგში 2008 წლის შემდეგ არ უთამაშია. სამი კვირის წინ, მან მონაწილეობა მიიღო ინდიან უელსის ტურნირის წყვილთა თანრიგში, სადაც თანამემამულე **ელენა ვესნინასთან** ერთად პირველივე წრიდან გამოეთიშა ბრძოლას.

# უილიამსებს კონკურენტები აღარ დარჩათ



მაიამის უმაღლესი კატეგორიის ტურნირზე ქალთა ბადეში სენსაციები გრძელდება. ფიასკოგამოვლილი ფავორიტების შთამბეჭდავ სიას კიდევ ერთი რუსი - **ელენა დემენტიევა** დაემატა, რომელმაც ორი სეტში წააგო 18 წლის დანიელ **კაროლინ ვოზნიაჩკისთან.**

დემენტიევამ მხოლოდ პირველი სეტის დასაწყისში აჩვენა ჩვეული თამაში და ორი გეიმით დაწინაურდა, მაგრამ დანიელმა მალე აღადგინა წონასწორობა და აქედან მოყოლებული კორტზე თანაბარი ბრძოლა მიდიოდა. უბრალოდ, სეტების ბოლოს რუსი ჩოგბურთელი მეტოქეზე მეტ შეცდომას უშვებდა და მისი მარცხიც ამით არის გამოწვეული. საბოლოოდ, დემენტიევას 45 უნებლიე შეცდომა დაუგროვდა და ასეთი სტატისტიკით მეოთხედფინალში გასვლა შეუძლებელი იყო.

დემენტიევას შეუძლია თავი იმით ინუგეშოს, რომ ორშაბათიდან ის რეიტინგის მესამე საფეხურზე დამკვიდრდება. ასეთი რამ მის ხანგრძლივ კარიერაში პირველად ხდება. რუსი ჩოგბურთელი კლასიფიკაციაში თავის სეხნია **ელენა იანკოვიჩს** ჩამოიტოვებს უკან.

ევროპელი ფავორიტების ფიასკოს შემდეგ, დებ **უილიამსებს** გზა გაეხსნათ მორიგი წარმატებისკენ. **სერენამაც** და **ვენუსმაც** მეოთხედფინალების საგზურები მოიპოვეს, თუმცა ვენუსს საკმაოდ გაუჭირდა ამის გაკეთება.

ამერიკელმა პირველი სეტი წააგო პოლონელ **აგნიეშკა რადვანსკასთან,** მაგრამ შემდეგ 13 გეიმიდან 11 მოიგო და თითქოს მატჩის ბედიც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა, მაგრამ რადვანსკამ ზედიზედ სამი გეიმი აიღო და მესამე სეტში ანგარიში მინიმუმამდე შეამცირა.

აქ კი ვენუსმა აღარ ანერვიულა თავისი ფანები, მეათე გეიმში მორიგი ბრეიკი მიითვალა და ბოლო სეტში 6:4 გაიმარჯვა.

■ ■ ■

გაცილებით სტაბილური და მშვიდი მდგომარეობაა მამაკაცთა ბადეში, სადაც მერვედფინალში თითქმის ყველა ფავორიტმა გაიკვლია გზა. მათ შორის არის მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი,** რომელიც პორტუგალიელ **ფედერიკო ჟილს** ხვდებოდა.

ამ ჩოგბურთელმა წინა წრეში ხორვატი **ივო კარლოვიჩი** დაამარცხა, რაც მის კარგ მზადყოფნაზე მეტყველებდა. ჟილმა ნადალსაც გაუმართა ბრძოლა, განსაკუთრებით პირველ სეტში, სადაც პორტუგალიელმა ორი ბრეიკი გააკეთა, მაგრამ თავად სამჯერ წააგო საკუთარი მოწოდება. მაგრამ მალე ყველაფერი თავის ადგილას დადგა და ნადალმა სეზონში 23-ე მატჩში იზეიმა გამარჯვება.

ასევე ორ სეტში მოიგო ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ,** რომელსაც მეტოქედ ვეტერანი ჩილელი **ნიკოლას მასუ** ჰყავდა.

მასუს სასახელოდ უნდა ითქვას, მან ბოლომდე იბრძოლა რეიტინგის მეოთხე ნომრის წინააღმდეგ, პირველ სეტში სამგეიმიანი დეფიციტიც გააბათილა, მაგრამ ენდის კლასმა და უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ ჩილელს მატჩის მოგების არანაირი შანსი არ დაუტოვა. მიურეიმ ორივე სეტი ერთნაირი ანგარიშით - 6:4 მოიგო.

ყველაზე იოლ გამარჯვებას არგენტინელმა **ხუან მარტინ დელ პოტრომ** მიაღწია, რომელმაც ჯამში ხუთი გეიმი დაუთმო სერბ **იანკო ტიპსარევიჩს.**

დელ პოტროს მერვედფინალში გაცილებით სერიოზული მეტოქე ეყოლება ესპანელი **დავიდ ფერერის** სახით.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**ATP**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/16 ფინალი**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-ფრედერიკო ჟილი (პორ) 7:5, 6:3; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:4, 6:4; **ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 6)**-იანკო ტიპსარევიჩი (სერ) 6:4, 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 8)**-ფელისიანო ლოპესი (ესპ, 32) 3:6, 6:3, 6:4; **დავიდ ფერერი (ესპ, 11)**-მარინ ჩილიჩი (ხორ, 17) 3:6, 6:3, 6:4; **რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 18)**-ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 12) 7:6 (1), 6:4; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც, 16)**-იგორ ანდრეევი (რუს, 20) 4:6, 6:3, 6:3; **ვიქტორ ტროიცკი (სერ)**-ბიორნ ფაუ (გერ) 6:4, 6:3.

**1/8 ფინალში ხვდებიან**

ნადალი (1)-ვავრინკა (16); დელ პოტრო (6)-ფერერი (11); მიურეი (4)-ტროიცკი; ვერდასკო (8)-შტეპანეკი (18); სიმონი (7)-ცონგა (10); ჯოკოვიჩი (3)-ბერდიხი (21); როდიკი (5)-მონფილსი (9); ფედერერი (2)-დენტი.

**WTA**

**Sony Ericsson Open**

მაიამი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 4 500 000 დოლარი

**1/8 ფინალი**

**სერენა უილიამსი (აშშ, 1)**-ჟიე ჟენგი (ჩინ, 17) 7:5, 5:7, 6:3; **კაროლინ ვოზნიაჩკი (დან, 13)**-ელენა დემენტიევა (რუს, 4) 7:5, 6:4; **ვენუს უილიამსი (აშშ, 5)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 10) 4:6, 6:1, 6:4; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8)**-ალისა კლეიბანოვა (რუს, 24) 6:2, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 11)**-აგნეს შავაი (უნგ, 25) 6:2, 6:4; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ, 26)**-ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 19) 6:4, 6:1; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-ამელი მორესმო (საფ, 20) 6:4, 6:4; **ნა ლი (ჩინ)**-ეკატერინა მაკაროვა (რუს) 6:7 (3), 6:2, 6:2.

**1/4 ფინალში ხვდებიან**

ს. უილიამსი (1)-ნა ლი; ბენეშოვა (26)-ვ. უილიამსი (5); კუზნეცოვა (8)-ვოზნიაჩკი (13); აზარენკა (11)-სტოსური.

კალათბურთი — NBA რეგულარული ჩემპიონატი

# ჰოვარდის რეკორდი და ზოს აღიარება



"მაიამისა" და "ორლანდოს" მატჩში ორი ღირსშესანიშნავი მოვლენა მოხდა. თავდაპირველად, "მეჯიქის" ცენტრმა **დუაიტ ჰოვარდმა** ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის რეკორდი დაამყარა. ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა კალათბურთელი ლიგის ისტორიაში, ვინც კარიერაში 5 ათასი მოხსნის მოგროვება მოახერხა. რეკორდის დამყარების მომენტში, ჰოვარდი 23 წლის და 112 დღის იყო. წინა რეკორდი ლეგენდარულ უილტ **ჩემბერლენს** ეკუთვნოდა, რომელმაც რიგით მეხუათიათასე მოხსნა 25 წლის და 128 დღის ასაკში მიითვალა.

ამ შეხვედრის შესვენებაზე კი "მაიამი ჰიტის" ლეგენდარული ცენტრის **ალონზო მოურნინგის** კალათბურთიდან გაცილების ცერემონია გაიმართა. ზოს 33-ნომრიანი მაისურა საზეიმოდ აღმართეს "მაიამის" საშინაო არენის თაღზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან, "ჰიტის" რიგებში ამ ნომრით აღარავინ ითამაშებს. აღსანიშნავია, რომ მოურნინგი გახდა "მაიამის" პირველი მოთამაშე, ვისაც მსგავსი პატივი ხვდა წილად.

საზეიმო ცერემონიაზე ამერიკის პრეზიდენტის **ბარაკ ობამას** მისალოცი წერილიც წაიკითხეს.

*"რვა წლის წინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ჩემს ცხოვრებაში ასეთი ბრწყინვალე მომენტი დადგებოდა, - თვალზე ცრემლმომდგარი ამბობდა მოურნინგი. - ეს დღე არასოდეს დამავიწყდება და ყოველთვის ვიამაყებ ამით".*

*"ეს დიადი მომენტია ალონზოსთვის და მთლიანად თანამედროვე კალათბურთისთვის"*, - განაცხადა "მაიამის" მთავარმა მწვრთნელმა **ერიკ სპოელსტრამ**.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

**მაიამი-ორლანდო 95:101**

21:26, 22:20, 26:24, 26:31

მ: უეიდი (42+4 ჩაჭრა), ჩალმერსი (13+7 პასი+5 ჩაჭრა), ჯ. ო'ნილი (10+7 მოხსნა+3 დაფარება).

ო: დ. ჰოვარდი (22+18 მოხსნა), ლუისი (21), თურქოგლუ (16), ელსტონი (13+7 მოხსნა), კ. ლი (10).

**ნიუ ჯერსი-მილუოკი 78:107**

13:32, 24:28, 16:24, 25:23

ნ-ჯ: დაგლას-რობერტსი (14), იი იანლიანი (11), ბ. ლოპესი (10+10 მოხსნა), დ. ჰარისი (10).

მ: რ. ჯეფერსონი (29+10 მოხსნა), ვილანუევა (20), ალექსანდერი (16), სეშენსი (13+7 მოხსნა+8 პასი).

**იუტა-ნიუ იორკი 112:104**

36:24, 31:22, 19:32, 26:26

ი: დ. უილიამსი (24+13 პასი), ბუზერი (21+11 მოხსნა+4 ჩაჭრა), რ. ბრიუერი (17), კორვერი (16), მილსეპი (12+7 მოხსნა+3 ჩაჭრა).

ნ-ი: ჰარინგტონი (24+3 ჩაჭრა), დ. ლი (21+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჩენდლერი (14+7 მოხსნა), ჯეფრისი (11+3 ჩაჭრა), რობინსონი (11).

**გ. სტეიტ-მემფისი 109:114**

27:27, 26:30, 31:20, 25:37

გ-ს: ელისი (29), კროუფორდი (26+3 ჩაჭრა), აზუბუიკე (14), მოროუ (10), ე. რენდოლფი (8+12 მოხსნა+3 დაფარება).

მ: მაიო (24+10 პასი), კონლი (21+6 პასი+4 ჩაჭრა), გეი (21+5 დაფარება), უორიკი (16), მ. გასოლი (14), ჰადადი (10+8 მოხსნა).

## კვირის მოთამაშეები

"ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და "სან ანტონიო სპურსის" გამთამაშებელი **ტონი პარკერი** გასული კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჰოვარდმა თავის გუნდს სამიდან სამ მატჩში მოაგებინა, რამაც გუნდს, ზედიზედ მეორედ სამხრეთ-აღმოსავლეთი დივიზიონის ჩემპიონის ტიტული მოუტანა. დუაიტი საშუალოდ თამაშში 23.7 ქულას, 14.3 მოხსნას, 3.3 დაფარებას აგროვებდა.

დასავლეთში საუკეთესო ტონი პარკერმა თავის გუნდს ოთხიდან სამ მატჩში გაამარჯვებინა. მის ანგარიშზე 27.5 ქულა და 8.5 შედეგიანი პასი მოდის.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. y-კლივლენდი | 73 | 60 | 13 | 82.2 |
| 2. y-ორლანდო | 73 | 55 | 18 | 75.3 |
| 3. y-ბოსტონი | 75 | 56 | 19 | 74.7 |
| 4. x-ატლანტა | 74 | 43 | 31 | 58.1 |
| 5. მაიამი | 74 | 39 | 35 | 52.7 |
| 6. ფილადელფია | 72 | 37 | 35 | 51.4 |
| 7. დეტროიტი | 73 | 36 | 37 | 49.3 |
| 8. ჩიკაგო | 75 | 36 | 39 | 48.0 |
| 9. შარლოტი | 73 | 33 | 40 | 45.2 |
| 10. მილუოკი | 75 | 32 | 43 | 42.7 |
| 11. ინდიანა | 74 | 31 | 43 | 41.9 |
| 12. ნიუ ჯერსი | 74 | 30 | 44 | 40.5 |
| 13. ნიუ იორკი | 73 | 29 | 44 | 39.7 |
| 14. ტორონტო | 73 | 28 | 45 | 38.4 |
| 15. ვაშინგტონი | 75 | 17 | 58 | 22.7 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. z-ლეიკერსი | 73 | 58 | 15 | 79.5 |
| 2. x-სან ანტონიო | 73 | 48 | 25 | 65.8 |
| 3. x-ჰიუსტონი | 74 | 48 | 26 | 64.9 |
| 4. დენვერი | 74 | 48 | 26 | 64.9 |
| 5. პორტლენდი | 73 | 46 | 27 | 63.0 |
| 6. იუტა | 72 | 45 | 27 | 62.5 |
| 7. ნიუ ორლეანი | 72 | 45 | 27 | 62.5 |
| 8. დალასი | 73 | 43 | 30 | 58.9 |
| 9. ფინიქსი | 74 | 40 | 34 | 54.1 |
| 10. გ. სტეიტი | 73 | 25 | 48 | 34.2 |
| 11. მინესოტა | 74 | 21 | 53 | 28.4 |
| 12. ოკლაჰომა | 73 | 20 | 53 | 27.4 |
| 13. მემფისი | 72 | 18 | 54 | 25.0 |
| 14. კლიპერსი | 74 | 18 | 56 | 24.3 |
| 15. საკრამენტო | 72 | 16 | 56 | 22.2 |

**ქულები**

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 29.8 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.4 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.3 |
| კევინ დურანტი (ოკლ) | 25.7 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.4 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.0 |
| ბრენდონ როი (პორ) | 23.0 |
| კარმელო ენტონი (დენ) | 22.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.7 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 22.4 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 22.4 |

**მოხსნები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 13.9 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.9 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.6 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.1 |
| იაო მინი (ჰიუ) | 9.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.7 |
| პაუ გასოლი (ლეიკ) | 9.5 |
| კევინ ლავი (მინ) | 9.0 |
| ანტუან ჯეიმისონი (ვაშ) | 9.0 |
| პოლ მილსეპი (იუტ) | 9.0 |

**პასები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.9 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.6 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.6 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.8 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.5 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.3 |
| ბაირონ დევისი (კლიპ) | 8.0 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.5 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.4 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 7.4 |

**ჩაჭრები**

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.3 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.1 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 1.9 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 1.9 |
| ტრევორ არიზა (ლეიკ) | 1.7 |
| რონი ბრიუერი (იუტ) | 1.7 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 1.7 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.6 |
| რაიმონდ ფელტონი (შარ) | 1.6 |

**დაფარებები**

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.0 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.3 |
| მარკუს კემბი (კლიპ) | 2.2 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.1 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორ) | 2.1 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.9 |
| იაო მინი (ჰიუ) | 1.9 |
| ტაირუს ტომასი (ჩიკ) | 1.9 |
| კენდრიკ პერკინსი (ბოს) | 1.9 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.8 |
| ბრუკ ლოპესი (ნ-ჯერ) | 1.8 |
| სამუელ დალემბერი (ფილ) | 1.8 |

## NBA აპრილის კალენდარი

**1 აპრილი**
ორლანდო-ტორონტო
ბოსტონი-შარლოტი
ნიუ ჯერსი-დეტროიტი
მემფისი-ვაშინგტონი
მილუოკი-ლეიკერსი
დალასი-მაიამი
ფინიქსი-ჰიუსტონი
გოლ. სტეიტი-საკრამენტო
კლიპერსი-ნიუ ორლეანი

**2 აპრილი**
ფილადელფია-მილუოკი
ვაშინგტონი-კლივლენდი
დენვერი-იუტა

**3 აპრილი**
შარლოტი-მაიამი
ინდიანა-სან ანტონიო
ბოსტონი-ატლანტა
მემფისი-დალასი
ოკლაჰომა-პორტლენდი
ორლანდო-კლივლენდი
იუტა-მინესოტა
ფინიქსი-საკრამენტო
გოლ. სტეიტი-ნიუ ორლეანი
ლეიკერსი-ჰიუსტონი

**4 აპრილი**
ნიუ იორკი-ტორონტო
ჩიკაგო-ნიუ ჯერსი
ფილადელფია-დეტროიტი
ატლანტა-ორლანდო
ვაშინგტონი-მაიამი
მილუოკი-მემფისი
დენვერი-კლიპერსი

**5 აპრილი**
კლივლენდი-სან ანტონიო
დალასი-ფინიქსი
დეტროიტი-შარლოტი
ტორონტო-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-პორტლენდი
მინესოტა-დენვერი
ნიუ ორლეანი-იუტა
ოკლაჰომა-ინდიანა
ნიუ ჯერსი-ფილადელფია
საკრამენტო-გოლ. სტეიტი
ლეიკერსი-კლიპერსი

**7 აპრილი**
შარლოტი-ფილადელფია
ტორონტო-ატლანტა
მაიამი-ნიუ ორლეანი
მემფისი-პორტლენდი
ოკლაჰომა-სან ანტონიო
ჩიკაგო-ნიუ იორკი
ჰიუსტონი-ორლანდო
საკრამენტო-ლეიკერსი
კლიპერსი-მინესოტა

**8 აპრილი**
კლივლენდი-ვაშინგტონი
ინდიანა-ტორონტო
ორლანდო-მემფისი
ბოსტონი-ნიუ ჯერსი
ნიუ იორკი-დეტროიტი
მილუოკი-ატლანტა
ნიუ ორლეანი-ფინიქსი
სან ანტონიო-პორტლენდი
დენვერი-ოკლაჰომა
დალასი-იუტა
გოლ. სტეიტი-მინესოტა

**9 აპრილი**
ჩიკაგო-ფილადელფია
საკრამენტო-ჰიუსტონი
ლეიკერსი-დენვერი

**10 აპრილი**
ორლანდო-ნიუ იორკი
ფილადელფია-კლივლენდი
ატლანტა-ინდიანა
ბოსტონი-მაიამი
დეტროიტი-ნიუ ჯერსი
მემფისი-ფინიქსი
ოკლაჰომა-შარლოტი
ტორონტო-ვაშინგტონი
დალასი-ნიუ ორლეანი
სან ანტონიო-იუტა
პორტლენდი-ლეიკერსი
გოლ. სტეიტი-ჰიუსტონი
კლიპერსი-საკრამენტო

**11 აპრილი**
ინდიანა-დეტროიტი
ნიუ ჯერსი-ორლანდო
მინესოტა-ფინიქსი
ჩიკაგო-შარლოტი
მილუოკი-ოკლაჰომა
იუტა-გოლ. სტეიტი
კლიპერსი-პორტლენდი

**12 აპრილი**
ნიუ ორლეანი-დალასი
კლივლენდი-ბოსტონი
მაიამი-ნიუ იორკი
ტორონტო-ფილადელფია
საკრამენტო-სან ანტონიო
ლეიკერსი-მემფისი

**13 აპრილი**
ინდიანა-კლივლენდი
ვაშინგტონი-ტორონტო
დეტროიტი-ჩიკაგო
ნიუ ჯერსი-შარლოტი
მილუოკი-ორლანდო
დალასი-მინესოტა
ჰიუსტონი-ნიუ ორლეანი
დენვერი-საკრამენტო
იუტა-კლიპერსი
ფინიქსი-მემფისი
პორტლენდი-ოკლაჰომა
გოლ. სტეიტი-სან ანტონიო

**14 აპრილი**
ატლანტა-მაიამი
ფილადელფია-ბოსტონი
ლეიკერსი-იუტა

**15 აპრილი**
კლივლენდი-ფილადელფია
ინდიანა-მილუოკი
ორლანდო-შარლოტი
ბოსტონი-ვაშინგტონი
მაიამი-დეტროიტი
ნიუ იორკი-ნიუ ჯერსი
დალასი-ჰიუსტონი
მემფისი-ატლანტა
მინესოტა-საკრამენტო
ჩიკაგო-ტორონტო
სან ანტონიო-ნიუ ორლეანი
ფინიქსი-გოლ. სტეიტი
კლიპერსი-ოკლაჰომა
პორტლენდი-დენვერი

## ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

**ამხანაგური მატჩები**

| | |
|---|---|
| პორტუგალია-ს. აფრიკა | 2:0 |
| ანგოლა-მაროკო | 0:2 |

**Under 21**

| | |
|---|---|
| ავსტრია-შვეიცარია | 1:2 |
| ესპანეთი-შვედეთი | 0:0 |
| გერმანია-ბელარუსი | 1:1 |
| ჩრ. ირლანდია-უკრაინა | 1:1 |
| ჰოლანდია-იტალია | 1:1 |
| ინგლისი-საფრანგეთი | 0:2 |

**ინგლისი**

**I ლიგა**

| | |
|---|---|
| როვერსი-ჰადერსფილდი | 1:2 |
| მილუოლი-კოლჩესტერი | 0:1 |
| იეოვილი-ნორთჰემპტონი | 1:0 |

**II ლიგა**

| | |
|---|---|
| ალდერშოტი-ჩესტერფილდი | 1:1 |
| ექსეტერი-პორტ ვეილი | 1:0 |
| ლინკოლნი-მაკლსფილდი | 1:0 |
| ლუტონი-როტერჰემი | 2:4 |
| უიკომბი-ბარნეტი | 1:1 |

**კონფერენსი**

| | |
|---|---|
| ბარტონი-კეტერინგი | 1:1 |
| ისტბურნი-კროული | 2:1 |
| ებსფლიტი-ალტრინჩემი | 1:0 |
| გრეისი-რაშდენი | 0:0 |
| ჰისტონი-მენსფილდი | 3:0 |
| ნორთვიჩი-სალისბერი | 1:1 |
| იორკი-სტევენეიჯი | 0:2 |

**გერმანია**

**III ბუნდესლიგა**

| | |
|---|---|
| დინამო (დრ)-კარლ ცაისი | 2:0 |
| ბურგჰაუზენი-ბრაუნშვაიგი | 0:2 |
| აუე-რეგენსბურგი | 1:0 |
| ემდენი-უნტერჰახინგი | 0:4 |
| ერფურტი-ზანდჰაუზენი | 1:1 |

**პოლონეთი**

**ლიგის თასი**

| | |
|---|---|
| პიასტი-ოდრა | 2:2, პენ. 2:4 |
| არკა-პოლონია (ვ) | 2:2 |

**უელსი**

| | |
|---|---|
| ნიუპი-ბანგორი | 1:0 |

**შოტლანდია**

**I დივიზიონი**

| | |
|---|---|
| დანფერმლაინი-დანდი | 1:1 |

**III დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ელჯინი-დამბარტონი | 0:2 |
| ალბიონი-სტენჰაუსმუირი | 1:2 |
| ფორფარი-კოუდენბიტი | 1:1 |

**რუსეთი**

**II დივიზიონი**

| | |
|---|---|
| ლუჩ ენერგია-ჩიტა | 1:1 |
| სკა ენერგია-მვდ | 1:1 |
| ალანია-ანჟი | 0:1 |
| ნიჟნი ნოვგოროდი-გაზპრომი | 0:0 |
| მეტალურგი-ვოლგა | 0:0 |
| სალუტი-კამაზი | 1:0 |
| შინიკი-ჩერნომორეცი | 0:1 |
| ბალტიკა-კრასნოდარი | 1:0 |

**კალათბურთი**

**ევროლიგა**

**1/4 ფინალი. III მატჩები**

| | |
|---|---|
| ტაუგრესი-ბარსელონა | 69:62 |
| პარტიზანი-ცსკა | 56:67 |
| რეალი-ოლიმპიაკოსი | 71:63 |
| სიენა-პანათინაიკოსი | 53:72 |

**ჰოკეი**

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| კლაგენფიურტი-ზალცბურგი | 3:0 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| დიუსელდორფი-ჰანოვერი | 4:2 |
| მანჰაიმი-აისბარენი | 6:1 |

**დანია**

| | |
|---|---|
| სენდერიისკი-ჰერნინგი | 4:2 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| ვოლერენგა-სპარტა | 2:1 |

**შვეიცარია**

| | |
|---|---|
| კლოტენი-დავოსი | 1:1 |

**ჩოგბურთი**

**ATP. მაიამი**

| | |
|---|---|
| ჯოკოვიჩი-ბერდიხი | 6:3, 6:2 |
| ცონგა-სიმონი | 6:7, 6:3, 6:2 |
| მიურეი-ტროიცკი | 6:1, 6:0 |
| ვერდასკო-შტეპანეკი | 6:2, 6:2 |
| როდიკი-მონფილსი | 7:6, 6:4 |
| დელ პოტრო-ფერერი | 6:3, 6:2 |

**WTA. მაიამი**

| | |
|---|---|
| კუზნეცოვა-ვოზნიაჩკი | 6:4, 6:7, 6:1 |

## TV პროგრამა

**1 აპრილი. ოთხშაბათი**

**I არხი**

19:05 თავისუფალი ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი (LIVE).
21:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. საქართველო-ჩერნოგორია (LIVE).

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

06:00 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-შვედეთი.
07:50 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-აზერბაიჯანი.
09:40 სასტვენი.
10:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-საბერძნეთი.
12:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
12:20 ამხანაგური მატჩი. ინგლისი-სლოვაკეთი.
14:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუმინეთი-სერბეთი.
16:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:20 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პორტუგალია-შვედეთი.
18:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. რუსეთი-აზერბაიჯანი.
20:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
20:30 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ისრაელი-საბერძნეთი.
22:20 სასტვენი.
22:55 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ინგლისი-უკრაინა (LIVE).
01:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:15 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. პოლანდია-მაკედონია.
03:10 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. იტალია-ირლანდია.
05:05 მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ბრაზილია-პერუ (LIVE).

**EUROSPORT**

10:30 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი (LIVE).
13:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-შოტლანდია.
14:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
15:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჩრ. კორეა-სამ. კორეა (LIVE).
17:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი (LIVE).
18:30 ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/4 ფინალი. მაიამი. აშშ.
20:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
20:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩის მიმოხილვა.
21:15 ოლიმპიური თამაშები - ტელეჟურნალი.
21:45 მულტისპორტი.
21:50 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
21:55 გოლფი. US PGA-ის ტური.
23:55 გოლფი. ევროპის ტური.
00:25 გოლფ-კლუბი.
00:30 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
00:40 მულტისპორტი.
00:45 სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
01:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩის მიმოხილვა.
02:00 სნუკერი. ჩინეთის ღია პირველობა. III დღე. პეკინი.

**EUROSPORT-2**

09:30 ახალი ამბები.
12:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
13:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-უზბეკეთი (LIVE).
15:00 ხელბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტელეჟურნალი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ავსტრალიური ფეხბურთი.
16:15 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ჰოლანდია-შოტლანდია.
18:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ლიტვა-საფრანგეთი.
18:45 ახალი ამბები.
19:00 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. შესარჩევი მატჩი. ავსტრალია-უზბეკეთი.
20:00 ახალი ამბები.
20:30 ექსტრემალური სპორტი.
21:30 ახალი ამბები.
22:00 რესტლინგი.
22:30 ციგურებით სრიალი. ლოზანა. შვეიცარია.
23:00 პროფესიული კრივი. ო. პალა (ჩეხეთი)-კ. აირიხი (გერმანია). აშშ.
00:30 პეინტბოლი. ტელეჟურნალი.
01:00 ახალი ამბები.

ფორმულა 1. ინტერვიუ ჯენსონ ბატონთან



# წვერს არ გავიპარსავ

ავსტრალიისგრანპრის ტრიუმფატორმა ჯენსონ ბატონმა აღიარა, რომ კვირას მიღწეული გამარჯვებისკენ მიმავალი გზა არც ისე იოლი აღმოჩნდა და ეს წარმატება სულაც არ აძლევს მის გუნდს - "ბრაუნ გრანპრის" მშვიდად არსებობის საშუალებას. პირველ რიგში, ბრიტანულ საჯინიბოს ფინანსური კეთილდღეობა სჭირდება. როს ბრაუნის გუნდს მხოლოდ ერთი სპონსორი (Virgin Group) ჰყავს და ისიც ორი წლის განმავლობაში მხოლოდ ნახევარ მილიონ დოლარს გადაიხდის. მანამდე კი გუნდი კონცერნ "ჰონდას" მიერ გამოყოფილი თანხებით არსებობს.

ბატონმა აღიარა, რომ "ალბერტ პარკზე" შესრულებული დუბლი სპონსორების მოზიდვას შეუწყობს ხელს და გუნდი არსებობას გააგრძელებს. მანამდე კი ბრიტანელი პილოტი მიღწეული გამარჯვებით ტკბება და თან მალაიზიის გრანპრიზე ფიქრობს.

- რბოლის პირველ წრეებზე არანაირი პრობლემა არ შემქმნია. უფრო მეტიც, შევძელი კონკურენტები გვარიანად ჩამომეტოვებინა უკან, ხოლო პეისკარის გამოსვლის შემდეგ, სიტუაცია აირია. საბურავი გაცივდა და მანქანამ არასასიამოვნო რყევა დაიწყო. ასეთ პირობებში, მაინც შევძელი ლიდერობის შენარჩუნება და გამარჯვების მოპოვება. მთელი გუნდის მოქმედება უნდა გამოვყო - ყველამ ბრწყინვალედ იმუშავა. "ბრაუნ გრანპრიმ" სადებიუტო რბოლაში პირველი ორი ადგილი მოიპოვა. შემდეგ სტარტებზე შევეცდებით ქულათა ზონაში მოხვედრას.

**- არადა, გვერდიდან ისე ჩანდა, რომ რბოლის დროს პრობლემები საერთოდ არ შეგქმნიათ...**

- თავიდან ყველაფერი იდეალურად მიდიოდა. პრობლემები უსაფრთხოების მანქანის გამოსვლის შემდეგ დაიწყო. თანაც, მზე ისე აჭერდა, რომ ხანდახან ტრასაზე თითქმის არაფერი ჩანდა. ამას ისიც დაემატა, რომ პიტსტოპზე მექანიკოსებმა დაახლოებით ხუთი წამი დახარჯეს საწვავის მილის ბოლიდზე შესაერთებლად. თუ რბოლას მთლიანობაში შევაფასებთ, ეს არ იყო ჩემი საუკეთესო გამოსვლა. შესაბამისად, ეს გამარჯვება ორმაგად სასიამოვნოა.

**- მეორე პიტსტოპის შემდეგ, კუბიცამ თქვენთან ჩამორჩენის შემცირება დაიწყო...**

- როგორც გითხარით, ჩემთვის პიტსტოპი ძალიან წარუმატებელი გამოდგა. მე იქ მეორე გადაცემით შევედი და ვერ შევძელი ნეიტრალური სიჩქარის ჩართვა. ამიტომაც, საწვავი მას შემდეგ შეავსეს, როცა საბურავები უკვე გამოცვლილი იყო. მაგრამ დიდად არ მინერვიულია, რადგან დარწმუნებული ვიყავი, რომ თუ ტრასაზე ფეტელზე ადრე გავიდოდი, ყველაფერი კარგად დასრულდებოდა. თანაც, გუნდმა სწორი ტაქტიკა შეარჩია - არ ცდილობდა შესაძლებლობების ზღვარზე მოქმედებას, არამედ მეტოქეებს აკვირდებოდა და მათ გასწრებას ცდილობდა.

**- თქვენმა გუნდმა 1954 წელს "მერსედესის" მიერ ნაჩვენები შედეგი გაიმეორა, რომელმაც საფრანგეთის გრანპრიზე პირველი და მეორე ადგილები დაიკავა. თქვენ როგორ შეფასებას მისცემთ ამ წარმატებას?**

- ნაჩვენები შედეგი არა მარტო ჩემთვის, არამედ მთელი გუნდისთვის იყო მნიშვნელოვანი. იმედი მაქვს, რომ შეზღუდული რესურსების მიუხედავად, "ბრაუნ გრანპრი" ასეთივე სტილში გააგრძელებს გამოსვლას.

**- სეზონის მეორე რბოლა მალაიზიაში გაიმართება. რას ფიქრობთ მის შესახებ?**

- ეს ტრასა ძალიან მომწონს. გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ, რომ მოვაგვარებთ ყველა იმ პრობლემას, რომელიც ავსტრალიაში აღმოვაჩინეთ. მე რაც შემეხება, გონებით უკვე სეპანგში ვარ.

**- ამ წარმატების შემდეგ, მზად ხართ წვერი გაიპარსოთ?**

- ვერ მოესწრებით! ჩემს შეყვარებულს მოსწონს ასეთი იმიჯი.

**- შესაძლებელია თუ არა, რომ წლევანდელი ჩემპიონატი ტიტულისთვის თქვენი და რუბენს ბარიკელოს დაპირისპირებად გადაიქცეს?**

- ჩემი დიდი სურვილია, რომ მოვლენები სწორედ ამ სცენარით განვითარდეს, მაგრამ არ მგონია, რომ მთელი სეზონის განმავლობაში "ბრაუნს" ასეთი უპირატესობა ჰქონდეს. დარწმუნებული ვარ, რომ უკვე მალაიზიაში დანარჩენი გუნდები გაცილებით უკეთეს შედეგებს აჩვენებენ. ავსტრალიაშიც გაოცებული დავრჩი, თუ რა სწრაფი იყო ფეტელი და მისი "რედ ბული".

**- თქვენმა გამარჯვებამ საბოლოოდ გააჩუმა ის სკეპტიკოსები, რომლებსაც მუდმივად ეჭვი ეპარებოდათ ჯენსონ ბატონის ტალანტში?**

- არასოდეს გავნაწყენებულვარ იმ ადამიანებზე, რომლებსაც რამდენიმე წლის წინ არ სჯეროდათ ჩემი წარმატების.

**- სეზონის წინ ჩატარებული ტესტების დროს, გქონდათ თუ არა იმედი, რომ ავსტრალიის გრანპრის ასეთი შედეგით დაასრულებდით?**

- ბარსელონას ტესტების დაწყებისთანავე მივხვდი, რომ ამ მანქანით უმაღლეს მიზნებზე შემეძლო ფიქრი. ერთი წლის განმავლობაში შესამჩნევ პროგრესს მივაღწიეთ აეროდინამიკისა და მექანიკის სფეროში, გარდა ამისა, მანქანა ბრწყინვალე ძრავით არის აღჭურვილი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენ ჯერ მაქსიმუმი არ ამოგვიღია ამ მანქანებიდან.

**- მოგვარებულია თუ არა "ბრაუნ გრანპრიში" ფინანსური საქმეები?**

- ჯერ არ გაგვაჩნია საკმარისი ბიუჯეტი, მაგრამ იმედი მაქვს, სპონსორებს ვიპოვით. ჩვენს ბოლიდზე თითქმის არ არის რეკლამა, მაგრამ მაღალი შედეგების მიღწევის შემთხვევაში, კომპანიების ყურადღებას აუცილებლად მივიპყრობთ. ბრეკლიში ჩვენი ქარხანა ძალიან კარგად არის აღჭურვილი, მაგრამ საქმე ისაა, ეყოფა თუ არა ფული გუნდს ამ ბაზის შესანახად და იქ სამუშაო პროცესის შესანარჩუნებლად. მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ყველაფერი წესრიგში იქნება და ჩემპიონატს ბოლომდე მივიყვანთ...

# აბუ-დაბის ეტაპი იქნება

აბუ-დაბის ავტოდრომის წარმომადგენლებმა არ დაადასტურეს ჭორი იმის თაობაზე, თითქოს ტრასის მშენებლობაში შეფერხებაა და შესაძლოა, წელს საამიროების ამ ქალაქში დაგეგმილი სადებიუტო რბოლა სწორედ ამ მიზეზით არ გაიმართოს.

ეს ჭორი რამდენიმე დღის წინ აგორდა, როდესაც ლაპარაკი იყო კანადის გრანპრის კალენდარში დაბრუნებაზე. როგორც ამბობენ, სწორედ ამ ეტაპმა უნდა ჩაანაცვლოს წლევანდელ სეზონში აბუ-დაბის გრანპრი. აგრეთვე გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ საამიროების ტრასის პროექტის ერთ-ერთი ბოსი - **ფილიპ გურჯიანი** კორეაში ფორმულა 1-ის ტრასის მშენებლობაზე გადადის სამუშაოდ.

*"წელს აბუ-დაბის გრანპრი აუცილებლად ჩატარდება. ამას ადასტურებს თუნდაც ის, რომ უკვე იყიდება მომავალი ეტაპის ბილეთები. კომპანია Abu Dhabi Motorsports Management ადასტურებს, რომ ავტოდრომის მშენებლობა გრაფიკის მიხედვით მიმდინარეობს და სამუშაოები დროულად დასრულდება.*

*ჩვენი კომპანია ორი გამოცდილი და ნიჭიერი სპეციალისტის - რიჩარდ კრეგანისა და ფილიპ გურჯიანის პოტენციალს იყენებს. პირველი გრანპრის გამართვისა და ავტოდრომის სადღეღამისო ექსპლუატაციის საკითხებით არის დაკავებული, გურჯიანს კი მშენებლობა აქვს ჩაბარებული"*, - წერია Abu Dhabi Motorsports Management-ის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.




# ფორს ინდია ბრუნო სენას უმიზნებს

"ფორს ინდიას" მფლობელი, ინდოელი მილიარდერი **ვიჯეი მალია** თავის გუნდში ბრაზილიელი ბრუნო სენას მიწვევით არის დაინტერესებული. ლეგენდარული აირტონ სენას ძმისშვილი ვეტერანი იტალიელის **ჯანკარლო ფიზიკელას** სავარაუდო შემცვლელად მოიაზრება. ეს შეცვლა მაშინ განხორციელდება, როცა ფიზიკელა ფორმულა 1-ში კარიერის დასრულებას გადაწყვეტს.

*"გუნდში ბევრი ცვლილება მოხდა. ახლა "ფორს ინდიას" სტაბილურობა და თანამიმდევრული მუშაობა სჭირდება. ჯანკარლო მალე დაასრულებს კარიერას. შესაძლოა, ის მომავალ წელსაც დარჩეს ფორმულა 1-ში, მაგრამ ის პრაქტიკულად ემშვიდობება "სამეფო რბოლებს".*

*დღეს ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა პილოტი ელის ფორმულა 1-ის გუნდებიდან მიწვევას. ერთ-ერთია ბრუნო სენა. ჩვენ გვეგონა, რომ ის "ბრაუნთან" გააფორმებდა კონტრაქტს, მაგრამ ახლა მისი გადაბირების შანსი გაგვიჩნდა"*, - ამბობს მალია.

შეგახსენებთ, რომ ბრაზილიელი პილოტი DTM-ის სერიაში "მერსედესის" მანქანით გეგმავს დებიუტს.

კრივი

# დაველოდოთ 14 აპრილს

ლეგენდარულ ამერიკელ მოკრივეს **ოსკარ დე ლა ჰოიას** ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა პროფესიულ კარიერას. ექვს წონით კატეგორიაში მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი 14 აპრილს მოიწვევს სპეციალურ პრესკონფერენციას და სწორედ იქ გამოაცხადებს თავის სამომავლო გეგმებს - ამ ინფორმაციას გაზეთი "ლოს ანჯელეს თაიმსი" აქვეყნებს.

შეგახსენებთ, რომ ოსკარ დე ლა ჰოიამ თავისი ბოლო ბრძოლა გასული წლის დეკემბერში, ფილიპინელ **მენი პაკიაოს** წინააღმდეგ ჩაატარა და ტექნიკური ნოკაუტით დამარცხდა. იქიდან მოყოლებული, "ოქროს ბიჭმა" არაერთხელ მიანიშნა კრივის მოყვარულებს, რომ კარიერის დასრულება აქვს გადაწყვეტილი.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



